

# კონსტიტუციური სარჩელის დასაბუვებობის სტანდარტები

პრაქტიკული სახელმძღვანელო



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო



# კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის სტანდარტები

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ  
ავტორები: თამარ ბარამაშვილი და ლელა მაჭარაშვილი  
რედაქტორი: ეკატერინე ლომთათიძე

ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

ევროპის საბჭო

*პრაქტიკული სახელმძღვანელო  
მომზადდა და იბეჭდება პროექტის –  
„სასამართლო რეფორმის მხარდაჭერა  
საქართველოში“ – დახმარებით.  
პროექტი თანადაფინანსებულია  
ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის  
მიერ, „პარტნიორობა კარგი  
მმართველობისათვის“ ფარგლებში.  
მასში წარმოდგენილი მოსაზრებები  
გამოთქმულია ავტორთა  
პასუხისმგებლობით და არ არის  
აუცილებელი, ასახავდეს რომელიმე  
მხარის ოფიციალურ პოზიციას.*

ყველა უფლება დაცულია. დაუმჯებელია  
წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე  
ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა,  
ხელახალი პუბლიკაცია, ან გადაცემა  
ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით:  
ელექტრონულად (CD-Rom, ინტერნეტი,  
ა.შ.) ან მექანიკურად, მათ შორის,  
ასლის გადაღებით, ჩაწერით, ან  
ინფორმაციის შენახვისა თუ ამოღების  
ნებისმიერი სისტემის მეშვეობით,  
კომუნიკაციის დირექტორატის  
წინასწარი წერილობითი ნებართვის  
გარეშე (F-67075 სტრასბურგი  
Cedex ან publishing@coe.int).

# სარჩევი

შესავალი .....	9
<b>I. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის პროცედურა და ეტაპები .....</b>	<b>13</b>
1. საკონსტიტუციო სასამართლოს შეადგენლობა .....	13
2. კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაცია .....	14
3. საქმის არსებითად განსახილველად მიღება .....	15
4. საქმის არსებითი განხილვა .....	16
5. გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი კვორუმი .....	17
6. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება .....	18
<b>II. კონსტიტუციური სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლები .....</b>	<b>20</b>
1. კონსტიტუციური სარჩელის ფორმალური შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან .....	22
2. კონსტიტუციური სარჩელის შინაარსობრივი შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან – სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა .....	28
2.1 დასაბუთება შინაარსობრივად უნდა შეეხებოდეს სადავო ნორმას .....	30
2.1.1 სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრა .....	31
2.1.2 აღმჭურველი ნორმის გასაჩივრება .....	33
2.1.3 პირდაპირი ამკრძალავი ნორმის არარსებობისას უფლებაშემზღუდველი წესის იდენტიფიცირება .....	36
2.1.4 ნორმატიულ აქტში გამოყენებულ „ტერმინთა განმარტების“ გასაჩივრება .....	39
2.1.5 ნორმატიულ აქტში გამოყენებული გრამატიკული ერთეულის გასაჩივრება .....	40
2.1.6 რაიმე წესის სამართლებრივ ურთიერთობაზე გავრცელების გამომრიცხავი ნორმა .....	44
2.1.7 სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმაზე მიმთითებელი ნორმის გასაჩივრება .....	47
2.1.8 ნორმის გასაჩივრება მისი ბუნდოვანების საფუძვლით .....	49
2.2 სადავო ნორმის აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება კონსტიტუციის იმ დებულებებთან, რომლებთან კავშირშიც მოსარჩელე მოითხოვს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას .....	51

2.2.1 კონსტიტუციურ უფლებასთან სადავო ნორმის მიმართების დამდგენი სტანდარტები .....	52
2.2.1.1 უფლების შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის მტკიცების ვალდებულება .....	52
2.2.1.2 ცალკეული უფლებების იურიდიულ პირებზე გავრცელების დასაბუთების აუცილებლობა.....	56
2.2.1.3 კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობა..	57
2.2.1.4 უფლების შეზღუდვისა და მისი გვერდითი ეფექტის გამიჯვნა .....	59
2.2.1.5 სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ ადგენენ ძირითად უფლებას....	62
2.2.2 კონსტიტუციურ უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა და ცალკეული სტანდარტები .....	64
2.2.2.1 ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უფლება.....	65
2.2.2.2 ადამიანის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენების აკრძალვა .....	68
2.2.2.3 თანასწორობის უფლება .....	70
ა. ზოგადი სტანდარტი, სადავო ნორმის შერჩევა და სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება .....	70
ბ. სახელმწიფო, როგორც შესაძარებელი პირი.....	74
გ. ნეიტრალური ნორმები.....	75
დ. ფართო დისკრეციული უფლებამოსილების დისკრიმინაციულობის შეფასება .....	77
2.2.2.4 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება .....	81
2.2.2.5 ადამიანის თავისუფლებისა და მიმოსვლის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა.....	83
2.2.2.6 პირადი და ოჯახური ცხოვრების და პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა .....	87
2.2.2.7 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა .....	91
2.2.2.8 შემოქმედების თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა .....	93
2.2.2.9 აზრის, ინფორმაციისა და შეკრების თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა .....	95

2.2.2.10 სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება.....	97
2.2.2.11 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევისა უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა .....	99
2.2.2.12 საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებისა და მენარმეობის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა.....	102
2.2.2.13 საკუთრების უფლების შეზღუდვისა და ჩამორთმევის გამიჯვნა .....	104
2.2.2.14 საკუთრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა.....	106
2.2.2.15 გაერთიანების თავისუფლება.....	109
2.2.2.16 საჯარო თანამდებობის დაკავებისა და პასიური საარჩევნო უფლებების დაცული სფეროების გამიჯვნა .....	110
2.2.2.17 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებისა და უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების, თანამდებობიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისგან დაცვის უფლებათა გამიჯვნა.....	113
2.2.2.18 საჯარო თანამდებობის დაკავებისა და შრომის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა.....	114
2.2.2.19 სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი დახასიათება .....	116
ა. უფლების ინსტრუმენტული ბუნება.....	116
ბ. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების პირდაპირი მოქმედება .....	118
2.2.2.20 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების გამიჯვნა ამავე მუხლის სხვა დებულებისგან .....	121
ა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის გამიჯვნა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით გარანტირებული დაცვის უფლებისაგან.....	123
ბ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით დაცულ სფეროთა გამიჯვნა .....	126
2.2.2.21 განსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება..	128
2.2.2.22 პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ხარისხობრივი სტანდარტები.....	130

3. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ .....	132
3.1 სუბიექტობის მიზანი და სტანდარტები .....	133
3.2 ACTIO POPULARIS – საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა სხვათა უფლებების დასაცავად .....	136
3.3 პირი არ ეძევა სადავო ნორმის მოქმედების სფეროში .....	140
3.4 სასარჩალო მოთხოვნის დაყენება კონსტიტუციის მეორე თავს მიღმა არსებულ გარანტიებთან .....	143
3.5 კონსტიტუციური უფლების სუბიექტობა და ძირითადი უფლებების იურიდიულ პირებზე გავრცელების სტანდარტები .....	145
4. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საკითხები.....	147
4.1 საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი... ..	148
4.2 ნორმატიული ბუნების არაქმნი აქტის კონსტიტუციურობა .....	151
4.3 საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებების გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში .....	154
4.4 „მოქმედი“ ნორმატიული აქტი .....	155
4.5 ძირითად აქტში ცვლილებებისა და დამატებების შემადანი აქტის კონსტიტუციურობის შეფასება.....	159
4.6 კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის საკითხი.....	160
4.7 სადავო აქტის შეფასება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით.....	163
4.8 კანონიერების შემოწმების გამიჯვნა კონსტიტუციური კონტროლისგან .....	164
5. კონსტიტუციურ სარჩალებში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.....	166
5.1 უკვე გადაწყვეტილი საკითხის შეფასებაზე უარის თქმის მიზეზები/ დანიშნულება.....	166
5.2 საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დადგენილი პრაქტიკის შეცვლა .....	169
5.3 პრაქტიკის დამკლავი ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადება განმეხსარიგებულ სხდომაზე .....	171
6. კონსტიტუციურ სარჩალებში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით.....	174
7. დარღვეულია კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა.....	174

8. სადავო კანონმდებლობა აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც სარჩელით გასანივრებული არ არის.....	176
<b>III. კონსტიტუციის მოთხოვნა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ უფლებათა შეზღუდვაზე და ამ უფლებამოსილების დაღევირების სტანდარტები (უფლების შეზღუდვის ფორმალური კანონიერება).....</b>	<b>180</b>
1. საკანონმდებლო უფლებამოსილების დაღევირების არსი და მიზნები.....	182
2. საკითხები, რომლებიც უნდა მოაწესრიგოს საქართველოს კარლამენტმა და რომელთა მოწესრიგების დაღევირებაც ენიშნაღმდებება კონსტიტუციას.....	185
3. დასაშვები დაღევირების კრიტერიუმები.....	187
<b>IV. საქმის შეწყვეტის საფუძვლები და მნიშვნელობა.....</b>	<b>192</b>
1. საქმის შეწყვეტა მოსარჩელის გარდაცვალების საფუძვლით.....	192
2. საქმის შეწყვეტა მოსარჩელის ინიციატივით.....	193
3. საქმის შეწყვეტა დავის საგნის ძალადაკარგულად ცნობის საფუძვლით.....	194
<b>V. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება.....</b>	<b>201</b>
<b>შეჯამება.....</b>	<b>208</b>



## შესავალი

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპს. შესაბამისად, სამართლებრივ სივრცეში არ უნდა არსებობდეს კონსტიტუციის საწინააღმდეგო, მასთან შეუსაბამო ნორმატიული აქტები. საკონსტიტუციო სასამართლო სახელისუფლებო არქიტექტურაში განსაზღვრულია, როგორც კონსტიტუციის უზენაესობის დამცველი და აღმსრულებელი ორგანო. იგი აღჭურვილია კანონმდებლობაში არსებული არაკონსტიტუციური რეგულაციების, წესებისთვის იურიდიული ძალის გამოცლისა და მათთვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რესურსის გაუქმების უფლებამოსილებით.<sup>1</sup> ამდენად, ეს სასამართლო კონსტიტუციას განმარტავს კონსტიტუციითვე გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში, იცავს მის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს,<sup>2</sup> და ამ გზით განამტკიცებს სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპებს.

კონსტიტუციის უზენაესობის იდეის თავისთავადი, თვითმყოფადი ბუნების მიუხედავად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციურ კონტროლს არ ახორციელებს საკუთარი ინიციატივით: ქვეყანაში კონსტიტუციური მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად საფუძველსა და წყაროს ქმნიან ინდივიდუალური მოსარჩელები, რომლებიც საკუთარი დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს.<sup>3</sup> როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა

<sup>1</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

<sup>2</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

<sup>3</sup> მართალია, კონსტიტუციური მართლმსაჯულება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს წარდგინების, საქართველოს სახალხო დამცველის მიმართვის, ან პარლამენტართა ჯგუფის სარჩელის საფუძველზე, თუმცა დღემდე არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ძირითადი მოსარჩელები სწორედ ფიზიკური და იურიდიული პირები არიან.

უფლების დაცვის ყველაზე ეფექტიანი და, ხშირად, ერთადერთი შესაძლებლობაა. საგულისხმოა ისიც, რომ ინდივიდუალური სარჩელების საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიულ აქტებს აუქმებს, რომელიც მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს შეიცავს. შესაბამისად, უშუალოდ პირადი უფლებებისა და ინტერესების დაცვის გარდა, კონსტიტუციური სარჩელის შეტანითა და ნორმათა კონსტიტუციურობის გამორკვევით, მოსარჩელები ემსახურებიან საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესებს, რომლებზეც ასევე ვრცელდება (ან გავრცელდებოდა) არაკონსტიტუციური ნორმით დადგენილი მოწესრიგება.

ამავდროულად, ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის არგუმენტაცია და მგრძნობელობა უფლების დარღვევისადმი მართებული, ხოლო სარჩელში წარმოდგენილი პრობლემა – ნათელი და ხელშესახებია, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვა წარუმატებელი აღმოჩნდება, რადგან ვერ პასუხობს კანონმდებლობით დადგენილ სარჩელის დასაშვებობის წინაპირობებს. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეთათვის კონსტიტუციური კონტროლი უფლების დაცვის ეფექტიანი შესაძლებლობაა, დასაშვებობის ეტაპზე თითოეულმა შეცდომამ შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს უდგენს საპროცესო ქმედებათა ზუსტ არეალსა და ჩარჩოს, რომელთა მიხედვითაც იგი აფასებს, თუ რამდენად აკმაყოფილებს სარჩელი არსებითად განსახილველად მიღების მოთხოვნებს. კანონმდებლობით დადგენილი დასაშვებობის ცალკეული საკითხები სასამართლოს პრაქტიკაში იძენს შინაარსს და მათი რეალური არსი სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივ აქტებში იკითხება. სასამართლოს მრავალწლიანი პრაქტიკის ზედმიწევნით შესწავლა, სათანადო სტანდარტების ამოკითხვა და მათი მეშვეობით ხელმძღვანელობა, შემთხვევათა უმრავლესობაში შეუსრულებელი, რთული მისიაა მოსარჩელისთვის (განსაკუთრებით, თუ სამართალწარმოებას კვალიფიციური წარმომადგენლის გარეშე ახორციელებს). ამავდროულად, დღესდღეობით არ არსებობს რაიმე საჯაროდ

ხელმისაწვდომი დოკუმენტი, სადაც კონსტიტუციური სარჩელის დასაშვებობის კრიტერიუმებთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა სისტემატიზებულად და თანმიმდევრულად იქნებოდა წარმოდგენილი. ამის გათვალისწინებით, წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია პოტენციურ მოსარჩელეთათვის გზამკვლევის ფუნქციის შესრულება, სასამართლოს პრაქტიკის განზოგადებით, ასევე, ძირითადი სტანდარტებისა და ტენდენციების წარმოჩენით. ამავდროულად, სახელმძღვანელო ორიენტირებულია კონსტიტუციურ სარჩელებზე, რომლებიც შეეხება კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მხრიდან. იგი არ განიხილავს კონსტიტუციური კონტროლის ინიცირებას სხვა სუბიექტთა მიერ. ბუნებრივია, სახელმძღვანელო არ მოიცავს დასაშვებობის ეტაპზე წარმოჩენილ ნებისმიერ შესაძლო შეცდომას: ის ორიენტირებულია მოსარჩელის ყველაზე ხშირ ცდომილებებსა და სასამართლოს მყარად დადგენილ პრაქტიკაზე.

სახელმძღვანელოში მიმოხილულია კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების პროცედურა და ეტაპები. ძირითად ნაწილში შესწავლილია მისი დასაბუთებულობის მოთხოვნა (როგორც სადავო ნორმისა და შესაბამისი კონსტიტუციური დებულების შინაარსობრივი მიმართების, ასევე სადავო ნორმიდან მომდინარე შეზღუდვის დასაბუთების კუთხით). ამავდროულად, ნაშრომში განხილული საკითხები შეეხება შემდეგ ასპექტებსაც: კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილი სუბიექტი, საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობა, სუბსიდიარობა, საქმის შეწყვეტა, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება და სადავო აქტის ფორმალური კანონიერება. სახელმძღვანელო აზუსტებს კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციისა და ფორმის დაცვის კანონით დადგენილ მოთხოვნებსაც.

სარჩელის დასაშვებობის თითოეული საფუძვლის განხილვის, ასევე, ამ ეტაპზე ხშირად დაშვებულ შეცდომათა ანალიზის საფუძველზე, სახელმძღვანელოში გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები/რეკომენდაციები. ისინი არსებითად დაეხმარება პოტენციურ მოსარჩელებს დასაშვებობის ეტაპის წარმატებით გავლაში, რაც ამ სახელმძღვანელოს მიზანია.



# I. კონსტიტუციური სარჩელის განხილვის პროცედურა და ეტაპები

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძვლების განხილვამდე, მნიშვნელოვანია, პოტენციურმა მოსარჩელებმა იცოდნენ, რა ეტაპებს გადის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენიდან გადაწყვეტილების მიღებამდე; ასევე, როგორი შემადგენლობითა და პროცედურით განიხილავს სასამართლო საქმეს და რა სამართლებრივი ძალა ექნება მიღებულ გადაწყვეტილებას. დასახელებული საკითხების გაანალიზება ხელს შეუწყობს მოსარჩელებს, რომ გაიაზრონ საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატი და ის პოტენციური შედეგები, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ ორგანოში დავის წამოწყებას.

## 1. საკონსტიტუციო სასამართლოს შეადგენლობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა მოსამართლისგან<sup>4</sup>, რომლებიც ნაწილდებიან ორ სხვადასხვა კოლეგიაში. თითოეული კოლეგიის შემადგენლობაში არის სასამართლოს ოთხი წევრი (საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე არ ერთიანდება არცერთ კოლეგიაში). ცხრავე წევრი ერთად ქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.<sup>5</sup>

საქმეებს სასამართლოში სწორედ პლენუმში ან კოლეგია განიხილავს. კანონმდებლობა ერთმანეთისაგან მიჯნავს მათ განსჯად საკითხებს: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კონსტიტუციური სარჩელები, რომლებიც ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას შეეხება, კოლეგიის განსჯადია.<sup>6</sup> გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე მოითხოვს

<sup>4</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1: „საკონსტიტუციო სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მებუთელის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო“.

<sup>5</sup> იქვე, მუხლი 11, პუნქტები 1, 2, 3.

<sup>6</sup> იქვე, მუხლი 21, პუნქტი 2.

ორგანული კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებას (დამოუკიდებლად, ან სხვა აქტებთან ერთად): ასეთ დროს საქმეს პლენუმი განიხილავს.<sup>7</sup> თუმცა, განსჯადობის წესების არსებობის მიუხედავად, კოლეგიის განსჯადი საქმე შესაძლოა პლენუმის განსახილველი გახდეს, თუ საკონსტიტუციო სასამართლოს რომელიმე წევრი ან/და კოლეგია მას განსახილველად პლენუმს გადასცემს – იმ მოტივით, რომ „მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ აღრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან, ან თუ განსახილველი საქმე თავისი შინაარსით წარმოშობს საქართველოს კონსტიტუციის განმარტების ან/და გამოყენების იშვიათ ან/და განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემას“.<sup>8</sup> ასეთ დროს, საკითხის პლენუმზე განხილვა დამოუკიდებელია იმაზე, თუ რამდენად გაიზიარებს იგი საქმის გადაცემის საფუძვლის არსებობას.<sup>9</sup>

## 2. კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაცია

კონსტიტუციური სარჩელის საკონსტიტუციო სასამართლოში წარმოდგენის პირველი ეტაპია მისი რეგისტრაცია. კერძოდ, სარჩელი ბარდება საკონსტიტუციო სასამართლოს საორგანიზაციო დეპარტამენტს<sup>10</sup>, რომელიც სარჩელის შეტანიდან სამი დღის ვადაში ამოწმებს წარდგენილი მასალების ფორმალურ (და არა შინაარსობრივ) შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან.<sup>11</sup> ამის შემდეგ სარჩელს არეგისტრირებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომელი. მასში არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენისას, კონსტიტუციური სარჩელი

<sup>7</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 21, პუნქტები 1 და 4.

<sup>8</sup> იქვე, მუხლი 21<sup>1</sup>.

<sup>9</sup> გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია პლენუმს სარჩელს გადასცემს იმ საფუძვლით, რომ „მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება სასამართლოს მიერ აღრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან“. ამ შემთხვევაში, პლენუმს არ აქვს უფლება, უარი თქვას საკითხის პლენუმზე განხილვაზე (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 21<sup>1</sup>, პუნქტი 1).

<sup>10</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 11, პუნქტი 2.

<sup>11</sup> იქვე, მუხლი 12, პუნქტი 1.

რეგისტრირდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის<sup>12</sup> თანხმობით და მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს 15 დღე ეძლევა უზუსტობის გამოსასწორებლად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ გამოსწორდება, სარჩელის რეგისტრაცია უქმდება.<sup>13</sup> თუ წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში ისეთი ფორმალური უზუსტობა აღმოჩნდება, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია სარჩელის არსებითი ცვლილების გარეშე, საორგანიზაციო დეპარტამენტი არ არეგისტრირებს მას, რაზეც იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.<sup>14</sup>

სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საორგანიზაციო დეპარტამენტის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში მოსარჩელეს უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანს, რომელიც მიმართვიდან 15 დღის ვადაში წყვეტს სარჩელის რეგისტრაციის საკითხს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.<sup>15</sup>

### 3. საქმის არსებითად განსახილველად მიღება

საქმის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ზეპირი მოსმენითაც განიხილოს, თუ არსებითად განსახილველად მიღების გარემოებათა გამორკვევა სხვაგვარად შეუძლებელია.<sup>16</sup> ამ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, გამოცხადდეს სასამართლოს სხდომაზე და მონაწილეობა მიიღოს განხილვაში. აღსანიშნავია, რომ ორჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა შესაძლოა ჩაითვალოს მოსარჩელის მხრიდან დავისადმი ინტერესის დაკარგვად და კონსტიტუციურ სარჩელზე უარის თქმად. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, შეწყვიტოს საქმე.<sup>17</sup>

<sup>12</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი ამავდროულად საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლეა.

<sup>13</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 31<sup>2</sup>, პუნქტი 1.

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 12, პუნქტი 4.

<sup>15</sup> იქვე, მუხლი 12, პუნქტი 5.

<sup>16</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 27<sup>1</sup>, პუნქტი 2.

<sup>17</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი, მუხლი 23, პუნქტი 4.

კონსტიტუციური სარჩელის სრულად ან ნაწილობრივ განსახილველად მიღებაზე სასამართლო აშუადებს საოქმო ჩანაწერს, ხოლო მიუღებლობაზე – განჩინებას.<sup>18</sup> განჩინება უნდა დასაბუთდეს;<sup>19</sup> საქმის ნაწილობრივ არსებითად განსახილველად მიღებისას კი საოქმო ჩანაწერი საბუთდება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის მიღებაზე უარის თქმას.

#### 4. საქმის არსებითი განხილვა

საქმის არსებითი განხილვა ზეპირი მოსმენით ხორციელდება ღია სხდომაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით, ან მხარეთა შუამდგომლობით, პირადი, პროფესიული, კომერციული თუ სახელმწიფო საიღუმლოების დასაცავად, საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან მისი ნაწილი შეიძლება დაიხუროს.<sup>20</sup>

სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის ან/და მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, საქმე არსებითად განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.<sup>21</sup> მოსარჩელემ ასეთი მოთხოვნა უნდა წარმოადგინოს კონსტიტუციურ სარჩელთან ერთად, ან ამ სარჩელის განსახილველად დაშვების საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 10 დღის ვადაში, მოპასუხემ კი – კონსტიტუციური სარჩელის მიღებიდან ან კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღების თაობაზე საოქმო ჩანაწერის მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ მოპასუხე მოსარჩელის, ხოლო მოსარჩელე – მოპასუხის მოთხოვნაზე სასამართლო შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში არ მოითხოვს საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს.<sup>22</sup>

კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, სასამართლოში რეგისტრაციის მომენტიდან. განსაკუთრებულ

<sup>18</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 43, პუნქტი 5.

<sup>19</sup> იქვე, მუხლი 43, პუნქტი 7.

<sup>20</sup> იქვე, მუხლი 27, პუნქტები 1, 2.

<sup>21</sup> იქვე, მუხლი 27<sup>1</sup>, პუნქტები 1, 5.

<sup>22</sup> იქვე, მუხლი 27<sup>1</sup>, პუნქტები 6-8.

შემთხვევაში, სარჩელის განხილვის ვადას არაუმეტეს 2 თვით აგრძელებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე.<sup>23</sup> ცალკეულ შემთხვევებში, კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას (როცა საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს ჩატარებული/ჩასატარებელი არჩევნებისა ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმების, ასევე, მათ საფუძველზე ჩატარებული/ჩასატარებელი არჩევნების კონსტიტუციურობას ან კონსტიტუციურ წარდგინებას), სხვა კონსტიტუციური სარჩელების განხილვის ზემოხსენებული ვადა ჩერდება საარჩევნო დავის/წარდგინების განხილვის დასრულებამდე.<sup>24</sup>

## 5. გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი კვორუმი

საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია უფლებამოსილია, განიხილოს კონსტიტუციური სარჩელი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება, სულ ცოტა, სამი წევრი. სარჩელი დაკმაყოფილებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.<sup>25</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია, საქმე არსებითად განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება არანაკლებ 6 წევრი. გამონაკლისებს შორისაა გადაწყვეტილების მიღება ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის საკითხებზე, რადროსაც აუცილებელია, პლენუმის სხდომას ესწრებოდეს, სულ მცირე, 7 წევრი.<sup>26</sup> კონსტიტუციური სარჩელი დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის შემადგენლობის უმრავლესობა.<sup>27</sup> პლენუმის საოქმო ჩანაწერი/განჩინება, გადაწყვეტილება, ან დასკვნა, რომელიც განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან, მიღებულად ითვლება, როცა მხარს უჭერს

<sup>23</sup> იქვე, მუხლი 22, პუნქტი 1.

<sup>24</sup> იქვე, მუხლი 22, პუნქტები 2-6.

<sup>25</sup> იქვე, მუხლი 45.

<sup>26</sup> იქვე, მუხლი 44, პუნქტები 1, 2.

<sup>27</sup> იქვე, მუხლი 44, პუნქტი 3.

პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.<sup>28</sup> თუ კონსტიტუციურ სარჩელზე გადაწყვეტილების მიღებისას პლენუმის/კოლეგიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმები თანაბრად გაიყოფა, იგი არ დაკმაყოფილდება.<sup>29</sup>

## 6. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და ძალაში შედის სრული ტექსტის სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან.<sup>30</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი სადავო აქტი/ნორმა ძალას კარგავს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან, თუკი გადაწყვეტილება არ აღგენს სხვა, გვიანდელ ვადას საამისოდ.<sup>31</sup>

---

<sup>28</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 21<sup>1</sup>, პუნქტი 2.

<sup>29</sup> იქვე, მუხლი 21, პუნქტი 6.

<sup>30</sup> იქვე, მუხლი 43, პუნქტი 12<sup>1</sup>.

<sup>31</sup> იქვე, მუხლი 25, პუნქტები 1, 2.



## II. კონსტიტუციური სარჩელის დაუშვებლობის საფუძვლები

როგორ წესი, საკონსტიტუციო სასამართლოში სამართალწარმოების ინიცირების ძირითადი საფუძველია ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელები, რომელთა ნაწილიც ხშირად ამკარად დაუსაბუთებელია; ისინი მიზნად არ ისახავს დარღვეულ უფლებათა აღდგენას, ან/და დარღვევის პრევენციას. რიგ შემთხვევებში, მსგავსი სარჩელები არ მიემართება კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას და მათ არ აქვთ კონსტიტუციური განზომილება. იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ შეძლოს ამგვარი გადატვირთვისგან დაცვა და კონცენტრირება უფლების დარღვევის რეალურ ფაქტებზე, არსებობს საპროცესო „ფილტრები“, რაც, ძირითადად, კონსტიტუციური სარჩელის დაუშვებლად ცნობის საფუძვლებში გამოიხატება.<sup>32</sup> ამდენად, კონსტიტუციური კონტროლის მომწესრიგებელი კანონმდებლობა მოიცავს წინაპირობებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი კონსტიტუციური სარჩელი.<sup>33</sup> ამავდროულად, ბუნებრივია ამ წინაპირობებმა უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღოს სწორედ ის საკითხები, რომელებიც ექვევა მისთვის კონსტიტუციით დადგენილ მანდატში და რეალურ მიზნად ისახავს დარღვეული უფლების აღდგენას ან/და დარღვევის პრევენციას.

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების გადაწყვეტა პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, რომელიც, გარკვეულწილად, განსაზღვრავს სასამართლო მართლმსაჯულების ეფექტიან და დროულ განხორციელებას. ასეთი სარჩელის არსებითად განხილვა უკავშირდება შეზღუდულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს და მხოლოდ მათი ოპტიმალური გამოყენებით შეიძლება საკონსტიტუციო

<sup>32</sup> AMICUS CURIAE BRIEF FOR THE CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA ON THE EFFECTS OF CONSTITUTIONAL COURT DECISIONS ON FINAL JUDGMENTS IN CIVIL AND ADMINISTRATIVE CASES, CDL-AD(2018)012, § 29. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2018\)012-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2018)012-e) [უკანასკნელად შემოწმდა: 05.19.2021].

<sup>33</sup> STUDY ON INDIVIDUAL ACCESS TO CONSTITUTIONAL JUSTICE, CDL-AD(2010)039rev32, პარაგრაფი 110. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2010\)039rev-e](https://www.venice.coe.int/WebForms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2010)039rev-e) [უკანასკნელად შემოწმდა: 05.19.2021].

სასამართლოს მანდატისა და როლის სრულყოფილად განხორციელება.<sup>34</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად, თუ:

- ა) იგი ფორმით ან შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის 31<sup>1</sup> მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
- ბ) იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ;
- გ) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი;
- დ) მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ამ კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- ე) მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით;
- ვ) არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა;
- ზ) სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის.<sup>35</sup>

დასახელებული საკანონმდებლო საფუძვლების გასააზრებლად, მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გაცნობა თითოეულ მათგანთან მიმართებით. აღნიშნული ქვეთავი სწორედ ამ საკითხების გაანალიზებას ეთმობა.

ამავდროულად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დაუსაბუთებლობის, სასარჩე-

<sup>34</sup> ინფორმაცია საქართველოში კონსტიტუციური კანონიერების თაობაზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2017 წელი. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://constcourt.ge/files/3/CCoG%20Annual%20Report%202017%20KA.pdf> [უკანასკნელად შემოწმდა: 05.19.2021].

<sup>35</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 31<sup>3</sup>, პუნქტი 1.

ლო მოთხოვნის არასწორად დაყენების, ან კანონის ფორმალურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, მისი არსებითად განსახილველად მიუღებლობა არ გამოირიცხავს მოსარჩელის შესაძლებლობას, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენისა და ფორმალური ხარვეზების გასწორების, ასევე, სადავო აქტის სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, კვლავ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი სარჩელით.<sup>36</sup>

## 1. კონსტიტუციური სარჩელის ფორმალური შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან

კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ „იგი ფორმით ... არ შეესაბამება ამ კანონის 31<sup>1</sup> მუხლით დადგენილ მოთხოვნებს“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ადგენს იმ ფორმალურ მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პირის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი. ქვემოთ მიმოხილულია ხსენებული ფორმალური მოთხოვნები და მათი განმარტებები.

1. კონსტიტუციური სარჩელი შედგენილი უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამტკიცებული, შესაბამისი სასარჩელო სააპლიკაციო ფორმის მიხედვით, რომლის შესაბამისადაც უნდა შეივსოს სარჩელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არ მიიღება არსებითად განსახილველად. სააპლიკაციო ფორმის ნახვა შეგიძლიათ სასამართლოს ვებგვერდზე: <https://constcourt.ge/ka/court/app-forms>.

2. კონსტიტუციურ სარჩელს ხელს უნდა აწერდეს/აწერდნენ მოსარჩელე/მოსარჩელები. დასახელებულ საკანონმდებლო მოთხოვნასთან მიმართებით, აუცილებელია შემდეგი გარემოების ცოდნა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მოსარჩელის ხელმოწერის სავალდებულობაა გუ-

<sup>36</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 სექტემბრის №2/7/812 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ჰაატა ბაურაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

ლისხმობს, რომ არცერთი სხვა პირი, მათ შორის, მოსარჩელის წარმომადგენელი, არ არის უფლებამოსილი, მოსარჩელის ნაცვლად მოაწეროს ხელი სარჩელს. ამდენად, ეს საკანონმდებლო მოთხოვნა იმპერატიული და უალტერნატივოა.

3. კონსტიტუციურ სარჩელში უნდა აღინიშნოს:

ა) *საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელება;*

ბ) *მოსარჩელისა და მოპასუხის სახელები და მისამართები* – „მოპასუხეა ის ორგანო/თანამდებობის პირი, რომლის აქტმაც, მოსარჩელის აზრით, გამოიწვია საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა“.<sup>37</sup> ამ საფუძვლით, საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენჯერმე თქვა უარი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე. მაგალითად, №723 კონსტიტუციურ სარჩელში სამართალწარმოების მოპასუხე მხარედ მითითებული იყო მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი, მაშინ, როდესაც სადავო განკარგულების მიმღები იყო საქართველოს მთავრობა. საკონსტიტუციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილის არსებით განხილვაზე უარის საფუძვლად განსაზღვრა სწორედ ის, რომ მოპასუხე მხარედ მითითებული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობა.<sup>38</sup>

გ) *სადავო სამართლებრივი აქტის, მისი მიმღების/გამომცემის სახელწოდება და მიღების/გამომცემის თარიღი* – ეს რეკვიზიტები ივსება სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფებში. აღსანიშნავია, რომ სადავო აქტის მიმღების/გამომცემის სახელწოდება და მიმღების/გამომცემის თარიღი მითითებულია თავად სადავო ნორმატიულ აქტში. ამავდროულად, მოპასუხე მხარესაც სწორედ სადავო აქტის მიმღები ორგანო/თანამდებობის პირი წარმოადგენს.

<sup>37</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 39, პუნქტი 2.

<sup>38</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/6/723 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მერი ბიგვაა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-1-3.

- დ) საქართველოს კონსტიტუციის დებულებები, რომლებსაც, მოსარჩელის აზრით, არ შეესაბამება/არღვევს სადავო სამართლებრივი აქტი, ან რომელთა დარღვევითაც მიიღეს/გამოიცა, ხელი მოეწერა, გამოქვეყნდა, ან ამოქმედდა საკანონმდებლო აქტი თუ პარლამენტის დადგენილება – აღნიშნული რეკვიზიტი მიეთითება სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში. ფორმალური შესაბამისობის შემოწმებისას ფასდება მხოლოდ ის, თუ რამდენად ახდენს მოსარჩელე მხარე კონსტიტუციის დებულებების იდენტიფიცირებას. სწორად ახდენს თუ არა უფლებების გამოყოფას, ეს უკვე კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსაზღვრულად მიღებისას კანონმდებლობის მოთხოვნების შინაარსობრივად დაცვის შეფასების ნაწილია.
- ე) მტკიცებულებები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, ადასტურებს კონსტიტუციური სარჩელის საფუძვლიანობას – ეს საკანონმდებლო მოთხოვნა არ გულისხმობს აუცილებლად რაიმე წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებების, ექსპერტიზის დასკვნის, ან სხვა სახის მტკიცებულებათა წარდგენას მოსარჩელისგან. ვინაიდან კონსტიტუციური მართლმსაჯულების ფარგლებში ფასდება ამა თუ იმ ნორმატიული წესის თავისუფლება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან, შესაძლოა, ამ პროცესში კონსტიტუციური სარჩელის დასაკმაყოფილებლად საკმარისი აღმოჩნდეს მხოლოდ მოსარჩელეთა არგუმენტაცია ნორმის არაკონსტიტუციურობაზე. შესაბამისად, როგორც წესი, მოსარჩელეთა მიერ წარდგენილი არგუმენტაცია მიიჩნევა მტკიცებულებად. ბუნებრივია, ეს არ გამოორიცხავს, ცალკეული ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელეთა მხრიდან სხვა მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულებას. თუმცა, კონსტიტუციური სარჩელის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებისას, არ ხდება წარმოდგენილი მტკიცებულებების შინაარსობრივი შეფასება/ანალიზი.
- ვ) მოთხოვნის არსი – იგი მიეთითება სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში და გულისხმობს მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებული აქტის/კონკრეტული ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას კონსტიტუციის კონკრეტულ დებულებასთან მიმართებით.

ზ) საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის დებულებები, რომლებიც მოსარჩელეს აძლევს კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლებას – ეს ფორმალური მოთხოვნა გულისხმობს მოსარჩელე მხარის ვალდებულებას, მიუთითოს, თუ რომელი საკანონმდებლო დებულებები აძლევს მას კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის უფლებამოსილებას. კერძო პირთა მიერ სარჩელის შეტანისას, როგორც წესი, ამგვარ დებულებებად აღინიშნება: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში დასახელებული დებულებები უნდა მიეთითოს. აღსანიშნავია, რომ ეს, ერთი შეხედვით, ფორმალური საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში რამდენჯერმე გახდა სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>39</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია, მოსარჩელებმა ზედმიწევნით შეასრულონ კანონმდებლობის ეს მოთხოვნა.

თ) კონსტიტუციური სარჩელისთვის დართული საბუთების ჩამონათვალი, აგრეთვე იმ პირთა სია და მისამართები, რომლებიც, მოსარჩელის აზრით, უნდა გამოიძახოს საკონსტიტუციო სასამართლომ – თანდართული საბუთების ნუსხა მიეთითება კონსტიტუციური სარჩელის სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფაში, ხოლო კონკრეტულ პირთა სიისა და მისამართების აღნიშვნა საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მათი გამოძახება სავალდებულოა საქმის გადასაწყვეტად. როგორც წესი, კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელის მხრიდან პირთა სიის მითითება და მათი საკონსტიტუციო სასამარ-

<sup>39</sup> იხ.: მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 27 ივნისის №16/455 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური სარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“; ასევე, 2017 წლის 7 აპრილის №1/6/748 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალაღინ მამედოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თლოში გამოძახება იშვიათია. საკონსტიტუციო სასამართლოს თავადაც ევალება საკითხის სრულყოფილად მოკვლევა. ამ ვალდებულების შესრულებისას კი, საჭიროების შემთხვევაში, იგი თავად იძახებს მოწმეებს/ექსპერტებს/სპეციალისტებს/საჯარო დაწესებულებათა წარმომადგენლებს.

- ი) მოთხოვნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესახებ – თუ მოსარჩელეს სურს მსგავსი მოთხოვნის დაყენება, იგი ავსებს სარჩელის სააპლიკაციო ფორმის შესაბამის გრაფას.
- 4. კონსტიტუციური სარჩელი და მისთვის დართული საბუთები შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;
- 5. კონსტიტუციურ სარჩელს უნდა ერთვოდეს:
  - ა) სადავო სამართლებრივი აქტის/ნორმის ტექსტი – მოსარჩელეს შეუძლია, სადავო ნორმა ციტირებული ფორმით გადმოიტანოს ცალკე ტექსტად და დაურთოს კონსტიტუციურ სარჩელს, „საქართველოს საკანონმდებლო მაცნედან“ ჩამოტვირთოს, ანდა ნებისმიერი სხვა ფორმით გახადოს იგი იდენტიფიცირებადი. ამ ფორმალური მოთხოვნის დაუცველობა არაერთხელ გამხდარა შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.<sup>40</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია, სადავო ნორმის ტექსტი მოსარჩელის მხრიდან ზედმიწევნით ზუსტად იყოს იდენტიფიცირებული.
  - ბ) მოსარჩელის წარმომადგენელთა და ინტერესების დამცველთა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი, რომელშიც მითითებულია მათი მისამართები;
  - გ) საბანკო დაწესებულების საბუთი სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ – კონსტიტუციური სარჩელი იბეგრება სახელმწიფო ბაჟით.<sup>41</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს არა აქვს სახელმწიფო

<sup>40</sup> იხ.: მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის №2/4/621 განჩინება საქმეზე „შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუღებელი კარდიოლოგიის ცენტრი“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“; ასევე, 2017 წლის 21 აპრილის №1/7/727 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი სენიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>41</sup> იხ. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 50, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა“.

ბაჟის გადახდისგან გათავისუფლების, მისი გაზრდის ან შემცირების უფლება.<sup>42</sup> უშუალოდ სახელმწიფო ბაჟის ოდენობას და გადახდის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“. დასახელებული კანონის თანახმად, ფიზიკური პირის მიერ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი 10 ლარია<sup>43</sup>, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში, ამ ეტაპზე სახელმწიფო ბაჟი კანონით გათვალისწინებული არ არის.<sup>44</sup> საგულისხმოა, რომ ბაჟი გადაიხდება კონსტიტუციურ სარჩელზე და მისი ოდენობა არ იცვლება მოსარჩელეთა რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, მაშინაც კი, თუ სარჩელში რამდენიმე მოსარჩელეა მითითებული, ბაჟის თანხა გადაიხდება ერთხელ. გადახდა შეიძლება დადასტურდეს, მათ შორის, ელექტრონული გადარიცხვის ქვითრით.

დ) კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია – შევსებული კონსტიტუციური სარჩელის ელექტრონული ვერსია მოსარჩელე მხარემ უნდა დაიტანოს ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე (მაგ.: კომპაქტდისკზე) და დაურთოს კონსტიტუციურ სარჩელს. აღსანიშნავია, რომ სარჩელი სასამართლოში ელექტრონული ფორმით არ შეიტანება: ის უნდა გაიგზავნოს ფოსტით, ან ადგილზე ჩაბარდეს საორგანიზაციო დეპარტამენტს.

ასეთია ფორმალური მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც პირმა უნდა შეადგინოს კონსტიტუციური სარჩელი და წარადგინოს საკონსტიტუციო სასამართლოში. როგორც აღინიშნა, კონსტიტუციურ სარჩელში არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის აღმოჩენისას, იგი რეგისტრაციაში ტარდება საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის თანხმობით და მოსარჩელეს ან მის წარმომადგენელს ეძლევა 15 დღე უზუსტობის გამოსასწორებლად.<sup>45</sup> ამდენად, არაარსებითი, ფორმალური უზუსტობის გამოსწორება შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილი თანამშრომლის მითითებითაც, რაც, რიგ შემთხვევებ-

<sup>42</sup> იქვე, მუხლი 50, პუნქტი 3.

<sup>43</sup> სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად საჭირო ფინანსური რეკვიზიტები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: <https://constcourt.ge/ka/court/app-forms>.

<sup>44</sup> საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 3.

<sup>45</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 31<sup>2</sup>, პუნქტი 1.

ში, აზღვევს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარს კანონთან ფორმით შეუსაბამობის მოტივით. ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენისას იყოს ფორმალურად გამართული, რათა მოსარჩელებმა თავიდან აიცილონ შემდგომი გართულებები და პროცესის გაჭიანურება.

## 2. კონსტიტუციური სარჩელის შინაარსობრივი შესაბამისობა კანონით დადგენილ მოთხოვნებთან – სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნა

კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ „იგი ... შინაარსით არ შეესაბამება ამ კანონის 31<sup>1</sup> მუხლით დადგენილ მოთხოვნებს“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

კონსტიტუციურ სარჩელთა უმრავლესობის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველია მათი შინაარსობრივი შეუსაბამობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. იმისათვის, რომ სარჩელი შინაარსობრივად კანონის შესაბამისად ჩაითვალოს, აუცილებელია მისი დასაბუთება. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, კერძოდ, მისი 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ადგენს კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობისა და იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის ვალდებულებას, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას.<sup>46</sup> საკონსტიტუციო სასამართლო, ძირითადად, სწორედ ზემოაღნიშნულ საფუძველს იყენებს, რათა არ გადაიტვირთოს უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი სარჩელებით და არ შემცირდეს კონსტიტუციური კონტროლის ეფექტიანობა.

ამასთან, მნიშვნელოვანია, დასაბუთებას შეიცავდეს უშუალოდ კონსტიტუციური სარჩელი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე მხარე დაუსაბუთებელ

<sup>46</sup> დამატებით იმავე მოთხოვნას ადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 31<sup>1</sup>, პუნქტი 1.

კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითებდა, რომ სათანადო არგუმენტაციას სხდომაზე ზეპირად წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მსგავს სარჩელებს არ იღებს განსახილველად (ამგვარ საპროცესო შესაძლებლობას არც კანონმდებლობა იძლევა). ერთ-ერთ ასეთ სარჩელთან მიმართებით, სასამართლომ განმარტა, რომ „კონსტიტუციურ სარჩელში არ არის წარმოდგენილი სათანადო არგუმენტაცია, რომელიც წარმოაჩენდა შინაარსობრივ მიმართებას სადავო ნორმასა და კონსტიტუციის მეორე თავის კონკრეტული დებულებით აღიარებულ უფლებას შორის. მოსარჩელეს არ მოუხდენია იდენტიფიცირება, კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებული რომელი უფლება იზღუდება სადავო ნორმით. ამასთანავე, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას ვერ განაპირობებს მოსარჩელის მითითება დეტალური დასაბუთების არსებითი განხილვის სხდომაზე წარმოდგენის თაობაზე, ვინაიდან კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, სათანადო არგუმენტაცია წარმოდგენილი იყოს უშუალოდ სარჩელში, და არა ზეპირსიტყვიერად არსებითი განხილვის სხდომაზე“.<sup>47</sup>

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთება მოიცავს ორ ასპექტს:

1. დასაბუთება შინაარსობრივად უნდა შეეხებოდეს სადავო ნორმას<sup>48</sup> – მოსარჩელემ სწორად უნდა შეარჩიოს ნორმა, რომელიც მის უფლებებს ზღუდავს;
2. მასში გამოკვეთილი უნდა იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან მიმართებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას.<sup>49</sup> ეს, ძირითადად,

<sup>47</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/12/1310 განჩინება საქმეზე „შპს „ნავთლული“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>48</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – მალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

<sup>49</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

მოიზრებს იმ უფლების სწორად იდენტიფიცირებას, რომელსაც, მოსარჩელის პოზიციით, არღვევს მის მიერ გასაჩივრებული ნორმა.

ამდენად, შესაძლოა, კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული იყოს და ნათლად წარმოჩინდეს ამა თუ იმ წესის შესაბამობა კონსტიტუციასთან, თუმცა სადავო ნორმის ან/და კონსტიტუციის შესაბამისი დებულების არასწორად მითითება, კანონმდებლობისა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის საფუძველი ხდება. „იღებს რა კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად, სასამართლო თვლის, რომ არსებობს შინაარსობრივი მიმართება, ერთი მხრივ, მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულ ნორმებსა და ამ ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ხოლო მეორე მხრივ – კონსტიტუციის იმ ნორმებს შორის, რომლებთან მიმართებითაც არის დამდგარი კონსტიტუციურობის საკითხი. სწორედ ეს მიმართება აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს საფუძველს, რომ არსებითი განხილვისას მას ექნება ობიექტური შესაძლებლობა, იმსჯელოს სადავო ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე“.<sup>50</sup>

კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის ზემოაღნიშნულ საფუძველთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ ვრცელი პრაქტიკა განავითარა. მისი ცოდნა პოტენციურ მოსარჩელეებს დაეხმარება კონსტიტუციური სარჩელის/სასარჩელო მოთხოვნის სწორად ფორმირებაში და არსებითად დააზღვევს მათი მხრიდან შეცდომის დაშვების რისკებს. აღნიშნული ქვეთავი სწორედ დასაბუთებასთან დაკავშირებულ სასამართლო სტანდარტებს მიმოიხილავს.

## 2.1 დასაბუთება შინაარსობრივად უნდა შეეხებოდეს სადავო ნორმას

კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, პირი ვალდებულია, თავად მოახდინოს იმ ნორმის იდენტიფიცირება, რომელიც მის უფლებებს ზღუდვას. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 26-ე

<sup>50</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2/389 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არ აქვს, იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე, თუ მოსარჩელე ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას. ამავდროულად, სადავო ნორმის სწორად იდენტიფიცირება რთული და კომპლექსური საკითხია. წინამდებარე ქვეთავი იმ სტანდარტებს შეეხება, რომელთა ცოდნაც მოსარჩელებს დაეხმარებათ სადავო ნორმის სწორად განსაზღვრაში.

### 2.1.1 სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრა

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმაში ის პრობლემა უნდა ამოიკითხოს, რომელზეც მოსარჩელე მხარე აპელირებს. დადგენილი პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ ნორმა მოსარჩელის მიერ მითითებული შინაარსით განიმარტოს, იგი ან ცხადად უნდა გამომდინარეობდეს თავად ნორმიდან, ან/და ამას ადასტურებდეს სამართალშემფარდებლის ავტორიტეტული განმარტება.<sup>51</sup> სწორედ ხსენებული კრიტერიუმის გამოყენებით განსაზღვრავს საკონსტიტუციო სასამართლო, რამდენად აქვს სადავო ნორმას მოსარჩელის მიერ მითითებული შინაარსი.

სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებაში, ძირითადად, მოიაზრება ნორმატიული აქტის განმარტება საერთო სასამართლოთა მხრიდან, რომლებიც მას მიუსადაგებენ/შეუფარდებენ ინდივიდუალურ გარემოებებს და, რიგ შემთხვევებში, თავადაც სძენენ არაკონსტიტუციურ შინაარსს. საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას, საკონსტიტუციო სასამართლო, სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, მხედველობაში იღებს მისი გამოყენების პრაქტიკას. საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ

<sup>51</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №3/4/858 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლამა ჩალაძე, გივი კაპანაძე და მარია თოდუა საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-4.

გამოყენებასა და, შესაბამისად, აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა. თუმცა ამ ზოგადი წესიდან შეიძლება რამდენიმე გამონაკლისი არსებობდეს, მათ შორის, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო დარწმუნდება, რომ ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები წინააღმდეგობრივია. ასეთ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება, რომ საერთო სასამართლოს მიერ სადავო ნორმის შინაარსი საბოლოოდ განისაზღვრა. გარდა ამისა, გამონაკლის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, არ მიიღოს საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, თუ ის აშკარად არაგონივრულია.<sup>52</sup>

თუ არ არსებობს საერთო სასამართლოთა პრაქტიკა კონკრეტულ ნორმასთან მიმართებით, ავტორიტეტულ განმარტებაში შესაძლოა მოიაზრებოდეს იმ ორგანოს განსაზღვრება, რომელსაც ევალება აღნიშნული ნორმის პრაქტიკაში გამოყენება და აღსრულება.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ნორმა შესაძლოა ერთდროულად ადგენდეს მრავალ წესს, თუმცა მოსარჩელისათვის პრობლემური იყოს არა მათი ერთობლიობა, არამედ მხოლოდ ერთი წესი. როდესაც შესაძლებელია ნორმით დადგენილი კონკრეტული წესრიგის იდენტიფიცირება და გამოყოფა, საკონსტიტუციო სასამართლო არაკონსტიტუციურად ცნობს არა მთლიან ნორმას, არამედ კონკრეტულ ნორმატიულ შინაარსს. ამდენად, სადავო ნორმიდან ნორმატიული შინაარსის გამოყოფა ინსტრუმენტული შესაძლებლობაა საკონსტიტუციო სასამართლოსთვის, რომლის მეშვეობითაც აფასებს მოსარჩელისთვის პრობლემურ წესს და არაკონსტიტუციურად ცნობს მხოლოდ კონკრეტულ შინაარსს. შედეგად, ნორმა მთლიანად არ კარგავს ძალას – საფუძველი ეცლება მის გამოყენებას მხოლოდ კონკრეტული შინაარსით. ამგვარად,

<sup>52</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

შესაძლებელი ხდება ძალის შენარჩუნება ნორმის იმ შინაარსისათვის, რომლის მიმართაც მოსარჩელეს პრობლემა არ აქვს, ან/და არ იკვეთება კონსტიტუციურობის პრობლემა.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- სადავო ნორმის შინაარსის განმარტებისას, საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, ეყრდნობა თავად ნორმას – თუ რამდენად ცხადად იკითხება მოსარჩელის მიერ მითითებული შინაარსი ნორმის ტექსტიდან – ხოლო მეორე მხრივ, სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებას. როგორც წესი, სამართალშემფარდებლის ავტორიტეტულ განმარტებად მიიჩნევა საერთო სასამართლოთა მიერ სადავო ნორმის განმარტებისა და გამოყენების პრაქტიკა.
- ჩვეულებრივ, საკონსტიტუციო სასამართლო, საკანონმდებლო ნორმას იღებს და განიხილავს იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც საერთო სასამართლომ გამოიყენა. იგი უფლებამოსილია, არ მიიღოს საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, თუ:
  - ა) ერთი და იმავე ინსტანციის სასამართლოს განმარტებები წინააღმდეგობრივია;
  - ბ) საერთო სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება აშკარად არააგონივრულია.

### **2.1.2 აღმჭურველი ნორმის გასაჩივრება**

თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ძირითადი უფლებები და თავისუფლებები რაიმე ფორმით ერღვევა, კონსტიტუციური სარჩელის წარდგენისას სადავო უნდა გახადოს სწორედ შემზღუდველი წესის დამდგენი ნორმა. შემზღუდველია ნორმა, რომელიც უფლებათა განხორციელებისას ამცირებს ადამიანის თავისუფალი მოქმედების ფარგლებს.<sup>53</sup> ხშირად, მოსარჩელები შეცდომას უშვებენ და სადავოს ხდიან ნორმას, რომელიც მათ რაიმე უფლებას ანიჭებს – როგორც წესი,

<sup>53</sup> *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

მხოლოდ იმიტომ, რომ უფლებადმჭურველი ნორმა იმავდროულად აწესრიგებს მოსარჩელეთათვის პრობლემურ საკითხს.

მაგალითად, №1232 კონსტიტუციური სარჩელით<sup>54</sup> მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმას. ამ ნორმის თანახმად, საერთო სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან თავისუფლებოდნენ ის ფიზიკური პირები, რომელთა დავის საგანსაც წარმოადგენდა ხელფასის გადახდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ან სხვა მოთხოვნა შრომის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ არაკონსტიტუციური იყო სადავო ნორმის ის შინაარსი, რომელიც პირს ავალდებულებდა, სახელმწიფო ბაჟი გადაეხადა სამსახურებრივ დავაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისას და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ დავებზე. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის შინაარსი ითვალისწინებდა მხოლოდ პირთა გარკვეული კატეგორიის გათავისუფლებას სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და არ განსაზღვრავდა რაიმე ვალდებულებას, თუ ვის და რომელ სარჩელებზე უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა იყო გამონაკლისი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ზოგადი წესიდან და ჰქონდა აღმჭურველი ბუნება. ამ არგუმენტაციიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად. ვინაიდან მოსარჩელისათვის პრობლემური საკითხი იყო ბაჟის გადახდის ვალდებულება ცალკეულ სამართლებრივ კატეგორიაზე, მას სადავო უნდა გაეხადა ნორმა, რომელიც ადგენს ზოგადად ბაჟის გადახდევინების ვალდებულებას (კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

ანალოგიური საფუძვლით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია №1460 სარჩელი<sup>55</sup>, რომლითაც მოსარჩელე, სხვა საკითხებს შორის, ასაჩივრებდა საქართველოს სასჯელადასრულებისა

<sup>54</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 12 ივლისის №1/11/1232 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ივანე პეტრიაშვილი და ელენე მახარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>55</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/6/1460 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“.

და პრობაციის მინისტრის ბრძანებებით დადგენილ წესს. ეს წესი, გამონაკლისის სახით, პენიტენციურ დაწესებულებაში დასაშვებად მიიჩნევა არაუმეტეს 100-ფურცლიანი ოფიციალური დოკუმენტის ფლობას. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმის მოქმედების პირობებში, ნებისმიერი ტიპის პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ერთმეოდა შესაძლებლობა, დაუფლებოდა და დაწესებულებაში შეენახა არაოფიციალური და 100 გვერდზე მეტი ოფიციალური დოკუმენტაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული ნორმა, თავისი შინაარსით, აღმჭურველი ბუნების იყო და წარმოადგენდა საგამონაკლისო წესს დაწესებულებაში დოკუმენტის ფლობის ზოგადი აკრძალვიდან. მართალია, მოსარჩელე საკუთარ სასარჩელო არგუმენტაციაში მიუთითებდა, რომ ამგვარი ფორმით ოფიციალურ დოკუმენტაციაზე წვდომა მაინც პრობლემური გახლდათ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისთვის (სადავო ნორმაში მითითებული რაოდენობრივი შეზღუდვის გამო), თუმცა აღნიშნული არგუმენტი ეჭვქვეშ ვერ დააყენებდა თავად საგამონაკლისო წესის აღმჭურველ ბუნებას. მოსარჩელისათვის პრობლემური შინაარსი, რომ პატიმარს არ შეეძლო პენიტენციურ დაწესებულებაში ჰქონოდა 100 გვერდზე მეტი ოფიციალური დოკუმენტაცია, მომდინარეობდა არა აღმჭურველი საგამონაკლისო წესიდან, არამედ ჩანაწერიდან, რომელიც დაწესებულებაში აკრძალულ ნივთად ასახელებდა ნებისმიერ დოკუმენტს. ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, სასამართლომ სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად.

თუმცა, შესაძლებელია არსებობდეს გარკვეული შემთხვევები, როდესაც, ერთი შეხედვით, აღმჭურველი ნორმა ამავდროულად შემზღუდველ წესსაც შეიცავს. მაგალითად, ამ არგუმენტაციით საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ადგენდა, რომ „მხარეებმა შუამდგომლობა შეიძლება დააყენონ ამ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ხსენებული ნორმა, ერთი მხრივ, აღჭურავს მხარეებს კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში შუამდგომლობის დაყენების უფლებით, ხოლო მეო-

რე მხრივ, გამორიცხავს მხარეთა მიერ სხვა შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას“.<sup>56</sup> ამდენად, მოსარჩელისთვის პრობლემური გარემოება, რომ მას არ აქვს სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაზე მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება, მომდინარეობს სწორედ დასახელებული ნორმიდან: ეს ნორმა შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას მხარეებს ანიჭებს მხოლოდ კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

აღსანიშნავია, რომ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, განსხვავებულია აღმჭურველი ნორმის გასაჩივრების სტანდარტები (ვრცლად იხ. [ქვეთავი 2.2.2.3](#)).

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- მოსარჩელემ სადავო უნდა გახადოს არა აღმჭურველი, არამედ შემზღუდველი ნორმა. აღმჭურველი ნორმა პირს ანიჭებს უფლებას, შესაძლებლობას, ხოლო შემზღუდველი ნორმის შედეგი გახლავთ ადამიანის თავისუფალი მოქმედების ფარგლების შემცირება უფლებათა განხორციელებისას (დასახელებული სტანდარტი არ მიემართება ნორმის გასაჩივრებას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით).
- ამავდროულად, შესაძლებელია არსებობდეს შემთხვევები, როდესაც, ერთი შეხედვით, აღმჭურველი ნორმა შემზღუდველ წესსაც შეიცავს. ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე უფლებამოსილია, სადავოდ გახადოს მსგავსი შინაარსის რეგულირება.

### **2.1.3 პირდაპირი ამკრძალავი ნორმის არარსებობისაა უფლებაშემზღუდველი წესის იდენტიფიცირება**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც მოსარჩელეთათვის პრობლემურია ამა თუ იმ ნორმატიულ აქტში შესაბამისი უფლების/უფლებრივი გარანტიის არარსებობა. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ უფლებაშემზღუდველი წესი, ისეთ ვითარებაში, როდესაც რაიმე სამართლებრივი აქტი უფლებრივ გარანტიას არ ადგენს,

<sup>56</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

რთულია სადავო ნორმის იდენტიფიცირება. ასეთ დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მოსარჩელე მხარემ უნდა გაასაჩივროს ნორმა, რომელიც პირდაპირ აკრძალვას შეიცავს, ხოლო ამგვარი ნორმის არარსებობისას – ნორმა, რომელიც ადგენს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას უფლების დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის გარეშე (ინსტიტუტის დამდგენი ნორმა).

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>57</sup> მოსარჩელე მხარე პრობლემურად მიიჩნევდა სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის შესახებ შუამდგომლობის დაყენების შეუძლებლობას და ასაჩივრებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს. ამ ნორმის თანახმად, „წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის მიერ მტკიცებულების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, თავისთავად, არ იწვევს ბრალდებულისთვის მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული უფლების შეზღუდვას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მას უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობა, მან უნდა მოითხოვოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც ზღუდავს მსგავსი შუამდგომლობის დაყენების უფლებას. ასეთი ნორმის არარსებობის შემთხვევაში მოსარჩელემ შესაძლებელია, გაასაჩივროს თავად ის საპროცესო ნორმა (ინსტიტუტი), რომელიც, მისი აზრით, დაუშვებელი მტკიცებულებების გამოყენებით ზღუდავს მის უფლებებს. ამდენად, სადავო ნორმის შემზღუდველი ხასიათის წარმოსაჩენად მოსარჩელე მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ ნორმის საფუძველზე, მას ეზღუდება კონსტიტუციით გარანტირებული რომელიმე საპროცესო ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობა ან/და უფლებაშემზღუდველი აქტი მის მიმართ მიიღება სათანადო პროცესუალური გარანტიების დაცვის გარეშე“.<sup>58</sup>

<sup>57</sup> იხ. №1472 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>58</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

ერთ-ერთ სხვა სარჩელში<sup>59</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა შემდეგ გარემოებას: ქონების აუქციონზე რეალიზაციისას აღმასრულებელს არ ევალებოდა, რომ მოვალის საკუთრებაში არსებული რამდენიმე ქონებიდან იძულებით აუქციონზე უპირველესად ის ქონება გაეტანა, რომელსაც ჰქონდა კრედიტორის მოთხოვნის პროპორციული ღირებულება; ამასთან, შესაძლებლობის შემთხვევაში, ერთი საკადასტრო კოდის ქვეშ მოქცეული უძრავი ნივთი დაეყო ნაწილებად/ლოტებად და იძულებით აუქციონზე გაეყიდა მოთხოვნის პროპორციული წილი. ამდენად, მოსარჩელე მხარისთვის პრობლემური გახლდათ აღმასრულებლის მიმართ გარკვეული ვალდებულებების არარსებობა ქონების აუქციონზე რეალიზაციისას. საკონსტიტუციო სასამართლომ დასაბუთებულ საქმეში მიუთითა, რომ „ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელემ უნდა მოითხოვოს იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელიც აღსრულების ეროვნული ბიუროს ამგვარ ვალდებულებებს ექსპლიციტურად გამორიცხავს. აღსანიშნავია, რომ, მოსარჩელის მითითებით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს ამგვარ დანაწესს. მსგავსი სპეციალური ნორმის არარსებობის შემთხვევაში კი მოსარჩელე მხარემ უნდა გაასაჩივროს კანონის ის დებულება, რომელიც ადგენს უფლების შეზღუდვის საფუძველს, მოცემულ შემთხვევაში – აღმასრულებლის ზოგად უფლებამოსილებას, გაყიდოს მოვალის ქონება [...]. აღმასრულებლის ხსენებული უფლებამოსილება დადგენილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით. სწორედ ამ ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმების ფარგლებში ექნება საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა, შეაფასოს, აღმასრულებლისთვის ქონების გაყიდვის უფლებამოსილების მინიჭებასთან ერთად, რამდენად ითვალისწინებს კანონმდებლობა მოვალის საკუთრების უფლების დაცვის სათანადო გარანტიებს“.<sup>60</sup>

მსგავსი არგუმენტაციით, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა არაერთი სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზე.<sup>61</sup>

<sup>59</sup> იხ. №1433 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>60</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/8/1433 განჩინება საქმეზე „მპს „ტრანსკავკასიის კრისტალი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>61</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის

## დასკვნები/რეკომენდაციები:

- თუ არ არსებობს პირდაპირი აკრძალვის დამდგენი, შემზღუდველი ნორმა, მოსარჩელე მხარემ უნდა გაასაჩივროს ის წესი, რომელიც ადგენს უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას, უფლების დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის გარეშე (ინსტიტუტის დამდგენი ნორმა).

### 2.1.4 ნორმატიულ აქტში გამოყენებულ „ტერმინთა განმარტების“ გასაჩივრება

საკანონმდებლო ტექნიკის გათვალისწინებით, ნორმატიული აქტების უმრავლესობა შეიცავს მასში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებას, რომლებსაც, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, როგორც წესი, არ აქვთ უფლების შემზღუდველი ეფექტი. ნორმატიული აქტით დადგენილი ამგვარი განმარტებები ემსახურება შესაბამისი ცნების განსაზღვრას და დამოუკიდებლად არ ახდენს გავლენას პირის უფლებებზე. სასამართლო პრაქტიკაში არაერთხელ გამოიკვეთა შემთხვევა, როდესაც მოსარჩელები სადაოდ ხდიდნენ საკანონმდებლო ცნების განმარტებას.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>62</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობას. სადავო ნორმა განმარტავდა „უხამსობის“ ცნებას. მოსარჩელის პოზიციით, ამ ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებდა ფაქტი, რომ სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, უხამსობად ითვლებოდა ნებისმიერი უცნაურობა სიტყვა (მიუხედავად იმისა, რა ვითარებაში იყო წარმოთქმული) და მოჰყვებოდა შესაბამისი პასუხისმგებლობა. საკონსტიტუციო სა-

---

№1/23/824 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი დგებუაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/821 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2018 წლის 23 მარტის №2/10/1285 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6; 2019 წლის 7 თებერვლის №2/1/1322 განჩინება საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13; 2019 წლის 17 დეკემბრის №1/11/1361 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზურაბ გირჩი ჯაფარიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

<sup>62</sup> იხ. №1305 კონსტიტუციური სარჩელი.

სამართლოს თანახმად, ამ შემთხვევაში საკანონმდებლო დეფინიცია გამოიყენებოდა კანონის ინტერპრეტაციისთვის და წარმოადგენდა კონკრეტული სამართლებრივი ტერმინის განმარტების მექანიზმს. მისი მიზანი გახლდათ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის სხვადასხვა ნორმაში გამოყენებული „უხამსობის“ ცნების განსაზღვრა. სადავო ნორმა არ აღგენდა რაიმე სამართლებრივ შედეგს უხამსობის განხორციელებისათვის და არ ქმნიდა უფლებაში ჩარევის დამოუკიდებელ, თვითმყოფად საფუძველს.<sup>63</sup> ამდენად, მოსარჩელე მხარეს უნდა გაესაჩივრებინა ის ნორმა, რომელიც კრძალავდა/დასჯადად აცხადებდა უცენზურო სიტყვის წარმოთქმას, ასეთი ნორმა კი გახლდათ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი, რომელიც ზემოაღნიშნულ ქმედებას წვრილმან ხულიგნობად აკვალიფიცირებდა და აწესებდა შესაბამის პასუხისმგებლობას.

ამავე არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ ტერმინთა განმარტება სხვა საქმეებშიც არ მიიღო არსებითად განსახილველად.<sup>64</sup> ამდენად, როგორც წესი, ტერმინთა დეფინიცია, შესაბამისი იურიდიული შედეგის განსაზღვრის გარეშე, არ განაპირობებს მოსარჩელის უფლების შემზღუდვას.

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- როგორც წესი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიულ აქტში გამოყენებულ „ტერმინთა განმარტებაში“ არ კითხულობს უფლების შემზღუდველ წესს; შესაბამისად, მას არ იღებს არსებითად განსახილველად.

### **2.1.5 ნორმატიულ აქტში გამოყენებული გრამატიკული ერთეულის გასაჩივრება**

ამა თუ იმ ნორმის არსებითად განსახილველად მიღებისათვის, აუცილებელია, უფლების შემზღუდველი წესი მომდინარეობდეს თა-

<sup>63</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის №2/21/1305 განჩინება საქმეზე „კონსტანტინე ჩაჩანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

<sup>64</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №2/15/1423 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ანი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, 2019 წლის 24 ოქტომბრის №2/11/1276 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ვად სადავო ნორმიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოსარჩელები ხშირად სადავოდ არ ხდიან უფლების შემზღუდველ რეგულაციას: ისინი მოითხოვენ კონკრეტული სიტყვების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც დამოუკიდებლად არ ადგენენ რაიმე წესს. ამგვარად, მოსარჩელები ცდილობენ არა უფლებაშემზღუდველი წესის გაუქმებას, არამედ ნორმის შინაარსის ხელოვნურად (სადავო სიტყვების ამოღებით) გაფართოებას და, რიგ შემთხვევებში, სცდებიან სადავო ნორმის შინაარსს.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>65</sup> მოსარჩელე მხარე ასაჩივრებდა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესის და პირობების“ მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვებს – „მხედველობის გამო“. მთლიანად ნორმა კი დადგენილებაში ამგვარად იყო ფორმულირებული: „სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა“.

საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად და განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სადავო დადგენილების ცნება „მხედველობის გამო“ დამოუკიდებლად არ განსაზღვრავდა რაიმე ქვევის წესს და ვერ მიიჩნეოდა ავტონომიური შინაარსის მქონე უფლებაშემზღუდველ ნორმად (ნორმატიული აქტი). ეს სიტყვები ქმნიდნენ გრამატიკულ ერთეულს და წესს ადგენდნენ მხოლოდ სხვა სიტყვებთან კავშირში. „მხედველობის გამო“, ისეთ სიტყვებთან ერთად, როგორცაა „მნიშვნელოვნად გამოსატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა“, განსაზღვრავდა სუბიექტთა ერთ ჯგუფს, რომელთათვისაც საჯარო საქმიანობის განხორციელება არ გამორიცხავდა სოციალური დახმარების მიღებას. მოსარჩელის აზრით, ხსენებული სიტყვები მის მიერ სოციალური პაკეტის მიღების შესაძლებლობას გამორიცხავდა, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით, სადავო სიტყვებს დამოუკიდებელი შინაარსი არ ჰქონდა.

<sup>65</sup> იხ. №881 კონსტიტუციური სარჩელი.

ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი არგუმენტაცია არ მიემართებოდა ნორმის სადავო ნაწილს.<sup>66</sup>

ამასთანავე, სასამართლოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნის სათანადო დასაბუთებად ვერ ჩაითვლებოდა გარემოება, რომ აღნიშნული სიტყვების წაშლით შესაძლოა მიღებულიყო მოსარჩელისათვის სასურველი ნორმატიული მოცემულობა. კერძოდ, სიტყვების – „მხედველობის გამო“ – მექანიკური ამოღებით შესაძლოა მართლაც გადაჭრილიყო მოსარჩელის პრობლემა, თუმცა, სასამართლოს განმარტებით, „საკონსტიტუციო სასამართლო, წარმოადგენს რა საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს, ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებას ახორციელებს ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად და, შესაბამისად, ძალადაკარგულად ცნობის გზით. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოსარჩელეთა მოთხოვნა, რომელიც მიმართულია არა არსებული ნორმატიული მოცემულობის არაკონსტიტუციურობის მტკიცებისაკენ, არამედ სადავო ნორმიდან შესაბამისი სიტყვების ამოღების გზით ახალი შინაარსის ნორმის მიღებისკენ“.<sup>67</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ცალკეულ შემთხვევაში სადავო ნორმის ტექსტის რომელიმე კონკრეტულ გრამატიკულ ერთეულში (სიტყვა/სიტყვათა ჯგუფი) შესაძლებელია იკითხებოდეს დამოუკიდებელი, ავტონომიური ნორმატიული შინაარსი. ასეთ დროს სასამართლო შესაფასებელ მოცემულობად იღებს ნორმის ასეთ გამოხატულებას და აფასებს ამ გრამატიკულ ერთეულში გამოვლენილი ქცევის წესის კონსტიტუციურობას. თუმცა, სასამართლო ცალკეული სიტყვ(ებ)ის არაკონსტიტუციურად ცნობაზე სასარჩელო მოთხოვნას არსებითად განსახილველად იღებს და აფასებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე ასაბუთებს, რომ სწორედ ამ ნაწილში გამოიხატება მისთვის პრობლემური ნორმატიული შინაარსი, და არა როდესაც მოსარჩელეს ნორმის ტექსტიდან

<sup>66</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის №2/8/881 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანა მანსურაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>67</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

სიტყვების მექანიკურად ამოღებით სურს ახალი, მისთვის სასურველი ნორმის მიღება.<sup>68</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მხარე არაკონსტიტუციურად თვლიდა ადმინისტრაციული სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას მარიხუანას უკანონო მოხმარებისთვის და ასაჩივრებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის სიტყვებს „ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება“.<sup>69</sup> ზემოთ მოყვანილი მაგალითებისგან განსხვავებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო აღნიშნულ სიტყვები არსებითად განსახილველად და მიიჩნია, რომ მათ საფუძველზე დადგენილი იყო ნარკოტიკული საშუალება მარიხუანას ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების დასჯადობა. შესაბამისად, ამ გრამატიკულ ერთეულში სასამართლომ ამოიკითხა დამოუკიდებელი წესის დამდგენი ნორმატიული შინაარსი.

ამდენად, მოსარჩელეს ევალება, სადავო ნორმა მთლიანად ან ნაწილობრივ გაასაჩივროს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სადავო ნორმებიდან გარკვეული ნორმატიული წესის ამოკითხვა, მისი შინაარსის იდენტიფიცირება და კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე მსჯელობა. სასამართლო ვერ იმსჯელებს ცალკეული, ნორმატიული შინაარსის არმქონე სიტყვების კონსტიტუციურობაზე. სიტყვების მექანიკურად ამოღებით ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნა სცდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას და ამგვარი მოთხოვნა არ მიიღება არსებითად განსახილველად.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმის ტექსტის რომელიმე კონკრეტული გრამატიკული ერთეული (სიტყვა/სიტყვათა ჯგუფი) მხოლოდ იმ შემთხვევაში განდება საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, თუ მასში იკითხება დამოუკიდებელი, ავტონომიური ნორმატიული შინაარსი.

<sup>68</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 21 მარტის №2/5/1327 განჩინება საქმეზე „მპს „ლუთი ფრი ჯორჯია“ და მპს „ლუთი ფრი გლობალი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>69</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის №1/5/1282 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

- საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს არსებითად განსახილველად სასარჩელო მოთხოვნას, სადაც მოსარჩელე მხარე, სადავო ნორმიდან შესაბამისი სიტყვების ამოღებით, მიზნად ისახავს ნორმის შინაარსის ხელოვნურ გაფართოებას და ახალი შინაარსის რეგულირების მიღებას.

### 2.1.6 რაიმე წესის სამართლებრივ ურთიერთობაზე გავრცელების გამომრიცხავი ნორმა

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელები ხშირად ხდიან სადავოდ ნორმებს, რომელთა საფუძველზეც გამოირიცხება გარკვეული აქტის გავრცელება ამა თუ იმ ურთიერთობაზე.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>70</sup> მოსარჩელები სადავოს ხდიდნენ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მექანიზმი. მოსარჩელეთა არგუმენტაციით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციური იყო, რამდენადაც კრძალავდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების ინსტიტუტის გამოყენებას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, გასაჩივრებული ნორმის მიზანი ამოიწურებოდა მხოლოდ იმ გარემოების დეკლარირებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენებოდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი დებულებები. მხოლოდ იმ ფაქტზე მითითება, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მომწესრიგებელი დებულებები, თავისთავად, ვერ გამოდგებოდა სადავო ნორმით მოსარჩელის კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის წარმოსაჩენად და დასასაბუთებლად. სა-

<sup>70</sup> იხ. №1509 კონსტიტუციური სარჩელი.

დავო ნორმა საერთოდ არ არეგულირებდა შედეგებს, რომლებიც შეიძლება მოჰყოლოდა ადმინისტრაციულ პროცესში მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობას ან/და სხვა რაიმე საპროცესო მოქმედების განუხორციელებლობას. კონსტიტუციური უფლებით ეფექტიანი სარგებლობისთვის, მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ რომელი კანონის ფარგლებში მოხდება მისი რეგლამენტირება. მოსარჩელეს შეეძლო, მიეთითებინა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების მომწესრიგებელ ნორმათა შინაარსობრივ შესაბამობაზე კონსტიტუციასთან, და არა იმაზე, თუ რომელი კანონით უნდა მოწესრიგდეს ესა თუ ის ურთიერთობა. შესაბამისად, ფაქტი, რომ კანონის დებულებები რომელიმე ურთიერთობაზე არ ვრცელდება, საერთოდ არ მიანიშნებს უფლების შეზღუდვაზე.<sup>71</sup>

მსგავსი არგუმენტაციით, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა სხვა არაერთი სარჩელის/სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზეც. მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>72</sup> სადავო იყო ნორმა, რომლის თანახმადაც, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობა გამოირიცხებოდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო კონტროლის მექანიზმიდან. დასახელებული სასარჩელო მოთხოვნაც სასამართლომ იმავე არგუმენტით არ მიიღო არსებითად განსახილველად.

სასამართლოს პრაქტიკით, ანალოგიურია მიდგომა რაიმე ნორმის კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაზე გაუვრცელებლობასთან მიმართებით. მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში მოსარჩელე მხარე მოითხოვდა, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის მე-2 ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობას. ხსენებული ნორმა ადგენდა რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გასაჩივრების წესს და განსაზღვრავდა, რომ ეს წესი არ ვრცელდებოდა ამავე კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებულ

<sup>71</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/17/1509 განჩინება საქმეზე „ლუნა სვანიძე და ზურაბ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3,4.

<sup>72</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის №1/13/1424 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლამა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

გარემოებებზე. სადავო სიტყვების ერთადერთი ფუნქცია გახლდათ იმის დეკლარირება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლი არ ვრცელდებოდა 272-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის აღმჭურველი წესის ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაზე გაუვრცელებლობა, თავისთავად, არ იწვევს უფლების შეზღუდვას.<sup>73</sup> აღნიშნულ შემთხვევაში მოსარჩელე არაკონსტიტუციურად მიიჩნევა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შეზღუდვას. შესაბამისად, მისი პრობლემა გამომდინარეობდა ნორმებიდან, რომლებიც აღგენდა ამ გადაწყვეტილებათა საბოლოობას. მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის მარეგულირებელი წესი მოცემული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლში, ამდენად, უფლების შეზღუდვას სწორედ ეს ნორმა განაპირობებდა, და არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის გაუვრცელებლობა სადავო ურთიერთობაზე.<sup>74</sup>

აღსანიშნავია, რომ თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, განსხვავებულია აღმჭურველი ნორმის გასაჩივრების სტანდარტები (ვრცლად იხ. [ქვეთავი 2.2.2.3](#)).

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის აღმჭურველი წესის ამა თუ იმ სამართლებრივ ურთი-

<sup>73</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის №2/11/654 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2, 5; 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბუჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები: ერასტი ჯაკობია და კარინე შხპრონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11-13.

<sup>74</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4; ასევე, 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბუჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შხპრონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

ერთობაზე გაუვრცელებლობა, თავისთავად, არ იწვევს უფლების შეზღუდვას. ეს მსჯელობა არ ვრცელდება შემთხვევებზე, რომლებიც შეეხება ნორმის გასაჩივრებას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით.

### 2.1.7 სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელ ნორმაზე მიმთითებელი ნორმის გასაჩივრება

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოსარჩელები ხშირად ასაჩივრებდნენ ნორმებს, რომლებიც დამოუკიდებლად რაიმე წესს არ ადგენდნენ და მიუთითებდნენ საკითხის მომწესრიგებელ ნორმაზე.<sup>75</sup> ამავდროულად, მოსარჩელეთა პრობლემა მომდინარეობდა სწორედ მიმთითებელი ნორმით გათვალისწინებული წესიდან.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>76</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-2 წინადადებას, რომლის თანახმადაც, „საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე ყადაღის დადება და მისი რეალიზაცია ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე და 242-ე მუხლების შესაბამისად“. მოსარჩელისთვის პრობლემური იყო ამ მუხლებით დადგენილი ყადაღის დადებისა და რეალიზაციის წესი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ საქმეში განმარტა<sup>77</sup>, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ზემოხსენებული სადავო რეგულაცია მიმთითებელი ბუნების იყო: თვითონ კი არ ადგენდა კონკრეტულ სამართლებრივ მოწესრიგებებს, არამედ მიუთითებდა ნორმებზე, რომლებსაც უშუალოდ უნდა მოეწესრიგებინა ესა თუ ის სამართლებრივი ურთიერთობა. სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, როდესაც მოსარჩელე მხარისთვის პრობლემურია არა მიმთითებელი ნორმა, არამედ უშუალოდ მიმთითებელი ნორმით გათვალისწინებული წესი, მოსარჩელემ უნდა გაასაჩივროს სწორედ ის

<sup>75</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/6/755 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თამარ ჰაპაშვილი და ანა ბერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4-6.

<sup>76</sup> იხ. №1225 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>77</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის №2/4/1225 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მამია მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს უფლების შემზღვეველი წესის შინაარსს.<sup>78</sup> შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა დასახელებულ ნაწილში სასამართლომ არ მიიღო არსებითად განსახილველად.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული არგუმენტაციით, საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა სხვა არაერთი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.<sup>79</sup> ამავდროულად, შესაძლებელია, მიმთითებელი ნორმა, გარკვეულ შემთხვევაში, დამოუკიდებლად გახდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, თუ თავისი არსით ადგენს დელეგირების წესს. მაგალითად, როცა ამა თუ იმ კანონის ნორმა უთითებს კონკრეტული საკითხის მომწესრიგებელ კანონქვემდებარე აქტზე და ეს მითითება, შინაარსობრივად, საკითხის მოწესრიგების დელეგირებას უთანაბრდება, იგი შესაძლოა დამოუკიდებლად დაექვემდებაროს კონსტიტუციურ კონტროლს ფორმალური კანონიერების დაცვის თავლსაზრისით (ვრცლად იხ. [III თავი](#)).

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ იღებს მიმთითებელ ნორმას, რადგან მას, როგორც წესი, დამოუკიდებლად არ აქვს უფლების შეზღუდვის რესურსი.
- თუ მოსარჩელე მხარისათვის პრობლემურია არა მიმთითებელი ნორმა, არამედ უშუალოდ მითითებული ნორმით გათვალისწინებული წესი, მოსარჩელემ უნდა გაასაჩივროს სწორედ ის რეგულაცია, რომელიც ადგენს უფლების შემზღვეველ წესს.

<sup>78</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპრონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>79</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 ოქტომბერის №3/7/1274 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; და 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპრონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## 2.1.8 ნორმის გასაჩივრება მისი ბუნდოვანების საფუძვლით

საკონსტიტუციო სასამართლოში მოსარჩელები ხშირად ასაჩივრებენ გარკვეულ წესს იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ სადავო ნორმა ბუნდოვანია და განუსაზღვრელი შინაარსი აქვს. სასამართლოს განმარტებით: „სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განუყოფელი ნაწილია. თავის მხრივ, სამართლებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი. კანონი უნდა პასუხობდეს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და, შესაბამისად, განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, განსაზღვრულობის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, რომ კანონის ადრესატმა შეძლოს მისი სწორი აღქმა და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა“.<sup>80</sup> აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული, არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა შეძლოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, ასევე, ქცევის შედეგების განჭვრეტა.<sup>81</sup>

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, განსაზღვრულობის მასშტაბი ზოგად დადგენას არ ექვემდებარება, არამედ დამოკიდებულია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებაზე. საკანონმდებლო რეგულირებისას, რა თქმა უნდა, იმთავითვე ვერ იქნება აცილებული ყველა გაურკვევლობა და ეჭვი, მაგრამ აუცილებელია, რომ კანონმდებელმა, სულ ცოტა, ძირითადი იდეა, თავისი საკანონმდებლო ნება და მიზანი, სრულიად გარკვევით ჩამოაყალიბოს.<sup>82</sup>

<sup>80</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და შპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

<sup>81</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36.

<sup>82</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

ამასთან, კონკრეტული შემთხვევის თავისებურების ანალიზისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული იმ ურთიერთობის სპეციფიკა, რომელსაც არგულებს შესაფასებელი ნორმატიული აქტი. შესაძლებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნები, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ურთიერთობას აწესრიგებს ეს კანონი.<sup>83</sup>

თუმცა, სასამართლოსვე განმარტებით, მხოლოდ იმ არგუმენტზე აპელირება, რომ ნორმა ბუნდოვანია, არ კმარა მისი არაკონსტიტუციურობის წარმოსაჩენად. მოსარჩელემ უნდა აჩვენოს ნორმის არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსით გამოყენების შესაძლებლობა, სადავო გახადოს სწორედ ამგვარი შინაარსი, და საკონსტიტუციო სასამართლოც გააუქმებს არა მთლიანად ნორმას, არამედ შესაბამის ნორმატიულ შინაარსს.<sup>84</sup> სასამართლოს შეფასებით, „ვერ გამოირიცხება ზოგადი ნორმების კონსტიტუციის საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს თითოეული ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობას და ამ გზით უზრუნველყოფს, რომ არ მოხდეს არაკონსტიტუციური შინაარსის ნორმების გამოყენება. სწორედ ასე მიიღწევა, ერთი მხრივ, ურთიერთობათა მეტ-ნაკლებად ამომწურავი სამართლებრივი მოწესრიგება, ხოლო, მეორე მხრივ, ის, რომ ნორმის საფუძველზე გაკეთებული თითოეული სამართლებრივი განმარტება არ დარჩება კონსტიტუციურ კონტროლს მიღმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მოსარჩელემ ამტკიცოს სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა, მან უნდა მიუთითოს ნორმატიულ შინაარსზე, რომელიც, მისი აზრით, უფლების დარღვევას იწვევს“.<sup>85</sup> ამავედროულად, მოსარჩელემ

<sup>83</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და შპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

<sup>84</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და შპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, 2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>85</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და შპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უნდა წარმოაჩინოს სათანადო არგუმენტაცია, რომ არსებობს ნორმის არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსით გამოყენების ობიექტური შესაძლებლობა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა განსხვავდება პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმათა განჭვრეტადობის მიმართ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების საფუძველზე, ცალკე აღებული სადავო ნორმის ბუნდოვანება შეიძლება გახდეს მისი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. სასამართლოს განმარტებით, „ქმედების დასჯადად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების მიღება კანონმდებლის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. შესაბამისად, მან ეს უფლებამოსილება ისე უნდა გამოიყენოს, რომ საშუალება არ მიეცეს სამართალშემფარდებელს, სამოსამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თავად შექმნას სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობა“.<sup>86</sup> თუმცა, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, საჩივრებოდეს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა და მისი კონსტიტუციურობის შემოწმება მოთხოვნილი იყოს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით (ვრცლად იხ. [ქვეთავი 2.2.2.22](#)).

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ ნორმა ბუნდოვანია, მან უნდა წარმოაჩინოს ნორმის არაკონსტიტუციური ნორმატიული შინაარსით გამოყენების პრაქტიკა (გამონაკლისია პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების გასაჩივრების შემთხვევა).

## **2.2 სადავო ნორმის აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება კონსტიტუციის იმ დებულებებთან, რომლებთან კავშირშიც მოსარჩელე მოითხოვს ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას**

როგორც აღინიშნა, სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისა და არსებითად განსახილველად მიღების ერთ-ერთი აუცილებელი წინა-

<sup>86</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516,542 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტუღუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მისიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

პირობაა სწორად განსაზღვრა, თუ რომელი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას იწვევს სადავო ნორმა. სხვაგვარად, სავარაუდოა, რომ ნორმა, რომელიც მესაკუთრეს ქონებას ჩამოართმევს, შეზღუდავს საკუთრების უფლებას, აქციის ჩატარების აკრძალვა კი გავლენას მოახდენს შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლებაზე. ამდენად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ნორმის მიმართების საკითხი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თავად ნორმის შინაარსზე, მოწესრიგების სფეროსა და მისგან მომდინარე შედეგზე, ხოლო მეორე მხრივ, კონსტიტუციური უფლების დაცულ სფეროზე. პრაქტიკაში მოსარჩელებს კონსტიტუციური დებულების სწორად იდენტიფიცირებას უმარტივეს სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ სტანდარტთა გააზრება და უფლებათა დაცული სფეროების განმარტება. აღნიშნული ქვეთავი სწორედ ამ საკითხებს მიმოიხილავს და მოსარჩელებს ეხმარება მიმართების საკითხის სწორად დაყენებაში.

## 2.2.1 კონსტიტუციურ უფლებასთან სადავო ნორმის მიმართების დამდგენი სტანდარტები

### 2.2.1.1 უფლების შეზღუდვის არაკონსტიტუციურობის მტკიცების ვალდებულება

თავისი პრაქტიკის განვითარების კვალდაკვალ და წარდგენილ სარჩელთა მატებასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლომ **გამკაცრა კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულების მოთხოვნა არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე**: თუ ადრე უფლების შეზღუდვის ან/და სადავო ნორმის კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართების წარმოჩენა კმაროდა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის, დღეს მოსარჩელე მხარეს მოეთხოვება, ნათლად წარმოაჩინოს სადავო რეგულირების შესაძლო არაკონსტიტუციურობაც. ამ სტანდარტით, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად **განსახილველად მიღება სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, თავიდან აირიდოს უპერსპექტივო და დაუსაბუთებელი სარჩელები**.

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის არ კმარა მხოლოდ ძირითადი უფლების შეზღუდვაზე მითითება – **აუცილებელია, მოსარჩელემ წარმოადგინოს არგუმენტაციაც, რომელიც გარკვეული ხარისხით მიუთითებს სადავო**

ნორმისარაკონსტიტუციურობაზე.<sup>87</sup> როდესაც სადავო რეგულაციას აშკარად თვითმიზნური არ არის, მოსარჩელემ, ძირითადი უფლების შეზღუდვის ფაქტზე მითითების მიღმა, უნდა მოიყვანოს არგუმენტაცია, თუ რატომ მიიჩნევს სადავო გადაწყვეტას მიზნის მიღწევის არაპროპორციულ და არაკონსტიტუციურ საშუალებად.<sup>88</sup>

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>89</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა ნორმას,<sup>90</sup> რომელიც კრძალავდა საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრას. საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებული კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღო არსებითად განსახილველად და განმარტა, რომ „განსახილველ შემთხვევაში აშკარაა სადავო რეგულირების შემოღების ლეგიტიმური მიზნები, ისევე, როგორც ხელშესახება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებით მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეები. ასეთ ვითარებაში, კონსტიტუციური სარჩელის დასახუთებულად მიჩნევისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ უფლების შეზღუდვის ფაქტზე მითითება. როგორც უკვე აღინიშნა, კონსტიტუციის დასახელებული დებულებების შეზღუდვა, თავისთავად, არაკონსტიტუციური არ არის. მოსარჩელე მხარე ვალდებულია, მოიყვანოს არგუმენტაცია, თუ რატომ მიიჩნევს, რომ დადგენილი შეზღუდვა მიზნის მიღწევის არაპროპორციულ საშუალებას და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურ რეგულირებას წარმოადგენს. აღნიშნულის საპირისპიროდ, კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე მხოლოდ აბსტრაქტულად

<sup>87</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1416 განჩინება საქმეზე „შპს „სვეტი ღვთისმშენი“, შპს „სვეტი გეორგი“, შპს „სვეტი“, შპს „სვეტი ნუგბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, 2020 წლის 29 აპრილის №2/8/1496 განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

<sup>88</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის №1/3/1555 განჩინება საქმეზე „გივი ლუაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>89</sup> იხ. №1496 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>90</sup> „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების ადკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების ადკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი, პირველი წინადადება.

მიუთითებს, რომ არ არსებობდა საქართველოს მთავრობის მიერ სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის შემოღების აუცილებლობა. ამგვარი ზოგადი არგუმენტაცია კი ვერ გამოდგება კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის“.<sup>91</sup>

სხვა სარჩელში<sup>92</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა „კონტრ-დაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. ნორმის მიხედვით, კონტრდაზვერვითი საქმიანობის ფარგლებში ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების განხორციელება (გარდა ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლის ოპერატიულ-ტექნიკური ზომებისა) არ საჭიროებდა მოსამართლის ბრძანებას. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, ამგვარი გამონაკლისის დადგენა ეწინააღმდეგებოდა პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებას. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა განსაზღვრავდა ღონისძიებებს, რომლებიც, ელექტრონული თვალთვალისა და საფოსტო კორესპონდენციის კონტროლის გარდა, მოიცავდა ფარულ ვიდეო და აუდიოჩანჩერას, ფარულ კინო და ფოტოგადაღებას, სატელევიზიო კამერებისა და სხვა სახის ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებას და სტრატეგიული თუ ინდივიდუალური მონიტორინგის ზომებს. მიუხედავად ამისა, კონსტიტუციურ სარჩელში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი რაიმე არგუმენტაცია, თუ რომელი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების გამოყენება მიაჩნდა მოსარჩელეს პრობლემურად. სასამართლოს განმარტებით, თუ მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ყველა სახის ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიება უნდა ჩატარებულყო მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, კონსტიტუციურ სარჩელში უნდა წარმოედგინა შესაბამისი არგუმენტაცია თითოეულ ასეთ ღონისძიებასთან დაკავშირებით; აეხსნა, რა ტიპის ზომებს მოიაზრებდა სადავო ნორმა და როგორ მიემართებოდა ისინი საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების სფეროს; და დაესაბუთებინა სასამართლო კონტროლის აუცილებლობა ამგვარ ღონისძიებათა გამოყენებისთვის.

<sup>91</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/8/1496 განჩინება საქმეზე „თუკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>92</sup> იხ. №1449 კონსტიტუციური სარჩელი.

იგივე არგუმენტაცია განავითარა საკონსტიტუციო სასამართლომ თანასწორობის უფლებასთან მიმართებითაც. კერძოდ, მისი განმარტებით, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე დავობს არსებითად თანასწორ სუბიექტთა მიმართ განსხვავებული მოპყრობის დისკრიმინაციულობასა და არაკონსტიტუციურობაზე; თუმცა, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლების (ყველას თანასწორობა სამართლის წინაშე) ფარგლებში კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევსათვის, არ კმარა სამართლებრივი ურთიერთობების განსხვავებული მოწესრიგებისა და არსებითად თანასწორ სუბიექტებს შორის დიფერენცირებული მოპყრობის წარმოჩენა: აუცილებელია, გამოიკვეთოს ამ განსხვავებული მოპყრობის არაგონივრულობა და არაკონსტიტუციურობაც.<sup>93</sup> ამდენად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევსათვის, მოსარჩელეებმა უნდა წარმოადგინონ არგუმენტაცია, თუ რატომ არის კონკრეტულ შემთხვევაში შესაძარებელ ჯგუფებს შორის განსხვავებული მოპყრობა გაუმართლებელი.

გარდა ამისა, სასამართლოს განმარტებით, „როდესაც საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილე ნორმატიული ქცევის წესის არაკონსტიტუციურობის სამტკიცებლად იშველიებს ფაქტობრივ გარემოებებს, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა აკმაყოფილებდეს დამაჯერებლობის მაღალ ხარისხს. კერძოდ, ამგვარი არგუმენტები გამყარებული უნდა იყოს რელევანტური დოკუმენტური მტკიცებულებებით“.<sup>94</sup>

### დასკვნები/რეკომენდაციები:

- კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევსათვის არ კმარა მხოლოდ ძირითადი უფლების შეზღუდვაზე მითითება, აუცილებელია, მოსარჩელემ წარმოადგინოს არგუმენტაცია, თუ რატომ მიიჩნევს სადავო გადაწყვეტას მიზნის მიღწევის

<sup>93</sup> *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 17 დეკემბრის №2/21/1425 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7,8.

<sup>94</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „მპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, მპს „ასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-86.

არაპროპორციულ და, შესაბამისად, არაკონსტიტუციურ საშუალებად.

- თანასწორობის უფლებასთან მიმართებით კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის, თანასწორ სუბიექტებს შორის დიფერენცირებული მოპყრობის წარმოჩენის გარდა, მოსარჩელე მხარეს მოეთხოვება განსხვავებული მოპყრობის გამართლებლობისა და არაგონივრულობის (არაკონსტიტუციურობის) დასაბუთებაც.

### 2.2.1.2 ცალკეული უფლებების იურიდიულ პირებზე გავრცელების დასაბუთების აუცილებლობა

ერთ-ერთ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე იურიდიული პირი ააიპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“ ნორმატიულ აქტს სადავოს ხდიდა კულტურული გარემოთი სარგებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებებთან მიმართებით.<sup>95</sup>

საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ საქმეში მიუთითა კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება იურიდიულ პირებზე. სასამართლოს განმარტებით, „მოსარჩელე იურიდიულ პირს ყველა შემთხვევაში არ მოეთხოვება იმის დასაბუთება, რომ ესა თუ ის უფლება იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. კერძოდ, როდესაც უფლების შინაარსიდან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვანია და სადავო ვერ გახდება ამ კონკრეტული უფლების იურიდიულ პირებზე გავრცელების საკითხი, მოსარჩელეს არ მოეთხოვება სიღრმისეული დასაბუთება იურიდიული პირის უფლების სუბიექტობასთან დაკავშირებით. ამავდროულად, კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულობის მოთხოვნიდან გამომდინარე, მოსარჩელე იურიდიული პირი ვალდებულია, დაასაბუთოს სუბიექტობა ისეთ უფლებებთან მიმართებით, რომელთა იურიდიულ პირებზე გავრცელების საკითხი არ არის თავისთავად ცხადი ან/და ცალსახად განსაზღვრული სასამართლო პრაქტიკით. ... განსახილველ

<sup>95</sup> საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 34-ე მუხლთან, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტთან და 39-ე მუხლთან მიმართებით.

შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ იურიდიულ პირებზე ვრცელდება კონსტიტუციით გარანტირებული კულტურული გარემოთი სარგებლობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლებები. აღნიშნული საკითხი არ არის ცალსახა და საჭიროებს მოსარჩელის მხრიდან სათანადო დასაბუთებას. კონსტიტუციურ სარჩელში არ არის წარმოდგენილი დასაბუთება, თუ რატომ უნდა გავრცელდეს აღნიშნული უფლებები იურიდიულ პირებზე“.<sup>96</sup>

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ თავად უფლების შინაარსიდან ან საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, ნათელი არ არის მისი (უფლების) იურიდიულ პირზე გავრცელების საკითხი, იურიდიულ პირებს მოეთხოვებათ, მათ შორის, იმის დასაბუთებაც, რომ ამ კონკრეტული უფლების სუბიექტები არიან.

**2.2.1.3 კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური მნიშვნელობა**

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ კონსტიტუციურ ტერმინებს აქვს ავტონომიური სამართლებრივი მნიშვნელობა, რომლებიც შესაძლოა ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური ტერმინების განმარტებებს.<sup>97</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისპრუდენციის შესაბამისად, „კონსტიტუციური დებულებებისა და კონსტიტუციაში არსებული

<sup>96</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/17/1216 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ა(ა)იპ „ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი“ და საქართველოს მოქალაქეები – მარინე მიზანდარი, გიორგი ჩიტაძე და ანა ჯიქურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>97</sup> იხ.: მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-63; 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3; 2015 წლის 31 ივლისის №2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია რობაჯიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-19; 2020 წლის 25 სექტემბრის №3/2/1473 გადაწყვეტილება საქმეზე „ნიკანორ მელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

ტერმინების შინაარსი თვითმყოფადია და არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში არსებულ დეფინიციებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციის შინაარსი კანონმდებლობაზე დამოკიდებული გახდებოდა და ნაყოფიერი ნიადაგი შეიქმნებოდა თვითნებობისთვის“.<sup>98</sup> ამდენად, კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულებასთან მიმართებით ნორმის გასაჩივრებისას, მნიშვნელოვანია, მოსარჩელებმა გაითვალისწინონ კონსტიტუციის ავტონომიური შინაარსი.

მაგალითად, ერთ-ერთ კონსტიტუციურ სარჩელში<sup>99</sup> მოსარჩელე მხარე კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით („საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა“) სადავოს ხდიდა ნორმას, რომელიც ადგენდა გარკვეულ მოთხოვნებს მერის/გამგებლის არჩევნებში მონაწილე პირებისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დასახელებულ საქმეში განმარტა, რომ 24-ე მუხლის პირველ პუნქტით დაცულ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობა ჰქონდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონმდებელი ამა თუ იმ თანამდებობის დაკავებას არჩევნების გზით დაადგენდა, ეს გარემოება არ აქცევდა ამგვარ არჩევნებს საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროში. სასამართლოს განმარტებით, ამ მუხლით დაცული სფეროს ფარგლები უნდა განისაზღვროს არჩევნების კონსტიტუციური ბუნების გათვალისწინებით და არა კანონმდებლის მიერ თავისუფალი მიხედულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებით. მარტივად, კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიზნებისთვის, „არჩევნებს“ ავტონომიური შინაარსი აქვს და ეს ნორმა იცავს მხოლოდ იმ არჩევნებს, რომელთა ჩატარებაც კონსტიტუციით პირდაპირი არის დადგენილი. ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მერის/

<sup>98</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინელაძე, ნინო კვეციანაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

<sup>99</sup> იხ. №600 კონსტიტუციური სარჩელი.

გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ უნდა შეფასებულიყო კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით.<sup>100</sup>

სხვა საქმეში, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფო თანამდებობა“ კონსტიტუციური ტერმინია, რომელიც უნდა განიმარტოს ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, მისი ბუნებისა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინებით, და საკანონმდებლო დეფინიციებს ამ მხრივ მხოლოდ დამხმარე ბუნება აქვს. სასამართლომ შეაფასა და მიიჩნია, რომ საზოგადოებრივი მუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის, მეურვის საქმიანობა წარმოადგენდა „სახელმწიფო თანამდებობას“, საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის.<sup>101</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- კონსტიტუციური დებულებებისა და კონსტიტუციაში არსებული ტერმინების შინაარსი თვითმყოფადია და არ არის დამოკიდებული კანონმდებლობაში არსებულ დეფინიციებზე. ამდენად, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობა აქვს.
- კანონსა და კონსტიტუციაში გამეორებული იდენტური ტერმინები შესაძლოა განსხვავებულ შინაარსს მოიცავდეს. შესაბამისად, მოსარჩელე მხარემ სადავო ნორმათა განმარტებისა და გასაჩივრებისას უნდა იხელმძღვანელოს კონსტიტუციური ტერმინების ავტონომიური შინაარსით.

### **2.2.1.4 უფლების შეზღუდვისა და მისი გვერდითი ეფექტის გამიჯვნა**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, სადავო ნორმის მიმართება კონსტიტუციით განმტკიცებულ ძირითად უფლებასთან მოწმდება

<sup>100</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2-16.

<sup>101</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

უფლების შეზღუდვის პირდაპირი და გვერდითი ეფექტის დადგენითაც. ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და, ხშირად, ერთი მათგანის შეზღუდვა ნიშნავს სხვა უფლებებზე ზემოქმედებასაც; თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ სადავო ნორმა ერთდროულად ზღუდავს სხვადასხვა უფლებას. მაგალითად, თუ ნორმა ზღუდავს გადაადგილებას, ბუნებრივია, პირს ასევე არ მიეცემა საშუალება, იმავე დროს მონაწილეობა მიიღოს მანიფესტაციაში; თუმცა, ასეთ შემთხვევებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირდაპირი შეზღუდვა მიემართება გადაადგილების თავისუფლებას, ხოლო შეკრების უფლებაზე მას გვერდითი ეფექტი აქვს. სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის, აუცილებელია, მოსარჩელემ მიუთითოს იმ ძირითადი უფლების დარღვევაზე, რომელზეც სადავო ნორმას აქვს პირდაპირი (და არა გვერდითი) ეფექტი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უფლების შეზღუდვა და უფლების შეზღუდვიდან მომდინარე ეფექტები. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცული რომელიმე უფლების შეზღუდვა ხშირად გარკვეულ გავლენას ახდენს სხვა კონსტიტუციურ უფლებაზე, თუმცა ეს თავისთავად არ ნიშნავს თავად ამ უფლებით დაცულ სფეროში ჩარევას, მის შეზღუდვას. საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა უნდა შეაფასოს იმ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, რომლის შეზღუდვისკენაც არის იგი მიმართული, და არა იმ უფლებასთან, რომლის შეზღუდვაც გვერდითი ეფექტის სახით მოჰყვება მას“.<sup>102</sup>

სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს ისიც, რომ „გარკვეული უფლების რეალიზება შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შეზღუდვასთან. თითოეულ მსგავს შემთხვევაში კონსტიტუციისა ამა თუ იმ დებულების შეზღუდვის იდენტიფიცირებისათვის, მნიშვნელოვანია, დადგინდეს, რომელი უფლების დაცულ სფეროს მიემართება სადავო ნორმით დადგენილი წესი. მაგალითად, როდესაც საქმე ეხება სასამართლოში საქმის განხილვასთან

<sup>102</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/21/872 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სოფიკო ვერძუელი, გურამ იმნაძე და გიორგი გვიმრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

დაკავშირებით ბაჟის დაწესებას, ამკარაა, რომ ხსენებული რეგულაცია სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვაზე მიმართული ღონისძიებაა და არ მიემართება საკუთრების უფლებას, თუნდაც დავა საკუთრებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდეს“.<sup>103</sup> შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს სადავო ნორმის შინაარსი და მიზანმიმართულება.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>104</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა ნორმას, რომელიც ზღუდავდა მშობლის უფლებას, საზღვარგარეთ გაეყვანა შვილი. კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, სადავო ნორმის საფუძველზე ბავშვს, რომელიც კანადის მოქალაქე იყო, ეზღუდებოდა საკუთარ ქვეყანაში გამგზავრების უფლება, რაც ხელყოფდა მისი, როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების, ასევე, ადამიანის პირადი ცხოვრების კონსტიტუციით დაცულ უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობა უნდა შეფასებულიყო საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თავისუფალი მიმოსვლის უფლებასთან მიმართებით, და არა იმ უფლებების კონტექსტში, რომელთა რეალიზაციის წინაპირობაც არის პირის მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა. სასამართლოს თქმით, სადავო ნორმა კრძალავდა პირის მხოლოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანას და არ არეგულირებდა ამა თუ იმ პირის მიერ საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე სარგებლის, მათ შორის, განათლების მიღების უფლებას. გარემოება, რომ პირი სადავო ნორმით დადგენილი აკრძალვის გამო ვერ ახერხებდა რაიმე უფლების რეალიზაციას, განლდათ სადავო ნორმით გათვალისწინებული მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის გვერდითი ეფექტი, და არა უშუალოდ სადავო ნორმით გამოწვეული შეზღუდვა.<sup>105</sup>

<sup>103</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/5/1249 განჩინება საქმეზე „ერაყის რესპუბლიკის მოქალაქეები – შუკაბ აჰმედ ჰაბუდი ჰაბუდი და აჰმედ შუკაბ აჰმედ აჰმედ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>104</sup> იხ. №1212 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>105</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/16/1212 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

### დასკვნები/რეკომენდაციები:

- ხშირად, ერთი უფლების შეზღუდვა ზემოქმედებს სხვა უფლებებზეც, თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ სადავო ნორმა ერთდროულად ზღუდავს სხვადასხვა უფლებას – ასეთ შემთხვევაში სახეუა უფლების შეზღუდვის გვერდითი ეფექტი.
- მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ ძირითადი უფლების დარღვევაზე, რომელზეც სადავო ნორმას აქვს პირდაპირი და არა გვერდითი ეფექტი.

#### 2.2.1.5 სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის იმ დებულებებთან მიმართებით, რომლებიც არ ადგენენ ძირითად უფლებას

როგორც აღინიშნა, მოსარჩელე ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა კონსტიტუციური სარჩელით უნდა მოითხოვოს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით. თუმცა, ამ თავის გარკვეული დებულებები არ ადგენს ძირითად უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ასეთი დებულებაა, მაგალითად, კონსტიტუციის 34-ე მუხლი: „1. კონსტიტუციაში მითითებული ადამიანის ძირითადი უფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. 2. ადამიანის ძირითადი უფლებების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები. 3. ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“.

დასახელებული კონსტიტუციური დებულებები ადგენს არა ძირითად უფლებას, არამედ ზოგად კონსტიტუციურ პრინციპებს. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის 34-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით განმარტა: „კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არ ახდენს რომელიმე უფლების დეკლარირებას, არ განსაზღვრავს ამათუი უფლების ნორმატიულ შინაარსს და ფარგლებს. მისი მიზანია რის კონსტიტუციის სხვა მუხლებით დეკლარირებული ადამიანის ძირითადი

უფლებებისა და თავისუფლებების, მათი არსის გათვალისწინებით იურიდიულ პირებზე გავრცელებისთვის კონსტიტუციური საფუძვლის შექმნა ... ეს ნორმა ეხება არა რომელიმე უფლების შინაარსს, არამედ კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებათა დამატებითი სუბიექტის განსაზღვრას“.<sup>106</sup> ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ადამიანის უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსის მიღწევის კონსტიტუციურ პრინციპს, ხოლო მე-3 პუნქტი მიემართება უფლების შეზღუდვის პროპორციულობის ზოგადი პრინციპის დეკლარირებას. ხსენებული კონსტიტუციური დებულებებისგან დამოუკიდებლად, აღნიშნული პრინციპებით დაცული გარანტიები, თავისთავად, გამომდინარეობს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული ცალკეული უფლებებიდან. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აფასებს სადავო ნორმას კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრულ ძირითადი უფლების დამდგენ დებულებებთან მიმართებით, კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი პრინციპების კონტექსტში.<sup>107</sup>

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახელებული კონსტიტუციური დებულებები საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავით გათვალისწინებული ის ნორმებია, რომლებიც ადგენს ზოგად პრინციპებს და არა კონკრეტულ ძირითად უფლებებს. შესაბამისად, სადავო ნორმის კონსტიტუციურობა ვერ შეფასდება 34-ე მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებთან მიმართებით, თუმცა ხსენებულ პრინციპებს საკონსტიტუციო სასამართლო ითვალისწინებს საკითხის გადაწყვეტისას.

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას აფასებს მხოლოდ ძირითადი უფლებების დამდგენ ნორმებთან მიმართებით.

<sup>106</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 6 თებერვლის №1/1/564 განჩინება საქმეზე „მპს „მაგთიკომი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14,15.

<sup>107</sup> *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/22/930 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ანა ჯალაღონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-17; და 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1472 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23-24.

- კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების განმსაზღვრელი დებულებები იმავდროულად არ არის უფლების დამდგენი ნორმებიც. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციის 34-ე მუხლი არ არის ძირითადი უფლების დამდგენი დებულება; შესაბამისად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობა ვერ შეფასდება მასთან მიმართებით.

### 2.2.2 კონსტიტუციურ უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა და ცალკეული სტანდარტები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ გაუსვა ხაზი საკითხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციური უფლების დაცული სფეროს ფარგლების სწორად იდენტიფიცირებასა და გამიჯვნას კონსტიტუციის ჯეროვანი განმარტებისათვის.

სასამართლოს მითითებით: „მიუხედავად საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში განმტკიცებულ ზოგიერთ უფლებასა და თავისუფლებას შორის არსებული შინაარსობრივი ურთიერთკავშირისა, ხსენებული კონსტიტუციური ნორმების დაცულ სფეროებში ჩარევის დადგენა საჭიროებს ცალკეულ, ინდივიდუალურ შეფასებას კონკრეტული უფლებისა თუ თავისუფლების კონტექსტში. საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება მოითხოვს, რომ თითოეული უფლების დაცული სფერო შესაბამის კონსტიტუციურ დებულებებში იქნეს ამოკითხული. კონსტიტუციის განმარტების პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს კონსტიტუციით დადგენილი წესრიგის დაცვა, კონსტიტუციის დებულებების გააზრება მათი მიზნებისა და ღირებულებების შესაბამისად“.<sup>108</sup> სასამართლოს განმარტებით, „ბუნებრივია, ერთი და იგივე სამართლებრივი ურთიერთობა შესაძლოა, კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლით დაცულ სფეროში მოექცეს, ისევე, როგორც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით დაცული სფეროები გარკვეულწილად ფარავდეს (მოიცავდეს) ერთმანეთს. თუმცა, კონსტიტუციის განსხვავებული ნორმებით დაცულ უფლებათა ფარგლების

<sup>108</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ჯინჟლაძე, ნინო კვეციანი, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარაიშვილი და სალომე სებისკვრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

ხელოვნური გაფართოება, უფლებებს შორის კონსტიტუციით გავლებული ზღვრის წაშლა, ვერც უფლების დაცვას მოემსახურება და ვერც კონსტიტუციით დადგენილ წესრიგს უზრუნველყოფს“.<sup>109</sup> „იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ერთი უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტისთვის კონსტიტუციით გათვალისწინებულია სპეციალური რეგულაცია, უფლებაში ჩარევის განსხვავებული შინაარსი და ფარგლები, ეჭვგარეშეა, რომ ასეთ დროს ამ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობა შესაძლებელია და უნდა შეფასდეს მხოლოდ მის მარეგულირებელ სპეციალურ ნორმასთან მიმართებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კონსტიტუციურობის საკითხის სწორად გადაწყვეტა“.<sup>110</sup>

ამდენად, სასამართლოს მიდგომა, სადავო ნორმა შეაფასოს კონსტიტუციით დაცულ იმ უფლებასთან მიმართებით, რომელსაც ზღუდავს სადავო ნორმა, მოსარჩელის წინაშე წამოჭრის ამოცანას, სწორად შეარჩიოს, თუ რომელი უფლება ირღვევა. აღნიშნული თავის მიზანი არ არის თითოეული უფლების დაცული სფეროს განმარტება: ის ორიენტირებულია, რომ წარმოაჩინოს უფლებათა შორის დაცული სფეროების გამიჯვნა და, ამ თვალსაზრისით, განაზოგადოს სასამართლოს პრაქტიკაში ხშირად განმეორებადი შეცდომები.

ამავდროულად, თუ მოსარჩელე მხარე დაზუსტებით ვერ ახერხებს სადავო ნორმით შეზღუდული უფლების იდენტიფიცირებას, უმჯობესია, კონსტიტუციურ სარჩელში მიუთითოს ყველა ის უფლება, რომლებსაც შეიძლება ზღუდავდეს/მიემართებოდეს გასაჩივრებული ნორმა, შემდეგ კი თავად სასამართლომ გამიჯნოს დაცული სფეროები და შესაბამის ნაწილში მიიღოს კონსტიტუციური სარჩელი.

### 2.2.2.1 ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უფლება

„ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო“  
(საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი).

<sup>109</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 20 დეკემბრის №1/7/561,568 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>110</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის №1/7/454 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

მიუხედავად იმისა, რომ ღირსების უფლება, მისი დაცული სფერო და სადავო ნორმის მიმართების საკითხი არაერთხელ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასების საგანი, უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობისა და სენსიტიურობის გათვალისწინებით, მოსარჩელები ხშირად უთითებენ მის დარღვევაზე, ან მიიჩნევენ, რომ ცალკეულ უფლებათა დარღვევა იმავდროულად ხელყოფს კონსტიტუციით დაცულ ღირსების უფლებასაც.

ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის ღირსებასა და სხვა ძირითად უფლებებს შორის მჭიდრო კავშირის მიუხედავად, სადავო ნორმის მიერ რომელიმე ძირითადი უფლების შეზღუდვა არ ამყარებს ავტომატურ კავშირს ღირსების უფლებასთან, და პირიქით: ადამიანის ღირსებას, როგორც უფლებას, აქვს თავისი დამოუკიდებელი დაცული სფერო.<sup>111</sup> შესაბამისად, ღირსების უფლების დარღვევას ვერ განაპირობებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს ერღვევა (ეზღუდება) სხვა რომელიმე უფლება.

ამავდროულად, სასამართლოს მიდგომით, სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ პუნქტს არღვევს მაშინ, როდესაც ფუნდამენტურ უფლებათა ხელყოფით მიზნად ისახავს ადამიანის დამცირებას ან მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას, ან/და სახელმწიფოს ფაქტობრივი ქმედება გარდაუვლად იწვევს ასეთ შედეგს.<sup>112</sup> შესაბამისად, ამ პუნქტით დაცულ სიკეთესთან სადავო ნორმის შინაარსობრივი მიმართების დასასაბუთებლად, აუცილებელია, მას ახასიათებდეს ადამიანის გარკვეული მიზნით გამოყენების ნიშნები.<sup>113</sup>

ერთ-ერთ სარჩელში<sup>114</sup> მოსარჩელე სადავოს ხდიდა სპეციალური საპოლიციო კონტროლის მიზნებსა და საფუძვლებს და მიუთითებდა,

<sup>111</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/9/1306 საოქმოდ ჩანაწერი საქმეზე „გურამ იმნაძე და მარიამ ბეგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

<sup>112</sup> *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიძის საპარლამენტო პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16,17.

<sup>113</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/9/1306 საოქმოდ ჩანაწერი საქმეზე „გურამ იმნაძე და მარიამ ბეგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

<sup>114</sup> იხ. №1306 კონსტიტუციური სარჩელი.

რომ ყოველდღიურად გამოყენებადი საპოლიციო ღონისძიებებისგან განსხვავებით, სპეციალური საპოლიციო კონტროლისას შემოწმება და დათვალეობა ტარდებოდა ინდივიდუალური ეჭვის დასაბუთების გარეშე, რაც ქმნიდა უფლებებში ჩარევის გაუმართლებლად დაბალ სტანდარტს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სპეციალური საპოლიციო კონტროლი ინტენსიური ღონისძიებაა, სადავო ნორმის მოქმედებით კი იქმნებოდა მდგომარეობა, როდესაც დანაშაულთან ბრძოლა ადამიანზე მაღალი ღირებულებაა. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან მიმართებით, თუმცა არ გაიზიარა მოსარჩელის მიდგომა, რომ სადავო რეგულირება მიემართებოდა კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროსაც. სასამართლოს აზრით, განსახილველი კონსტიტუციური სარჩელიდან არ იკვეთებოდა, რომ სადავო ნორმები აფერმკრთალებდა ადამიანის, როგორც სამართლის სუბიექტის სტატუსს და ახდენდა მის ობიექტივიზაციას.<sup>115</sup>

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- ადამიანის ღირსებასა და სხვა ძირითად უფლებებს შორის მჭიდრო კავშირის მიუხედავად, სადავო ნორმის მიერ რომელიმე ძირითადი უფლების შეზღუდვა არ ამყარებს ავტომატურ კავშირს ღირსების უფლებასთან, და პირიქით: ადამიანის ღირსებას, როგორც უფლებას, აქვს თავისი დამოუკიდებელი დაცული სფერო.
- სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველ პუნქტს არღვევს მაშინ, როდესაც ფუნდამენტურ უფლებათა ხელყოფით მიზნად ისახავს ადამიანის დამცირებას ან მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას, ან/და სახელმწიფოს ფაქტობრივი ქმედება გარდაუვლად იწვევს ასეთ შედეგს. ღირსების უფლებასთან სადავო ნორმის შინა-არსობრივი მიმართების დასასაბუთებლად, აუცილებელია, მას ახასიათებდეს ადამიანის გარკვეული მიზნით გამოყენების ნიშნები.

<sup>115</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/9/1306 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „გურამ იმნაძე და მარიამ ბეგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18-25.

### 2.2.2.2 ადამიანის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენების აკრძალვა

„დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის გათვალისწინებით, კონკრეტული უმართლობისათვის განსაზღვრული სანქციის მოცულობა კონსტიტუციური კონტროლის საგანი შეიძლება განდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც სასჯელის ზომა აშკარად არაგონივრული და არაპროპორციულია. საკონსტიტუციო სასამართლო „უფლებამოსილია შეაფასოს იმ სასჯელთა კონსტიტუციურობა, რომელთა არაადეკვატურობის, არაპროპორციულობის დონე მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს და დისბალანსი მკაფიოდ, მკვეთრად გამოხატულია, რადგან ასეთ შემთხვევაში სასჯელი სცდება თავის მიზნებს და გაუმართლებლად ზღუდავს კონსტიტუციურ უფლებებს“.<sup>116</sup> შესაბამისად, თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სასჯელის სახით გათვალისწინებული სანქციით ირღვევა კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი, იგი ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ კონკრეტული დანაშაულისათვის განსაზღვრული სასჯელის ზომა იმდენად არაპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, პოტენციურ საფრთხეებთან და აღნიშნული ქმედებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებთან მიმართებით, რომ განაპირობებს გაუმართლებელ ჩარევას ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებში.

ამასთან, მოპყრობის სიმძიმე უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური შემთხვევებიდან გამომდინარე. შეფასებისას მხედველობაში მისაღებია მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი განხორციელების მეთოდები, ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტი პირზე.<sup>117</sup>

<sup>116</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

<sup>117</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533

მსგავსი საფუძვლით, სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო №1292 კონსტიტუციური სარჩელი.<sup>118</sup> აღნიშნულ სარჩელში საქართველოს სახალხო დამცველი მიუთითებდა, რომ ბრალდებულის/ მსჯავრდებულისთვის (პენიტენციურ დაწესებულებაში ან მოთავსების სხვა ადგილას, ასევე, გაყვანის/ გადაყვანისა თუ ექსტრადიციის დროს), ან დროებითი ყოფნის იზოლატორსა თუ ჰაუპტვახტში მოთავსებული პირისთვის აკრძალული ნივთის გადაცემაზე დაწესებული სასჯელის ზომა (თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით) არაკონსტიტუციური იყო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სადავო ნორმებით გათვალისწინებულ ქმედებათა კრიმინალიზაცია ემსახურებოდა მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებს, როგორცაა: საზოგადოებრივი უსაფრთხოება, პენიტენციურ დაწესებულებასა და მოთავსების სხვა ადგილებში წესრიგის დაცვა, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, ამ დაწესებულებათა შეუფერხებელი საქმიანობა, დეზორგანიზაციის, დესტაბილიზაციისა და დანაშაულის თავიდან აცილება, საპატიმრო დაწესებულებიდან გაქცევის პრევენცია, ამ დაწესებულების თანამშრომელთა და საკუთრივ პატიმართა სიცოცხლისა თუ ჯანმრთელობის დაცვა (მათ შორის, პატიმართა დაცვა დაზიანებისა თუ თვითდაზიანებისგან) და სხვა. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, ამ დაწესებულებებისათვის დამახასიათებელი მომეტებული რისკებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაღალი იყო პენიტენციური დაწესებულების ან განთავსების სხვა ადგილის უსაფრთხოების საჭიროება, რის გამოც კანონმდებელს ჰქონდა ფართო უფლებამოსილება, განესაზღვრა შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა და სასჯელის ზომა. მოსარჩელეს არ ჰქონდა წარმოდგენილი კონკრეტული არგუმენტაცია, თუ რატომ იყო შესაბამისი ქმედება მცირე საფრთხის შემცველი და რით ვლინდებოდა სასჯელთა აშკარა არაპროპორციულობა ამ საფრთხეებთან მიმართებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი დაუსაბუთებლად მიიჩნია და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

---

გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-180.

<sup>118</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/6/1292 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## დასკვნები/რეკომენდაციები:

- სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა იმდენად არაპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, პოტენციურ საფრთხევებთან და აღნიშნული ქმედებით გამოწვეულ ნეგატიურ შედეგებთან მიმართებით, რომ განაპირობებს გაუმართლებელ ჩარევას ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებში.

### 2.2.2.3 თანასწორობის უფლება

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი).

ა. ზოგადი სტანდარტი, სადავო ნორმის შერჩევა და სასარჩელო მოთხოვნის იდენტიფიცირება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს – პირიქით“.<sup>119</sup> ზოგადად, სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება იზღუდება, როდესაც კანონმდებელი განსხვავებულ მდგომარეობაში

<sup>119</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.

აყენებს არსებითად თანასწორ პირებს. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის მხრიდან თანასწორი მოპყრობა თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვად მიიჩნია<sup>120</sup>, ვინაიდან იგი არსებითად უთანასწორო პირთა მიმართ ხორციელდებოდა. ამდენად, თანასწორობის უფლების მიზანია, პირები აღჭურვოს მსგავსი უფლებებითა და ვალდებულებებით, ხოლო რიგ შემთხვევებში, დააბალანსოს მათი ბუნებიდან მომდინარე ფაქტობრივი უთანასწორობა და არსებითად უთანასწორო პირებს დაუდგინოს განსხვავებული უფლება-მოვალეობები.

შესაბამისად, კონსტიტუციის მე-11 მუხლს შეიძლება მიემართებოდეს ისეთი ნორმა, რომელიც მოსარჩელეს უზღუდავს რაიმეს, ან სხვას აღჭურავს მისგან განსხვავებული უფლებით, რის საფუძველზეც იგი ექცევა უთანასწორო რეჟიმში.<sup>121</sup> ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში შესაძარებელი პირები მოთხოვნებს უნდა აყენებდნენ მსგავსი პოზიციიდან, ისინი უნდა იმყოფებოდნენ ანალოგიურ სამართლებრივ ურთიერთობაში. სასამართლო აფასებს, მიანიჭა თუ არა კანონმდებელმა ერთნაირ მდგომარეობაში მყოფ პირებს ერთნაირი შესაძლებლობები, ან/და ეს შესაძლებლობები განსხვავებულად ხომ არ უნდა განესაზღვრა პირთა არსებითი უთანასწორობის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნორმის სწორად შერჩევასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მოსარჩელე მხარემ სასარჩელო მოთხოვნა სწორად ჩამოაყალიბოს. თუ იგი ასაჩივრებს არა თავისი უფლების შემზღუდველ, არამედ შესაძარებელ პირთა უფლებააღმჭურველ წესს, მან უნდა მოითხოვოს ამ წესის საფუძველზე დადგენილი დიფერენცირების აღმოფხვრა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. მოსარჩელე არ უნდა ითხოვდეს დიფერენცირების აღმოფხვრას მხოლოდ ერთი საშუალებით, როგორცაა სადავო ნორმის შინაარსის გაფართოება და მისი შესაძარებელი პირების მსგავსი უფლებით/

<sup>120</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>121</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის №2/6/623 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

პრივილეგიით აღჭურვა. სასამართლოს მითითებით, „თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აღმჭურველი ნორმა დისკრიმინაციული ხასიათისაა, იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ ნორმის არაკონსტიტუციონად ცნობა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებასთან მიმართებით. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს სადავო ნორმით დადგენილი დიფერენციების აღმოფხვრა და არა სადავო ნორმის შინაარსის გაფართოება“.<sup>122</sup> პრაქტიკის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილი არ არის, სადავო ტექსტიდან ვალკეული სიტყვებისა და გრამატიკული ერთეულები არაკონსტიტუციონად ცნობით, შექმნას მოსარჩელეთათვის სასურველი შინაარსის სამართლებრივი წესრიგი (ვრცლად იხ. [ქვეთავი 4.1](#)): მისი კომპეტენცია შემოიფარგლება უთანასწორობის არაკონსტიტუციონად ცნობით. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება თანასწორობის კონსტიტუციური პრინციპის არსს. კერძოდ, აღნიშნული უფლება იცავს არა რაიმე უფლების, შესაძლებლობის მინიჭებას, არამედ შესაღარებელ პირთა მსგავს სამართლებრივ პოზიციაში ყოფნას. თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპთან მიმართებით, სადავო ნორმიდან მომდინარე დიფერენციება კანონმდებელმა შეიძლება აღმოფხვრას ორი გზით: (1) სადავო ნორმით გათვალისწინებულ სუბიექტთა მსგავსად, მოსარჩელეც აღიჭურვოს უფლებრივად; (2) სადავო ნორმებით გათვალისწინებული უფლებრივი მდგომარეობა ყველა პირისთვის გააუქმოს.<sup>123</sup>

ყოველივე ამის გათვალისწინებით, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად არ მიიღებს საქმეს, რომელშიც მოსარჩელე ასაჩივრებს შესაღარებელ პირთა უფლებამომჭურველ წესს, პრობლემურად მიიჩნევს დასახელებულ პირთათვის ნორმით დადგენილი უფლების/პრივილეგიის გაუქმებას და ითხოვს თანასწორობის აღდგენას ისეთი გზით, როგორიცაა იმავე სიკეთით სარგებლობის უფლების მხოლოდ მისთვის მინიჭება. მართებული იქნება, თუ მოსარჩელები, სასარჩელო მოთხოვნისა

<sup>122</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/12/1456 განჩინება საქმეზე „აზნაზაზ ბარნაბიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II-5.

<sup>123</sup> *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №1/6/1426 განჩინება საქმეზე „ბურამ აბულაძე და მიქაელ აბულაძე საქართველოს მოავრობის წინააღმდეგ“.

და საკუთარი არგუმენტაციის ჩამოყალიბებისას, არ მიუთითებენ, რა ფორმით სურთ თანასწორობის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ დასახელებული სტანდარტები არ მიემართება შემთხვევას, როდესაც მოსარჩელე მხარესაჩივრებს უფლებაშემზღუდველ წესს. ასეთ დროს, მას შეუძლია, მიუთითოს მისი უფლების შემზღუდველი დიფერენცირებული მოპყრობის გაუქმებაზე, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით.

ამავდროულად, მოსარჩელე მხარე თანასწორობის უფლებასთან მიმართებით ვერ მოითხოვს იმგვარი განსხვავების აღმოფხვრას, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს მას (ეს არ განიხილება დისკრიმინაციად). მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>124</sup> მოსარჩელე ფიზიკური პირი სადავოს ხდიდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის შესაბამისადაც, „112“-ის მომსახურების საფასურის გადახდისას ფიზიკური პირები იხდიდნენ 0.2 ლარს, ხოლო იურიდიული პირები – 0.5 ლარს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „სასარჩელო მოთხოვნის ამგვარად დაყენება ეფუძნებოდა თანასწორობის უფლების შინაარსის არასწორ აღქმას. გასაჩივრებული ნორმა ფიზიკური პირებისთვის, იურიდიულ პირებთან შედარებით, ითვალისწინებს „112“-ის მომსახურების საფასურის ნაკლებ ოდენობას. შესაბამისად, სადავო რეგულირება მოსარჩელე ფიზიკური პირისადმი აღგენდა არა დისკრიმინაციულ მოპყრობას, არამედ უპირატეს მდგომარეობაში აყენებდა მას. ამასთანავე, კონსტიტუციურ სარჩელში არ იყო წარმოდგენილი არგუმენტაცია, თუ რატომ შეიძლება შეფასდეს ფიზიკურ პირთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად მათი უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება უფრო ნაკლები ოდენობის მომსახურების საფასურის დადგენის ფორმით“.<sup>125</sup> ამდენად, მოსარჩელეს კონსტიტუციის მე-11 მუხლის დარღვევაზე დავის უფლებამოსილება აქვს მაშინ, როდესაც სადავო ნორმის საფუძველზე იგი ჩაყენებულია განსხვავებულ, უარეს რეჟიმში, არსებითად თანასწორ პირებთან შედარებით.<sup>126</sup>

<sup>124</sup> იხ. №1279 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>125</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/11/1279 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-14.

<sup>126</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის №2/6/623 საოქმო

## ბ. სახელმწიფო, როგორც შესადარებელი პირი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისთვის, მოსარჩელე მხარემ უნდა გამოყოს შესადარებელი პირები, რომელთა ურთიერთობის რეგულირების კუთხითაც ნორმა დისკრიმინაციულია. სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მე-11 მუხლთან მიმართებით, შესადარებელი პირი ვერ იქნება სახელმწიფო.<sup>127</sup>

კერძოდ, ერთ-ერთ სარჩელში<sup>128</sup> მოსარჩელე სადავოს ხდიდა ნორმას, რომლის შესაბამისადაც, იძულებითი აღსრულების პროცესში დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით წარმოშობილ მოთხოვნებთან მიმართებით უპირატესად კმაყოფილდებოდა სახელმწიფოს საგადასახადო მოთხოვნები. მოსარჩელე განმარტავდა, რომ დიფერენცირება იკვეთებოდა, ერთი მხრივ, მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ კრედიტორებსა (რომელთა მოთხოვნა წარმოიშვა დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის დაკარგვის შედეგად) და, მეორე მხრივ, სახელმწიფოსა (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკით უზრუნველყოფილი კრედიტორი) და სხვა უზრუნველყოფილ კრედიტორებს შორის.

დასახელებულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით აღიარებული „კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური უფლების დამდგენი ... ნორმა წარმოადგენს თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც, ზოგადად, გულისხმობს ადამიანთა სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას“.<sup>129</sup> სასამართლოს მითითებით, კონსტიტუციის მე-11 მუხლით გარანტირებულია

---

ჩანაწერი საქმეზე „შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>127</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის №2/20/1293 განჩინება საქმეზე „შპს „საგა იმპექსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>128</sup> იხ. №1225 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>129</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

ადამიანთა თანასწორობა კანონის წინაშე, რაც გამორიცხავს სახელმწიფოსა და ადამიანის შესადარებელ ჯგუფად განხილვას. ამ მუხლის მიზანი არ არის ადამიანებისა და სახელმწიფოს თანასწორობა. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა, რომელიც შეეხება სადავო ნორმათა დისკრიმინაციულად მიჩნევას ადამიანისა და სახელმწიფოს შესადარებელ ჯგუფებად განხილვით, ემყარება კონსტიტუციის მე-11 მუხლით დაცული უფლების არასწორ აღქმას და დაუსაბუთებელია.<sup>130</sup>

### გ. ნეიტრალური ნორმები

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელები თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით ასაჩივრებენ ამა თუ იმ ნორმას, თუმცა სასამართლო არ იღებს სარჩელებს არსებითად განსახილველად, იმ არგუმენტით, რომ სადავო ნორმები ნეიტრალური ბუნებისაა. ამოსავალი წერტილი ნორმის ნეიტრალურობის შესაფასებლად არის ის, თუ რამდენად ადგენს ნორმა პირთა შორის დიფერენცირებას. სხვაგვარად, თუ ნორმიდან მომდინარე განსხვავებული/იღენტური სამართლებრივი შედეგი უკავშირდება რაიმე ფაქტობრივ გარემოებებს და არა პირთა იდენტიფიცირებად ჯგუფებს, ის მიიჩნევა ნეიტრალურად და არ მიემართება თანასწორობის უფლებას.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>131</sup> მოსარჩელე ასაჩივრებდა ნორმას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მდებარე ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ინსპექტირების ცენტრის ან/და მისი ფილიალისათვის დადგენილი იყო აკრედიტაციის მოპოვებისა და მონიტორინგის განსხვავებული საფასურები. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ აკრედიტაციის ცენტრი ყველა პირს ერთნაირ მომსახურებას უწევდა და არ არსებობდა რაიმე გარემოება, რომელიც გაამართლებდა განსხვავებული საფასურის დაწესებას სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულში აკრედიტაციის მოპოვების მსურველთათვის. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის აზრით, ამ პირთათვის ირღვეოდა თანასწორობის უფლება, რადგან მათ

<sup>130</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 23 მარტის №2/4/1225 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მამია მიქაუტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

<sup>131</sup> იხ. №1437 კონსტიტუციური სარჩელი.

აკრედიტაციის მოსაპოვებლად უწევდათ ერთმანეთისგან განსხვავებული საფასურის გადახდა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობის თანახმად, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში ავტოსატრანსპორტო საშუალების ინსპექტირების ჩატარება შეეძლო ნებისმიერ პირს, თუ იგი აკმაყოფილებდა კონკრეტულ მოთხოვნებს და მოიპოვებდა აკრედიტაციას. მაგალითად, თუ მოსარჩელეს ლიცენზიის მოპოვება სურდა, პირობითად, ბათუმში, მას მოუწევდა ზუსტად იმავე ოდენობის საფასურის გადახდა, რაც გათვალისწინებული იყო ანალოგიური ლიცენზიის მოპოვების მსურველი ყველა სხვა პირისთვის. ამასთანავე, მოსარჩელეს შეეძლო, საქმიანობა განეხორციელებინა რამდენიმე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და, საკუთარი სამეწარმეო ინტერესების გათვალისწინებით, თავისუფლად განესაზღვრა, რომელ ადმინისტრაციულ ერთეულში სურდა აკრედიტაციის მოპოვება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი რეგულაცია ნეიტრალური იყო პირთა ნებისმიერი წრის მიმართ და არსებითად თანასწორ პირებს არ აკისრებდა განსხვავებულ ფინანსურ ტვირთს ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ინსპექტირების აკრედიტაციის/მონიტორინგის საფასურის დადგენისას.<sup>132</sup>

ამავდროულად, ფაქტობრივ გარემოებას დაკავშირებული ქმედება თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შეფასდება, თუ მოსარჩელის განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში მოხვედრა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის არჩევანზე.<sup>133</sup> ერთი შეხედვით ნეიტრალური ნორმა, რომელიც გასაჩივრების უფლების განსხვავებულ სტანდარტებსადგენდა დანაშაულის კატეგორიების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა შემდეგი არგუმენტაციით: „პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობის არსებობას განაპირობებს პირის მიმართ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა. მართალია, სადავო ნორმებით დადგენილი წესი მიემართება დანაშაულის კატეგორიას, თუმცა იგი ერთმანეთისგან ყოფს პირთა ჯგუფებს. სადავო

<sup>132</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის №1/10/1437 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შს „უპიცენტრი“ საქართველოს მთავრობის და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-17.

<sup>133</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის №1/1/1535 განჩინება საქმეზე „თორნიკე კუბლაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-12,15.

ნორმების მიხედვით, პირთა ჯგუფი, რომელთა მიმართაც ჩადენილია ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაული, გამოყოფილია იმ პირებისგან, რომელთა მიმართაც ჩადენილია განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. სადავო ნორმა გასაჩივრების შესაძლებლობას უკავშირებს ისეთ პირობას, რომლის შეცვლაც დამოკიდებული არ არის პირის თავისუფალ არჩევანზე. შესაბამისად, პირებს არ აქვთ შესაძლებლობა, რაიმე გავლენა მოახდინონ ამ დაყოფაზე. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში ურთიერთობის სხვადასხვაგვარი მოწესრიგება ჩადენილი დანაშაულის კატეგორიის მიხედვით, ფაქტობრივად, იწვევს პირთა განსაზღვრული ჯგუფების მიმართ სხვადასხვაგვარ უფლებრივ რეჟიმს და დიფერენცირებას<sup>134</sup>.

**დ. ფართო დისკრეციული უფლებამოსილების დისკრიმინაციულობის შეფასება**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს ფართო, უკონტროლო დისკრეციულ უფლებამოსილებას და ქმნის დისკრიმინაციული გამოყენების რისკებს, ფასდება თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით.

საქმეში, რომლითაც აღნიშნული სტანდარტი ჩამოყალიბდა, სადავო ნორმა საგადასახადო ორგანოს ანიჭებდა დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომ ქონების გადასახადის ადმინისტრირების მიზნით, გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთი განესაზღვრა ქონების საბალანსო ანდა საბაზრო ფასის შესაბამისად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ამ მოცემულობის გარდა, სადავო ან საგადასახადო კოდექსის რომელიმე სხვა ნორმა არ განსაზღვრავდა რაიმე სახის კრიტერიუმს ან სახელმძღვანელო პრინციპს, რომლებიც საგადასახადო ორგანოს უნდა გაეთვალისწინებინა დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას; არც საქართველოს კანონმდებლობის რომელიმე სხვა ნორმა მიუთითებდა უშუალოდ სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებაზე, თვითონ განესაზღვრა დისკრეციის გამოყენების კრიტერიუმები. შესაბამისად, სადავო ნორმით

<sup>134</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

– ან მასთან დაკავშირებული რომელიმე საკანონმდებლო რეგულირებით – არ იკვეთებოდა, რა კრიტერიუმზე დაყრდნობით მიმართავდა საგადასახადო ორგანო განსხვავებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტებს სხვადასხვა სუბიექტის მიმართ. სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა რაიმე დამცავ მექანიზმს/გარანტიას, რომელიც გადასახადის გადამხდელებს დაიცავდა ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების დისკრიმინაციული ტენდენციებისგან.<sup>135</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საქმიანობისას, ყოველთვის არსებობს შეცდომის დაშვების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, თვითნებური და მიკერძოებული მოქმედების რისკი. ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და მისთვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა გაცილებით მეტ სირთულეს უკავშირდება, როდესაც ის საქმიანობს მოქმედების თავისუფლებით. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ დისკრეციას, პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, ყოველთვის ახლავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მომეტებული რისკი და აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოზე დისკრეციის დელეგირება შესაბამებოდეს მკაცრად განსაზღვრულ კრიტერიუმებსა და პირობებს. შედეგად, მინიჭებული უფლებამოსილება მოექცევა სამართლებრივ ჩარჩოში და დაცული იქნება სამართლიანი ბალანსი დისკრეციის მიზნებსა და მისი ბოროტად გამოყენების რისკებს შორის; ასევე, განჭვრეტადი გახდება დისკრეციის საფუძველი და წინაპირობები ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას დაქვემდებარებული პირისთვის.<sup>136</sup>

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სადავო ნორმით დადგენილ დისკრეციულ უფლებამოსილებას ჰქონდა აბსოლუტური ბუნება, რომლის განხორციელებით გამოწვეული დიფერენცირება არ უკავშირდებოდა რაიმე გონივრულ კრიტერიუმს და იძლეოდა ნორმის დისკრიმინაციული გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, იგი დისკრიმინაციულ ნორმად ჩაითვალა.

<sup>135</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-56, 57.

<sup>136</sup> იქვე, II-55.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ სადავო ნორმა ორგანოს ანიჭებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაბამისი სტანდარტებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის გარეშე, ისინი ფასდება თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით.

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- სამართლის წინაშე თანასწორობის უფლება იზღუდება, როდესაც კანონმდებელი დიფერენცირებულ მდგომარეობაში აყენებს არსებითად თანასწორ პირებს, ან/და არსებითად უთანასწორო პირთა მიმართ ადგენს თანასწორ მოპყრობას.
- უთანასწორო რეჟიმის შექმნაზე აპელირებით, მოსარჩელეს შეუძლია, გაასაჩივროს ისეთი ნორმა, რომელიც უზღუდავს რაიმე შესაძლებლობას, ან სხვას აღჭურავს მისგან განსხვავებული უფლებით. აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში შესაძარებელი პირები მოთხოვნებს უნდა აყენებდნენ მსგავსი პოზიციიდან (ისინი უნდა იმყოფებოდნენ ანალოგიურ სამართლებრივ ურთიერთობაში).
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნორმის სწორად შერჩევასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მოსარჩელე მხარემ სწორად ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა. თუ იგი ასაჩივრებს არა თავისი უფლების შემზღუდველ, არამედ შესაძარებელ პირთა უფლებადმჭურველ წესს, მან უნდა მოითხოვოს ამ წესის საფუძველზე დადგენილი დიფერენცირების აღმოფხვრა ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით. მოსარჩელე არ უნდა ითხოვდეს დიფერენცირების აღმოფხვრას მხოლოდ ერთი საშუალებით, როგორცაა სადავო ნორმის შინაარსის გაფართოება და მისი აღჭურვა შესაძარებელ პირთა მსგავსი უფლებით/პრივილეგიით. მართებული იქნება, თუ მოსარჩელები სასარჩელო მოთხოვნისა და არგუმენტაციის ჩამოყალიბებისას არ მიუთითებენ, რა ფორმით სურთ თანასწორობის აღდგენა. აღსანიშნავია, რომ დასახელებული სტანდარტები არ მიემართება შემთხვევას, როდესაც მოსარჩელე მხარე ასაჩივრებს უფლებაშემზღუდველ წესს. ასეთ შემთხვე-

ვაში, მას შეუძლია, მიუთითოს მისთვის უფლების შემზღუდველი დიფერენცირებული მოპყრობის გაუქმებაზე, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობით.

- მოსარჩელე მხარე, როგორც წესი, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით ვერ მოითხოვს იმგვარი დიფერენცირების აღმოფხვრას, რომელიც მას პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს (ეს არ განიხილება დისკრიმინაციად). მოსარჩელეს კონსტიტუციის მე-11 მუხლის დარღვევაზე დავის უფლებამოსილება აქვს მაშინ, როდესაც სადავო ნორმის საფუძველზე იგი ჩაყენებულია განსხვავებულ, უარეს რეჟიმში, არსებითად თანასწორ პირებთან შედარებით.
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, შესადარებელი პირი ვერ იქნება სახელმწიფო.
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თანასწორობის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას არ განაპირობებს ნეიტრალური შინაარსის ნორმები, რის გამოც იგი მსგავს სასარჩელო მოთხოვნებს არ იღებს განსახილველად. ამოსავალი წერტილი ნორმის ნეიტრალურობის შესაფასებლად არის ის, თუ რამდენად ადგენს ნორმა პირთა შორის დიფერენცირებას. სხვაგვარად, თუ ნორმიდან მომდინარე განსხვავებული/იდენტური სამართლებრივი შედეგი უკავშირდება რაიმე ფაქტობრივ გარემოებებს და არა პირთა იდენტიფიცირებად ჯგუფებს, ის მიიჩნევა ნეიტრალურად და არ მიემართება თანასწორობის უფლებას. ამავდროულად, ფაქტობრივ გარემოებას დაკავშირებული ქმედება შეფასდება თანასწორობის უფლებასთან მიმართებით, თუ მოსარჩელის განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობაში მოხვედრა არ არის დამოკიდებული მოსარჩელის არჩევანზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ნორმა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს ფართო, უკონტროლო დისკრეციულ უფლებამოსილებას და ქმნის დისკრიმინაციული გამოყენების რისკებს, ფასდება თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით.

#### 2.2.2.4 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება „... იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვებისგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებსა და გარესამყაროსთან. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლით დაცულია პირის უფლება, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში და პიროვნული განვითარებისა და რელიგიაციისთვის აუცილებელ მოქმედებათა განხორციელების თავისუფლება“.<sup>137</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარება უზოგადესი უფლებაა. კონსტიტუციის მე-12 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებსაც არ მოიცავს პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებები. ეს მუხლი კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ქმნის იმ ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ ექცევა კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელი კომპონენტია.<sup>138</sup> თუ დადგინდება, რომ ასეთი უფლებრივი კომპონენტი დაცულია სპეციალური კონსტიტუციური დებულებით, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის კონსტიტუციურობას შეაფასებს არა მე-12 მუხლთან, არამედ იმ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, რომელიც ადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარე-

<sup>137</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>138</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-57.

ბის ამა თუ იმ უფლებრივი კომპონენტის დაცვის სპეციალურ, კონსტიტუციურსამართლებრივ სტანდარტებს.<sup>139</sup>

ამდენად, სადავო ნორმასა და კონსტიტუციის ხსენებულ დებულებას შორის შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ ნორმის საფუძველზე იზღუდება პიროვნების თავისუფალი განვითარების ის ასპექტები, რომლებიც არ არის დაცული კონსტიტუციის სხვა დებულებებით. ამავდროულად, აღნიშნული წინაპირობა ვერ იქნება რელევანტური კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართებით, ვინაიდან მისი დაცული სფერო არ მიჯნავს საზოგადოებრივ ურთიერთობებს უფლებრივი კუთვნილების თვალსაზრისით: იგი უზრუნველყოფს პირთა შორის თანასწორობის შენარჩუნებას ნებისმიერ სამართალურთიერთობაში.<sup>140</sup>

მამასადამე, თუ სადავო ნორმა ზღუდავს თანასწორობის უფლებას, შესაძლებელია, ის მიემართებოდეს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასაც. სხვა შემთხვევებში, რაიმე შეზღუდვის მოქცევა რომელიმე უფლების დაცულ სფეროში, როგორც წესი, გამორიცხავს იმავე შეზღუდვის მიმართებას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან.

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ქმნის ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ ექცევა კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელი კომპონენტია. ამდენად, სადავო ნორმასა და კონსტიტუციის ხსენებულ დებულებას შორის შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ ნორმის საფუძველზე იზღუდება პიროვნების თავისუფალი განვითარების ის ასპექტები, რომლებიც არ არის დაცული კონსტიტუციის სხვა დებულებებით.

<sup>139</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „შსს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და შსს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>140</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭრაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-58.

- გამონაკლისის სახით, სადავო ნორმიდან მომდინარე იდენტური შეზღუდვა შეიძლება მიემართებოდეს როგორც თანასწორობის კონსტიტუციურ უფლებას, ასევე პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას. სხვა შემთხვევებში, რაიმე შეზღუდვის მოქცევა რომელიმე უფლების დაცულ სფეროში, როგორც წესი, გამორიცხავს იმავე შეზღუდვის მიმართებას პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან.

### 2.2.2.5 ადამიანის თავისუფლებისა და მიმოსვლის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა

„1. ადამიანის თავისუფლება დაცულია. 2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. 3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები).

„1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევისა და საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლება. 2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

დასახელებული ორი უფლება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებებია. კერძოდ, მე-13 მუხლით დაცული უფლება გულისხმობს ფიზიკურ თავისუფლებას, პირის უფლებას, გადაადგილდებოდეს თავისი ნების შესაბამისად და იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე.<sup>141</sup> ამავედროულად, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთი ელემენტია პირის კონკრეტულ ადგილზე დაყოვნება მისი ნების საწინააღმდეგოდ და მისთვის გადაადგილების შეზღუდვა. ანალოგიური უფლებერივი კომპონენტი, პირის თავისუფალი გადაადგილების კონტექსტში, დაცულია კონსტიტუციის მე-14 მუხლით: იგი იცავს პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს გადაადგილდეს, მათ შორის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.<sup>142</sup> ამდენად, პირის გადაადგილების შეზღუდვა ექვევა ორი კონსტიტუციური უფლების მოქმედების სფეროში და ხსენებული კონსტიტუციური დებულებები მნიშვნელოვნად უკავშირდება ერთმანეთს ამ ასპექტში.

ამავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ეს ორი დებულება შეიძლება პრაქტიკაში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს, და განმარტა, რა დამატებითი პირობები უნდა იყოს სახეზე (გარდა გადაადგილების შეზღუდვისა), რომ გამოყენებული ღონისძიება მოექცეს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცულ სფეროში: „საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს მრავალ ასპექტს, მათ შორის, რა მიზნით ხდება პირისთვის კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, როგორია მის ნებაზე შემოქმედების ფარგლები, რამდენად ეზღუდება ამ სივრცეში მოქმედების თავისუფლება, როგორია უფლებაშეზღუდული პირის სამართლებერივი სტატუსი, რა შედეგის დადგომას ისახავს მიზნად ამგვარი შეზღუდვა და სხვა. შემზღუდველი ღონისძიების საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის რეგულირების

<sup>141</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>142</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-12.

ქვეშ მოქცევას, უმთავრესად, ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის, მის ნებაზე უემოქმედების ხარისხი განაპირობებს. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, თუ რა ვადით ხდება კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, ვერ გამოდგება პირის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის წარმოსაჩენ თვითკმარ არგუმენტად. ის, თუ რა ვადით ეკრძალება პირს განსაზღვრული ადგილის დატოვება, მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა არა გადამწყვეტი. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ შესაბამის გარემოებებში, განსაზღვრული ადგილის დატოვების მხოლოდ ერთსაათიანი აკრძალვაც კი ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვად იყოს მიჩნეული თავისუფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსიურობის გამო, ხოლო რამდენიმედღიანი აკრძალვა – მხოლოდ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვად, მაგალითად, ისეთ პირობებში, როდესაც ადგილის დატოვების აკრძალვას თან არ ახლავს რაიმე სახის სხვა სოციალური ქცევის შეზღუდვა“.<sup>143</sup>

ამ სტანდარტიდან გამომდინარე, სასამართლომ კონსტიტუციის მე-13 მუხლით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვად არ მიიჩნია ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულთან კონტაქტის მქონე პირის მოთავსებას საკარანტინე სივრცესა ან თვითიზოლაციაში. კერძოდ, ნორმით იკრძალებოდა კარანტინისთვის სპეციალურად მოწყობილი სივრცის ან საკუთარი სახლის დატოვება, ამ სივრცის მიღმა გადაადგილება, და სხვა პირებთან ფიზიკური კონტაქტი.<sup>144</sup> შეზღუდვები არ გულისხმობდა პირის თავისუფლებაში ჩარევას ამა თუ იმ მექანიზმის გამოყენებით. სასამართლოს მითითებით, პირის კარანტინში/იზოლაციაში მოთავსების მიზანი იყო ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთა, რისი ერთ-ერთი საშუალებაც გახლდათ პირის მოთავსება კონკრეტულ სივრცეში, სხვა ადამიანებისაგან იზოლირებულად. ამ დროს პირს არ ჰქონდა იმგვარი სამართლებრივი სტატუსი, რომლის შემთხვევაშიც აუცილებელი გახდებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიების ამოქმედება. კარანტინში/

<sup>143</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საგაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-16.

<sup>144</sup> იქვე.

თვითიზოლაციაში მყოფი პირის სამართლებრივი მდგომარეობა სრულიად განსხვავდებოდა იმ პირის მდგომარეობისგან, ვის მიმართაც ხორციელდება კანონით დადგენილი ღონისძიებები სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად.<sup>145</sup> კერძოდ, დაკავებულს, შესაბამის ადგილას მოთავსებისას, არ აქვს შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს ისარგებლოს საკომუნიკაციო საშუალებებით და შეუზღუდავად ეკონტაქტოს ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებს. მისი ქცევა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ არის და შესაძლოა, სხვადასხვა სახით გაკონტროლდეს (მაგ.: შემოწმდეს მისი ნივთები, საკანი ან სხვა სამყოფელი და ა. შ.). შესაბამისად, დაკავებული პირისგან განსხვავებით, კარანტინსა და თვითიზოლაციაში მოთავსებულ პირს არ უზღუდება ნების თავისუფლება და, ამ მხრივ, მისი ქცევა არ ექვემდებარება რაიმე სახის კონტროლსა თუ კორექციას.<sup>146</sup> ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებულ პირობებში პირისთვის კონკრეტული სივრცის დატოვების აკრძალვა ზღუდავდა არა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ თავისუფლებას, არამედ მე-14 მუხლით დაცულ გადაადგილების უფლებას.

ამისგან განსხვავებით, სასამართლომ კონსტიტუციის მე-13 მუხლით დადგენილი ფიზიკური თავისუფლების შეზღუდავად მიიჩნია პირის იძულებით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში (მკურნალობის მიზნით). მისი განმარტებით, „ასეთ დროს პაციენტი ექვემდებარება დაწესებულებაში დადგენილ რეჟიმს; ექიმი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ დაავალოს ან აუკრძალოს პაციენტს კონკრეტული ქმედების განხორციელება, დაადგინოს ოჯახის წევრებთან კონტაქტის დრო და სიხშირე და სხვა“.<sup>147</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- ადამიანის თავისუფლებისა და მიმოსვლის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნისას, მნიშვნელოვანია მრავალი ასპექ-

<sup>145</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტინძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-18.

<sup>146</sup> იქვე, II-20, 21.

<sup>147</sup> იქვე, II-20.

ტის გაანალიზება. კერძოდ, უნდა შეფასდეს: ეზღუდება თუ არა პირს მოთავსებულ სივრცეში მოქმედების თავისუფლება; როგორია უფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი; რა შედეგს ისახავს მიზნად ამგვარი შეზღუდვა; როგორია ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის, მის ნებაზე შემოქმედების ხარისხი და ა.შ. სწორედ ეს ხარისხი განაპირობებს შემზღუდველი ღონისძიების მოქცევას კონსტიტუციის მე-13 მუხლის რეგულირების ქვეშ. თუ პირისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისას მის ნებაზე შემოქმედების ხარისხი არ აღწევს ისეთ ზღვარს, რომ კვალიფიცირდეს ადამიანის თავისუფლებაში ჩარევად, სახეზეა კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებული მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა.

#### **2.2.2.6 პირადი და ოჯახური ცხოვრების და პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა**

„ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი).

„ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24

საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული კონსტიტუციური დებულებები განამტკიცებს პირადი ცხოვრების უფლების ორ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, ესენია: (1) ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა; და (2) ადამიანის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობა. ერთი შეხედვით, ეს დებულებები მსგავსია, თუმცა ფუნქციურად ისინი განსხვავდება ერთმანეთისგან: კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ზოგადად ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, რაც მოიცავს პირის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს და განავითაროს პირადი ცხოვრება, ჰქონდეს კავშირი ოჯახის წევრებთან, დაამყაროს კომუნიკაცია მესამე პირებთან და ა.შ.; მე-2 პუნქტის მიზანი კი პირის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ანონიმურობის/პრივატულობის უზრუნველყოფაა – ანუ ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვა იმ სფეროთა გამჟღავნებისგან, რომელთა მიმართაც პრივატულობის ობიექტური მოლოდინი აქვს.<sup>148</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „პირველი პუნქტისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი მიმართულია არა პირად სფეროში ამა თუ იმ ქმედების განხორციელების თავისუფლების უზრუნველყოფისკენ, არამედ ამ სფეროში განხორციელებულ ქმედებებზე გარეშე პირების ზედამხედველობის შეზღუდვისკენ“.<sup>149</sup>

ამავდროულად, მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები მიუთითებს დაცულ უფლებებში სახელმწიფოს ჩარევის სხვადასხვა კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველზე: კერძოდ, პირველი პუნქტით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა შესაძლებელია

<sup>148</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

<sup>149</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

„მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“, ხოლო მე-2 პუნქტით დაცული პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების შეზღუდვისთვის, დამატებით, მოითხოვება სასამართლოს გადაწყვეტილება – კონტროლი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი, პირველისგან განსხვავებით, უფრო სპეციფიკურია და უზრუნველყოფს უფლების სუბიექტის პირადი სივრცის, მათ შორის, ადამიანის, მისი სხეულის, ტანსაცმლის, პირადი ნივთებისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობას გარეშე პირთაგან/მათ პრივატულობას. ამასთან, კონსტიტუციის მოთხოვნით, ამ უფლებაში ჩარევისთვის, როგორც წესი, აუცილებელია სასამართლო ნებართვა.<sup>150</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში სადავო ნორმები, რომელთა საფუძველზეც პროკურორი/გამომძიებელი აღჭურვილი იყო უფლებამოსილებით, ბრალდებულისთვის აკრძალა კომუნიკაცია მიმოწერის ან/და პაემნის ფორმით, არ მიიღო არსებითად განსახილველად კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. სასამართლოს მითითებით, სადავო რეგულირებები ადგენდა კონკრეტული სახის პირადი კომუნიკაციის შეზღუდვას, და არა მასზე სახელმწიფოს წვდომის შესაძლებლობას. გასაჩივრებული ნორმები არ განსაზღვრავდა კომუნიკაციაზე სახელმწიფოს წვდომის ფარგლებს.<sup>151</sup>

ამავდროულად, სასამართლოს განმარტებით, თუ პირებს არ ექნებათ მოლოდინი, რომ მათი პირადი სივრცე და კომუნიკაცია გარე პირებისთვის მიუწვდომელია, ისინი თავს შეიკავებენ გარკვეული ქმედებებისგან. შესაბამისად, პირად კომუნიკაციაზე გარეშე პირებისთვის წვდომის მინიჭებამ შესაძლოა რიგ შემთხვევებში შეაფერხოს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების განხორციელება.<sup>152</sup>

<sup>150</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-23, 25.

<sup>151</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

<sup>152</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444

გარდა ამისა, სასამართლოს პრაქტიკით, სწორედ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით განმტკიცებული უფლების ფარგლებში არიან პირები უზრუნველყოფილნი ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებით.<sup>153</sup> სასამართლოს თქმით, ეს უფლება „იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება“.<sup>154</sup> შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი არის გარანტი, რომ პირის სხეული გაუმართლებლად არ შემოწმდეს. ისეთი ღონისძიება, როგორცაა პირისთვის ნიმუშის აღება, არის ჩარევა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ პირადი სივრცის ხელშეუხებლობაში.<sup>155</sup> ამავდროულად, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირის ჩხრეკის შესაძლებლობაც ამ უფლებით დაცულ სფეროს განეკუთვნება (და არა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით განმტკიცებულ ადამიანის თავისუფლებას).<sup>156</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, ზოგადად, ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობას, რაც თავის თავში მოიცავს, მათ შორის, პირის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებით განსაზღვროს და განავითაროს პირადი ცხოვრება, ჰქონდეს კავშირი ოჯახის

---

საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

<sup>153</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>154</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-17.

<sup>155</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/7/1522 განჩინება საქმეზე „გიორგი დარჩია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

<sup>156</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 7 მარტის №1/1/503, 513 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16,17.

წევრებთან, დაამყაროს კომუნიკაცია მესამე პირებთან და ა.შ.; მე-2 პუნქტის მიზანი კი პირის პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ანონიმურობის/პრივატულობის უზრუნველყოფაა – ანუ ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვა იმ სფეროთა გამქდავანებისგან, რომელთა მიმართაც მას პრივატულობის ობიექტური მოლოდინი აქვს.

- საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები მიუთითებს დაცულ უფლებებში სახელმწიფოს ჩარევის სხვადასხვა კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველზე. კერძოდ, პირველი პუნქტით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა შესაძლებელია „მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“, ხოლო მე-2 პუნქტით დაცული პირადი სივრცისა და კომუნიკაციის უფლების შეზღუდვისთვის, დამატებით მოითხოვება სასამართლოს გადაწყვეტილება.
- პირად კომუნიკაციაზე გარეშე პირთათვის წვდომის მინიჭების გამო, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში პირებმა თავი შეიკავონ გარკვეული ქმედებებისგან. შესაბამისად, სადავო რეგულირებამ, კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად, შესაძლოა პირველი პუნქტით დაცული უფლებაც შეზღუდოს.

### 2.2.2.7 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი).

„ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან

დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად“ (*საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი*).

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 და მე-18 მუხლები ერთმანეთის მსგავსად მიუთითებს ინფორმაციის მიღების თავისუფლებაზე, რის გამოც საკონსტიტუციო სასამართლოს დღის წესრიგში დადგა მათი გამიჯვნის საჭიროება.

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მე-17 მუხლისგან განსხვავებით, რომლითაც გარანტირებულია ინფორმაციის „თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის“<sup>157</sup>, მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი არ აწესრიგებს ინფორმაციის მოპოვებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. სახელმწიფო დაწესებულებები არ წარმოადგენენ ამგვარ წყაროებს, შესაბამისად, ხსენებული პუნქტის ყურადღების ცენტრში მოქცეულია სწორედ სახელმწიფო დაწესებულებებსა და ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურსამართლებრივი რეჟიმი განსხვავდება მოწესრიგებისგან, რომელიც დაწესებულია მონაცემთა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მიღებისათვის.<sup>158</sup>

ამდენად, თუ მოსარჩელე მხარისთვის პრობლემურია ინფორმაციის მიღება არა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, არამედ სახელმწიფო დაწესებულებებიდან (მაგ.: როგორცაა საერთო სასამართლოები), მან სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება უნდა

<sup>157</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-398 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-14.

<sup>158</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

მოითხოვოს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.<sup>159</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, სადავო ნორმას მიმართება ექნება საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლებას; ხოლო თუ პრობლემურია ინფორმაციის მიღება სახელმწიფო დაწესებულებებიდან, სადავო ნორმა უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.

### **2.2.2.8 შემოქმედების თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა**

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გავრცელოს ინფორმაცია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი).

„შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა და საშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით განმტკიცებულია შემოქმედების თავისუფლებისა და შემოქმედებით პროცესში ჩაურევლობის უფლება. ეს გულისხმობს პირის უფლებას, დაუბრკოლებლად, სახელმწიფოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე განახორციელოს შემოქმედებითი საქმიანობა. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, პირი უფლებამოსილია, არა მხოლოდ შექმნას შემოქმედებითი ნაწარმოები, არამედ საკუთარი სურვილისამებრ გავრცელოს იგი (გარდა დასახელებული საგამონაკლისო შემთხვევისა).

<sup>159</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის №1/23/693 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ერთ-ერთი სარჩელის შესაბამისად,<sup>160</sup> კონსტიტუციური სარჩელის ავტორს ბრალად ედებოდა პორნოგრაფიული ნაწარმოების/გამოსახულების უკანონოდ გავრცელება, კერძოდ, ვებსაიტზე პორნოგრაფიის შემცველი ფოტო-ვიდეო ფაილების ატვირთვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელიდან არ იკვეთებოდა, რომ პორნოგრაფიული მასალის ავტორი იყო თავად მოსარჩელე. მაშასადამე, საქმე ეხებოდა არა მოსარჩელის, არამედ სხვა პირის მიერ შექმნილი ნაწარმოების გავრცელებას. სასამართლომ მიუთითა, რომ სხვა პირის მიერ შექმნილი შემოქმედებითი ნაწარმოებისა და ინფორმაციის გავრცელება, თავისი არსით, გულისხმობს არა შემოქმედებითი საქმიანობის, არამედ ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების უფლების რეალიზებას<sup>161</sup>, რომელიც რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სწორედ ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები „იცავს საყოველთაო უფლებას, პირმა თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით, ან სხვაგვარი საშუალებით“.<sup>162</sup>

სხვა საქმეში მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ავტორის (რეჟისორის, სცენარისტისა და პროდიუსერის) მიერ შექმნილი პროდუქტის გავრცელებისას მაუწყებელი ასევე სარგებლობდა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით დაცული შემოქმედების თავისუფლებით. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „სხვა პირის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის მაუწყებლის მიერ საკუთარ ეთერში გადაცემისას, მაუწყებელი არ სარგებლობს შემოქმედების თავისუფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტიებით. სხვა პირის მიერ შექმნილი სახელოვნებო ნაწარმოების გავრცელებისას მაუწყებელი მოქმედებს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლების საფუძველზე, შესაბამისად,

<sup>160</sup> იხ. №711 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>161</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის №1/13/711 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>162</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ქვემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-158.

ამგვარი ნაწარმოების სამაუწყებლო ეთერში განთავსების შინაარსობრივ რეგულირებას მიმართება ექნება მაუწყებლის იმ უფლების შეზღუდვასთან, რომელიც განამტკიცებს ინფორმაციის თავისუფლად მიღებასა და გავრცელებას<sup>163</sup>.

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ საკითხი ეხება არა მოსარჩელის, არამედ სხვა პირის მიერ შექმნილი შემოქმედებითი ნაწარმოების, ისევე როგორც სხვა ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას, სახეზეა ჩარევა არა შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლებაში, არამედ ინფორმაციის მოპოვება-გავრცელების უფლებაში.

**2.2.2.9 აზრის, ინფორმაციისა და შეკრების თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა**

„1.აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია. დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო. 2. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები).

„ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე საჯაროდ და უიარაღოდ შეკრების უფლება“ (საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლო არაერთ საქმეში დადგა გამომხატვისა და შეკრების თავისუფლების დაცულ სფეროთა ურთიერთმიმართების დადგენის წინაშე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი შეიცავს გამომხატვის თავისუფლების სხვადასხვა

<sup>163</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/2/1537 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მზს მთავარი არხი“, „მზს ტელეკომპანია პირველი“, „მზს ტელეკომპანია კავკასია“, „მზს ფორმულა“, ირაკლი საღინაძე, გიორგი ლიფონავა და ქეთევან დევდარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

ასპექტს. ამ ნორმით დაცულია ადამიანის შეხედულებები, ინფორმაცია და მათი გამოთქმისა თუ გავრცელებისთვის შერჩეული საშუალებები (მათ შორისაა: პრესა, ტელევიზია და სხვა). შეკრების (მანიფესტაციის) უფლება უკავშირდება კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ სფეროს, რამდენადაც ის აზრის გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა. ადამიანთა თავყრილობას (მსვლელობას), რომელიც მოკლებულია იდეას, არ ემსახურება აზრისა და ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას, არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციით დაცულ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებასთან. შეკრებას (მანიფესტაციას) კონსტიტუციურ უფლებად აქცევს მისი მიზანი და შინაარსი; ეს განაპირობებს ბუნებრივ და არსებით კავშირს კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლებს შორის. 21-ე მუხლი, რომელიც იცავს ადამიანთა ჯგუფის მიერ აზრის გამოხატვის კოლექტიურ შესაძლებლობას, კონსტიტუციის მე-17 მუხლის გაგრძელებაა. ამრიგად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საკანონმდებლო ნორმა, რომელიც შეეხება აზრის გამოხატვას შეკრების ან/და მანიფესტაციის ფორმით, ასევე, შეკრების (მანიფესტაციის) ადგილს, შინაარსსა თუ ფორმას, შეიძლება თანაბრად მიემართებოდეს კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლებს.<sup>164</sup> ამ არგუმენტაციიდან გამომდინარე, ერთ-ერთ საქმეში სწორედ მითითებულ მუხლებთან მიმართებით შეფასდა იმ სადავო ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც ადგენდა შეკრებაში (მანიფესტაციაში) მონაწილეობის, ასევე, მისი ორგანიზების ან/და ჩატარების უფლების მქონე სუბიექტთა წრეს, განსაზღვრავდა შეკრების ჩატარების ადგილს და უკავშირდებოდა შეკრების (მანიფესტაციის) ორგანიზებისა და ჩატარებისას გამოთქმულ მოსაზრებებსა თუ ინფორმაციას.<sup>165</sup>

სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას ავტონომიური შინაარსიც აქვს და მისი შეზღუდვა ყველა შემთხვევაში არ იწვევს გამოხატვის

<sup>164</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის №2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრობა ერთიანი საქართველოსთვის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>165</sup> იქვე.

ან ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას. ამიტომ, მუხლებს შორის მჭიდრო კავშირის მიუხედავად, მათ შორის ტოლობის ნიშნის დასმა ყოველთვის მართებული არ არის. სადავო ნორმის კონსტიტუციის მუხლთან მიმართების დასადგენად, აუცილებელია, შეფასდეს რეგულაციის არსი, განისაზღვროს უფლების ის ასპექტი, რომლის შეზღუდვისკენაც არის მიმართული ნორმა.<sup>166</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- შეკრების (მანიფესტაციის) უფლება უკავშირდება კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ აზრის, ინფორმაციის თავისუფლების უფლებას, რამდენადაც ის აზრის გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საკანონმდებლო ნორმა, რომელიც შეეხება აზრის გამოხატვას შეკრების ან/და მანიფესტაციის ფორმით, ასევე, შეკრების (მანიფესტაციის) ადგილს, შინაარსსა თუ ფორმას, შეიძლება თანაბრად მიემართებოდეს კონსტიტუციის მე-17 და 21-ე მუხლებს.
- ამავდროულად, სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულ შეკრების (მანიფესტაციის) უფლებას ავტონომიური შინაარსიც აქვს და მისი შეზღუდვა ყველა შემთხვევაში არ იწვევს გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას.

#### **2.2.2.10 სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება**

„ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული უფლება („ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის დროულად და სამარ-

<sup>166</sup> იქვე, II-6.

თლიანად განხილვა“) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ქმნის კონსტიტუციურ უფლებათა ან/და კანონიერ ინტერესთა დაცვის პროცესუალურ გარანტიას.<sup>167</sup> სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ამ ნორმით დაცული უფლება იზღუდება, როდესაც არსებობს დასაცავი კონსტიტუციური უფლება ან/და კანონიერი ინტერესი და სადავო ნორმა ზღუდავს მისი დაცვის საპროცესო მექანიზმით ეფექტიანად სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებასთან შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის განხილვის რომელიმე პროცედურულ გარანტიას.<sup>168</sup>

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>169</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა ნორმას,<sup>170</sup> რომლის თანახმადაც, ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ვიდეო/ფოტო ფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, ჯარიმის გადახდა ეკისრებოდა პირს, რომელზეც რეგისტრირებული იყო სატრანსპორტო საშუალება. ამდენად, სადავო ნორმა განსაზღვრავდა სუბიექტს, რომელსაც, ამავე ნორმით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, ეკისრებოდა ჯარიმის გადახდა სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული ცალკეული სამართალდარღვევებისათვის. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს პასუხისმგებლობას აკისრებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში მისი ფაქტობრივი მონაწილეობისა და ბრალეულობის გარეშე.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „სადავო ნორმა არეგულირებს არა ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პროცესუალურ საკითხებს, არამედ განსაზღვრავს, ვის უნდა დაეკისროს ჯარიმის გადახდა კონკრეტული სამართალდარღვევის

<sup>167</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის №2/2/630 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>168</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/6/1450 განჩინება საქმეზე „დავით ძამუკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>169</sup> იხ. №1403 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>170</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 290<sup>1</sup>, ნაწილი პირველი, ქვეპუნქტი „ა“.

ფაქტის არსებობის გამო. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის სამართლიანად განხილვის მოთხოვნა შესაძლოა რელევანტური იყოს მაშინ, როდესაც არასწორად ხდება საქმეში არსებული ფაქტობრივი მონაცემების შეფარდება და ადმინისტრაციული აქტის მიღება, და არა იმ შემთხვევაში, როდესაც პრობლემურია თავად კანონი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული აქტის მიღების ფაქტობრივ საფუძვლებს, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის-თვის ჯარიმის გადახდაზე ვალდებულ სუბიექტს<sup>171</sup>. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნა დასახელებულ ნაწილში არ მიიღო არსებითად განსახილველად.

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლება იზღუდება, როდესაც არსებობს დასაცავი კონსტიტუციური უფლება ან/და კანონიერი ინტერესი და სადავო ნორმა ზღუდავს მისი დაცვის საპროცესო მექანიზმით ეფექტიანად სარგებლობის შესაძლებლობას. შესაბამისად, დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებასთან შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა ზღუდავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის განხილვის რომელიმე პროცედურულ გარანტიას.

**2.2.2.11 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ინფორმაციული თვითგამორკვევისა უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა**

„ყველას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების

<sup>171</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის №2/15/1403 განჩინება საქმეზე „სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი).

„ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ინფორმირებული მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, გააკონტროლოს სახელმწიფოს საქმიანობა და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს მართვასა თუ საქმიანობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრამდე მოქმედი პრაქტიკის თანახმად, ამ დებულებით დაცული სფეროდან გამოირიცხებოდა წვდომა საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე, რომელიც მითითებულია ამავე მუხლის მე-3 პუნქტში („ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან“). თუმცა, სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილებით, დადგინდა, რომ კონსტიტუციის დებულება, რომლის თანახმადაც მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა გახდეს ინფორმაცია პირის კერძო საკითხებზე, „არ მოითხოვს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებსა ან სხვა კერძო საკითხებთან, სრულად დახურული იყოს. პირიქით, ამავე კონსტიტუციურ დებულებაში მითითებულია ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე – კანონით დადგენილ შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია „სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნ-

ველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“. შესაბამისად, შესაძლებელია, ეს უფლება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავადაც შეიზღუდოს“.<sup>172</sup>

ამდენად, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია პირის უფლება, მიიღოს ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია, მათ შორის, სხვა პირის ჯანმრთელობაზე, ფინანსებსა ან სხვა კერძო საკითხებზეც. ამ უფლებისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული უფლების კონკურენცია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.<sup>173</sup>

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს არა პირის მიერ მასზე ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოდან გამოთხოვის საკითხებს, არამედ სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაციის მესამე პირთაგან დაცვის გარანტიებს. შესაბამისად, თუ პირი ასაჩივრებს გარემოებას, რომ არ აქვს წვდომა უშუალოდ მასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, ამგვარი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა უნდა მოითხოვოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 (და არა მე-3) პუნქტთან მიმართებით.<sup>174</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია პირის უფლება, მიიღოს ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული ინფორმაცია, მათ შორის, სხვა პირის ჯანმრთელობაზე, ფინანსებსა ან სხვა კერძო საკითხებზეც. ამ უფლებისა და საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული

<sup>172</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)პ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>173</sup> *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)პ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>174</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის №1/25/757 საოქმო ჩანაწერი საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიცივილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

უფლების კონკურენცია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.

- კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს არა პირის მიერ მასზე ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოდან გამოთხოვის საკითხებს (რაც დაცულია ამავე მუხლის მე-2 პუნქტით), არამედ სახელმწიფო ორგანოში არსებული ინფორმაციის მესამე პირთაგან დაცვის გარანტიებს.

### 2.2.2.12 საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებისა და მეწარმეობის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა

„საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი).

„მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება).

საქართველოს კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებასა და მეწარმეობის თავისუფლებას შორის ურთიერთკავშირი, ერთ-ერთი მათგანის შეზღუდვის ეფექტის მეორეზე გავრცელება, მოსარჩელეთათვის ხშირად ართულებს ამ ორი უფლებით დაცულ სფეროთა გამიჯვნას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-19 მუხლი „იცავს, მათ შორის, მეწარმის საკუთრების უფლებას. შესაბამისად, მეწარმისთვის გარკვეული ფინანსური ვალდებულებების დადგენა, როგორც წესი, იწვევს საკუთრების და არა თავისუფალი მეწარმეობის უფლების შეზღუდვას“.<sup>175</sup> რაც შეეხება კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტს, მისი დანიშნულება არ არის მეწარმე სუბიექტთა საკუთრების უფლების დაცვა, რამდენადაც, მეწარმის საკუთრების უფლებას იცავს

<sup>175</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/6/877 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს „ალტა“, შპს „ოქეი“, შპს „ზუმერი ჯორჯია“, შპს „ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და შპს „სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი.<sup>176</sup> მეწარმეობის თავისუფლების შეზღუდვის წარმოსაჩენად, უნდა გამოიკვეთოს, რომ სადავო ნორმა ზღუდავს მე-19 მუხლით დაცული სფეროს მიღმა არსებულ ურთიერთობებს და ამ ფორმით არღვევს თავისუფალ მეწარმეობას.<sup>177</sup> ამავდროულად, სასამართლოს მიდგომით, ქონების გასხვისების შეზღუდვა, ისევე, როგორც ფინანსური ვალდებულებების დადგენა, უკავშირდება საკუთრების უფლებას, სამეწარმეო თავისუფლებას კი მიემართება იმგვარი შეზღუდვა, რომელიც სცდება მეწარმის საკუთრების რეგულირებას და უპირატესად გავლენას ახდენს წარმოების პროცესზე.<sup>178</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მეწარმეთა საკუთრების უფლებით სარგებლობის შეზღუდვამ შეიძლება პირდაპირი გავლენა მოახდინოს სამეწარმეო საქმიანობაზე. იმისათვის, რომ, საკუთრებით თავისუფალ სარგებლობასა ან/და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, დადგინდეს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტში ჩარევა, საჭიროა, წარმოჩინდეს რა გავლენას ახდენს საკუთრების უფლების შეზღუდვის ფაქტი მეწარმეობის თავისუფლებაზე (მაგ.: კონკურენტულ გარემოზე და ა.შ).<sup>179</sup>

მაგალითისთვის, საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთრების (და არა მეწარმეობის) უფლების შეზღუდვად მიიჩნია ნორმები, რომელთა შესაბამისად, მთავრობას მიენიჭა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების საფასურის განსაზღვრის უფლება და ამ უფლებამოსილების ფარგლებში მთავრობის მიერ განისაზღვრა ხსენებული მომსახურების კონკრეტული ფიქსირებული საფასურები. სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს მიერ ამა თუ

<sup>176</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 ივნისის №1/6/1580 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მპს კონსტრაქშენ სოლუმენს“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>177</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს ჰარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>178</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, მპს „კასტელ ჯორჯია“ და სს „წყალი მარგებელი“ საქართველოს ჰარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-79,80.

<sup>179</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 დეკემბრის №2/7/667 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ტელენეტი“ საქართველოს ჰარლამენტის წინააღმდეგ“, II-65.

იმ მომსახურებისთვის საფასურის განსაზღვრა ზღუდავს ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ნების გამოვლენის თავისუფლებას, ასევე, შესაძლებლობას, შეთანხმდნენ დადგენილისგან განსხვავებულ ფასზე, რაც დაცულია საკუთრების უფლებით (და არა მეწარმეობის თავისუფლებით).<sup>180</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- მეწარმისთვის გარკვეული ფინანსური ვალდებულებების დადგენა, როგორც წესი, ზღუდავს საკუთრების (და არა თავისუფალი მეწარმეობის) უფლებას. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის დანიშნულება არ არის მეწარმე სუბიექტთა საკუთრების უფლების დაცვა. ამ დებულების შეზღუდვის წარმოსაჩენად, უნდა გამოიკვეთოს, რომ სადავო ნორმა ზღუდავს კონსტიტუციის მე-19 მუხლით დაცული სფეროს მიღმა არსებულ ურთიერთობებს, გავლენას ახდენს სამეწარმეო თავისუფლების განხორციელებაზე და ამ ფორმით არღვევს თავისუფალ მეწარმეობას.

### **2.2.2.13 საკუთრების უფლების შეზღუდვისა და ჩამორთმევის გამიჯვნა**

„საჯარო ინტერესებისთვის დასაშვებია ამ უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი).

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურებით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3).

<sup>180</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ნოემბრის №1/10/1437 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს „ეპიცენტრი“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების უფლებით სარგებლობის, საკუთრების შექენისა და განკარგვის წესს და ამ ფორმით ადგენს საკუთრების უფლების შინაარსსა და ფარგლებს, ექცევა კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების რეგულირების სფეროში. რაც შეეხება ამავე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საკუთრების ჩამორთმევის ინსტიტუტს, მას მკვეთრად გამოსატული ფორმალური ნიშნები აქვს. ამ ცნებაში ვერ თავსდება ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც გულისხმობს პირის მიერ საკუთრების დაკარგვას, მისი ნების საწინააღმდეგოდ. საკუთრების ჩამორთმევაში იგულისხმება ექსპროპრიაცია.<sup>181</sup> ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკუთრების ექსპროპრიაცია სახეზეა მაშინ, როდესაც ხდება კერძო საკუთრებაში არსებული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადასვლა, როდესაც სადავო ნორმების მიზანი საკუთრების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის შემთხვევების განსაზღვრაა და არა საკუთრების უფლებით თავისუფალი სარგებლობის შეზღუდვა, მისი რეგულირება“.<sup>182</sup>

ამდენად, კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ჩამორთმევა ხორციელდება უფლებამოსილი სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების) მიერ საჯარო ამოცანების შესასრულებლად. ამ ნორმით განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება საკუთრების ქონებრივ კომპონენტს. ჩამორთმევის ურთიერთობისათვის სახელმწიფო არა მხოლოდ ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, არამედ პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობს კონკრეტულ პროცესში.<sup>183</sup>

<sup>181</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის №2/1-370,382,390,402,405 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ზაურ ელაშვილი, სულიკო მაშია, რუსუდან გოგია და სხვები და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-10; ასევე, 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიაშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>182</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის №1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>183</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის პირველი აპრილის

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან საკუთრების უფლება დაცულია კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით, სადავო ნორმის ამ მუხლთან მიმართებით შესაფასებლად ყოველთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მოსარჩელე კონკრეტულად მიუთითებს თუ არა ამავე მუხლის მე-2 ან/და მე-3 პუნქტებზე, როგორც საკუთრების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის/საკუთრების ჩამორთმევის საფუძვლებზე. თუ მოსარჩელის მიერ მოყვანილი არგუმენტაცია საკმარისია და სასამართლოსთვის ცხადს ხდის მის საკუთრების უფლებაში სადავო ნორმით ჩარევას შეზღუდვის ან ჩამორთმევის გზით, მე-19 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებზე ფორმალურად მითითების არარსებობა არ ქმნის დაბრკოლებას, რომ სასამართლომ იმსჯელოს სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე საკუთრების უფლების ძირითადი არსის მარეგლამენტირებელ კონსტიტუციის 19 (1) მუხლთან მიმართებით.<sup>184</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საკუთრების უფლების ჩამორთმევა სახეზეა, როდესაც ეს პროცესი ხორციელდება საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების) მიერ საჯარო ამოცანების შესასრულებლად. ამდენად, ექსპროპრიაციისას (ჩამორთმევისას) სახელმწიფო არა მხოლოდ ადგენს სამართლებრივ რეჟიმს, არამედ თავადაც მონაწილეობს პროცესში.

#### **2.2.2.14 საკუთრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებათა დაცული სფეროების გამიჯვნა**

„საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი).

---

№2/155 გადაწყვეტილება საქმეზე „აკაი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>184</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №3/1/543 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მზს „მეტალინვესტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“ (*საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი*).

პრაქტიკაში ხშირია კონსტიტუციის მე-19 მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლებისა და 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლებათა აღრევა მოსარჩელეთა მხრიდან. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ „სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის უშუალო შედეგი შეიძლება იყოს საკუთრების, თავისუფლების, თანასწორობისა და ნებისმიერი სხვა უფლების დარღვევა. თუმცა, ეს თავისთავად არ ნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების მარეგლამენტირებელი ნორმები, კონსტიტუციურობის თვალსაზრისით, იმავდროულად, შეფასებადია ყველა იმ უფლებასთან, რომელთა დასაცავადაც პირი სასამართლოსადმი მიმართვის საჭიროების წინაშე დგება“.<sup>185</sup> სწორედ სამართლიანი სასამართლოს უფლების რეგულირების სფეროა სათანადო საპროცესო კანონმდებლობის შექმნა პირის საკუთრების უფლების დასაცავად. შესაბამისად, თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ არასათანადო საპროცესო ნორმები მას საკუთრების დაცვის საშუალებას არ აძლევს, მათი კონსტიტუციურობის შემოწმება უნდა მოითხოვოს სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით.<sup>186</sup>

<sup>185</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 აგვისტოს №2/6/765 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-11; და 2013 წლის 10 აპრილის №3/2/531 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>186</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 26 თებერვლის №3/2/1520 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „თბილისის საქალაქო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>63</sup>, 21<sup>64</sup>, 21<sup>65</sup> მუხლებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 246-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პირის გადასახადის გადამხდელის ცრუმბეჭერი პირადი ადარების შესახებ საკითხის შუამდგომლობის სახით განხილვას“, II-4; 2016 წლის 23 აგვისტოს №2/6/765 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე“.

ამდენად, საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების უფლებით სარგებლობის, საკუთრების შექმნისა და განკარგვის წესს და ამ ფორმით ადგენს საკუთრების უფლების შინაარსსა და ფარგლებს, ექვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების სფეროში,<sup>187</sup> ხოლო სასამართლოს მეშვეობით საკუთრების უფლების დაცვის პროცედურა და საპროცესო წესრიგი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოწესრიგების სფეროა.<sup>188</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, არა საკუთრების, არამედ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით უნდა შეფასდეს საკითხები, როგორცაა: პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანი გასაჩივრების შეუძლებლა; სათანადო წესით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება;<sup>189</sup> საქმისწარმოების განახლებაზე განცხადების განხილვის პროცედურული წესი<sup>190</sup> და სხვა.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საკუთრების უფლებით სარგებლობის, ასევე, საკუთრების შექმნისა და განკარგვის წესს და ამ ფორმით ადგენს საკუთრების უფლების შინაარსსა და ფარგლებს, ექვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების სფეროში, ხოლო სასამარ-

---

*საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-11; 2013 წლის 27 თებერვლის №12/541 განჩინება საქმეზე „მაია ხელაძევილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8-10.

<sup>187</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №2/2/745 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს „ჯორჯიან მანგანუმი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>188</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის №2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>189</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის №2/2/1448 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზაზა პატარიძე, ნიკოლოზ ბერიძევილი, შალვა ონიანი და ვახტანგ კობეშვიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10; ასევე, 2021 წლის 22 აპრილის №2/4/1401 განჩინება საქმეზე „რეზი მარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>190</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 აგვისტოს №2/6/765 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

თლოს მეშვეობით საკუთრების უფლების დაცვის პროცედურა და საპროცესო წესრიგი საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოწესრიგების სფეროა.

### 2.2.2.15 გაერთიანების თავისუფლება

*„გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი).*

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, გაერთიანების ნეგატიური თავისუფლება იცავს პირებს მათი ნების საწინააღმდეგოდ რომელიმე გაერთიანების სავალდებულო წევრობისგან. ამასთანავე, კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტში მოიზრებიან მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი მახასიათებელია გაერთიანების ნებაყოფლობითობა. აღნიშნული უფლება არ მოიცავს საჯარო სამართლებრივ გაერთიანებას, რომელიც ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს.<sup>191</sup>

ამ არგუმენტაციით, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთი საქმე,<sup>192</sup> რომელშიც სადავო ნორმა მოსარჩელეს სავალდებულოდ უდგენდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობას საადვოკატო საქმიანობის განსახორციელებლად, არ მიიღო არსებითად განსახილველად კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით. სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია არ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს და არ ეფუძნება გაერთიანების ნებაყოფლობით ასპექტს. ამდენად, მოსარჩელის უფლება, სავალდებულო წესით არ გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში, დაცული არ არის საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით და, ამ თვალსაზრისით, არ არსებობს შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციურ დებულებას შორის“.<sup>193</sup>

<sup>191</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის №1/5/323 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ვაჭარაძე, არტურ კახაროვი, ლევან ჩხეიძე, გიორგი ბერიძვილი, შორენა ოსკოპული და ნინო არჩვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>192</sup> იხ. №1424 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>193</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის №1/13/1424

გარდა ამისა, ნებისმიერი გაერთიანება, ისევე, როგორც ამ გაერთიანების დაფუძნების, მისი საქმიანობის ორგანიზებისა და თავისუფლად განხორციელების უფლება, არ ექცევა საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნულ კონსტიტუციურ დებულებაში არსებული ტერმინი „გაერთიანება“ გამოიყენება არაპოლიტიკური მიზნით შექმნილ გაერთიანებათა აღსანიშნავად.<sup>194</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის პირველ პუნქტში მოიაზრებიან მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა უმთავრესი მახასიათებელია გაერთიანების ნებაყოფლობითობა. აღნიშნული უფლება არ მოიცავს საჯაროსამართლებრივ გაერთიანებას, რომელიც ემყარება სავალდებულო წევრობის პრინციპს.

### **2.2.2.16 საჯარო თანამდებობის დაკავებისა და პასიური საარჩევნო უფლებების დაცული სფეროების გამიჯვნა**

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა“ (საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი).

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“ (საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი).

---

საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლამა ჯანიბეგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

<sup>194</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის №2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 24-ე და 25-ე მუხლები ურთიერთდაკავშირებული დებულებებია, რომლებიც ადგენს მოქალაქეთა ძირითად უფლებას, მონაწილეობდნენ სახელმწიფო მმართველობის პროცესში. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკაში დასახელებული ორი უფლება ერთმანეთისაგან გამიჯნა.

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს იმ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რომლის ჩატარების საფუძვლები და გამართვის აუცილებლობა დადგენილია თავად კონსტიტუციით. სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონმდებელი ამა თუ იმ თანამდებობის დაკავებას დაადგენს არჩევნების გზით, ეს არ აქცევს ამგვარ არჩევნებს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცულ სფეროში. აღნიშნული სფეროს ხელოვნური გაფართოებით და მასში კონსტიტუციის მოთხოვნათა მიღმა დადგენილი არჩევნების მოქცევით, ხსენებული დაცული სფეროს მნიშვნელოვანი ნაწილი დამოკიდებული გახდებოდა მიმდინარე კანონმდებლობაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით დაცული სფეროს ფარგლები უნდა განისაზღვროს არჩევნების კონსტიტუციური ბუნების გათვალისწინებით, და არა კანონმდებლის მიერ თავისუფალი მიხედულების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებით. შესაბამისად, ამ მუხლით დაცული სფერო, პასიური საარჩევნო უფლების კონტექსტში, მიემართება მხოლოდ იმ თანამდებობებს, რომლებიც, კონსტიტუციის მიხედვით, არჩევითია. თვალსაჩინოებისთვის, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს სახელმწიფო თანამდებობის პირებისა (პარლამენტის წევრი, საქართველოს პრეზიდენტი) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო) პირდაპირ არჩევნებს. კონსტიტუცია არ მიუთითებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოთა არჩევაზე.<sup>195</sup> შესაბამისად, კანონმდებლის ინიციატივით დადგენილი სხვა ნებისმიერი ორგანოს არჩევნების წესი და მასში მონაწილეობა არ ფასდება საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლთან მიმართებით.

<sup>195</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2-16.

ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი – მერი/გამგებელი წარმოადგენდა სახელმწიფო თანამდებობას, რომლის არჩევნების გზით დაკავების უფლება არ იყო დაცული კონსტიტუციის 24-ე მუხლით. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი ირჩევდა დასახელებული თანამდებობის დაკავების საარჩევნო გზას, საამისოდ დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლების ფარგლებში.<sup>196</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს იმ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რომლის ჩატარების საფუძვლებიც და გამართვის აუცილებლობაც დადგენილია თავად კონსტიტუციით. კერძოდ, კონსტიტუცია ითვალისწინებს სახელმწიფო თანამდებობის პირებისა (პარლამენტის წევრი, საქართველოს პრეზიდენტი) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო) პირდაპირ არჩევნებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა საჯარო თანამდებობის დაკავებისთვის კანონმდებელი საარჩევნო გზას აირჩევს, საამისოდ დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცული უფლების ფარგლებში.

<sup>196</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

### 2.2.2.17 საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებისა და უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელების, თანამდებობიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისგან დაცვის უფლებათა გამიჯვნა

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“ (საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი ადგენს ყოველი მოქალაქის უფლებას, ჰქონდეს წვდომა საჯარო თანამდებობაზე. დასახელებული კონსტიტუციური დებულება „სახელმწიფოს ავალდებულებს, დაადგინოს სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობის გონივრული პირობები და გაუმართლებლად არ შეზღუდოს მოქალაქის უფლება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართვაში და განახორციელოს საჯარო მნიშვნელობის ფუნქცია“.<sup>197</sup> კონსტიტუციის ამ დანაწესის შინაარსი არ ამოიწურება მხოლოდ საჯარო სამსახურის დაკავების უფლებით: იგი ბევრად ფართოა და ადგენს, ერთი მხრივ, საჯარო სამსახურის განხორციელების კონსტიტუციურ საფუძვლებს, ხოლო მეორე მხრივ, ამ თანამდებობრივი უფლებამოსილების შეუფერხებლად განხორციელებისა და თანამდებობიდან უსაფუძვლო გათავისუფლებისაგან დაცვის გარანტიებს.<sup>198</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას იცავს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, ხოლო სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის უფლებას – ამავე ნორმის მე-2 წინადადება. ეს უკანასკნელი მოიცავს სახელმწიფო სამსახურში შეუფერხებელი საქმიანობის სხვადასხვა უფლებრივ კომპონენტსაც, მათ

<sup>197</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

<sup>198</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას.<sup>199</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას იცავს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, ხოლო სახელმწიფო სამსახურში საქმიანობის უფლებას (მათ შორის, სამსახურიდან დაუსაბუთებელი გათავისუფლებისგან დაცვის გარანტიას) – ამავე ნორმის მე-2 წინადადება.

### **2.2.2.18 საჯარო თანამდებობის დაკავებისა და შრომის თავისუფლების დაცულ სფეროთა გამიჯვნა**

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება, დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“ (საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი).

„შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით“ (საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს შრომის უფლებას; რაც შეეხება 25-ე მუხლის პირველი პუნქტს, იგი იცავს საქართველოს ყოველ მოქალაქის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დასახელებული უფლება სახელმწიფო სამსახურში შრომით

<sup>199</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კუვლიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

საქმიანობასთან დაკავშირებით ქმნის კონსტიტუციურ გარანტიებს. ამდენად, კონსტიტუცია შრომითი ურთიერთობების გარკვეული სეგმენტის მოწესრიგებას, კერძოდ, საქმიანობას სახელმწიფო დაწესებულებებში, უკავშირებს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ სფეროს, მიუხედავად იმისა, რომ, თავისი არსით, შრომითი საქმიანობაა.<sup>200</sup>

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შრომითი ურთიერთობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, კონსტიტუციის დებულებათა მიზანმიმართულების გათვალისწინებით ადგენს, რომელი მუხლის სფეროში ერევა შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა და მისგან მომდინარე შეზღუდვა – 25-ე მუხლის, თუ 26-ე მუხლის. ამ საკითხში გადამწყვეტია, არის თუ არა კონკრეტული პოზიცია „საჯარო თანამდებობა“, რადგან, როგორც აღინიშნა, მისი დაკავების გარანტიებს იცავს სწორედ კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ამავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საჯარო თანამდებობა“ კონსტიტუციური ტერმინია, რომელსაც აქვს ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობა, მისი ბუნებისა და კონსტიტუციურსამართლებრივი დატვირთვის გათვალისწინებით.<sup>201</sup> კონსტიტუციის 25-ე მუხლის მიზნებისთვის, საჯარო თანამდებობა გულისხმობს პროფესიულ საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, ასევე, სხვა საჯარო ფუნქციის განსახორციელებლად ჩამოყალიბებულ ინსტიტუციებში.<sup>202</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში<sup>203</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ სასამართლოს

<sup>200</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/9/556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ია უკმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>201</sup> იხ. *mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

<sup>202</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 11 აპრილის №1/2/569 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ეშვარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>203</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის №3/1/1272 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მანდატურის საქმიანობა (რომელიც სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ასრულებს პროფესიულ საქმიანობას – იცავს საზოგადოებრივ წესრიგს) შეაფასა საჯარო თანამდებობად და მისი დაკავება-განხორციელების კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისობა შეამოწმა კონსტიტუციის 25-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს შრომის უფლებას, ხოლო 25-ე მუხლი ქმნის კონსტიტუციურ გარანტიებს სახელმწიფო სამსახურში შრომით საქმიანობასთან დაკავშირებით.
- საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით დაცულ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებას ავტონომიური მნიშვნელობა აქვს. საქმიანობის საჯარო თანამდებობად მიჩნევისთვის, გადამწყვეტია მისი ბუნება და კონსტიტუციურსამართლებრივი დატვირთვა.

### **2.2.2.19 სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი დახასიათება**

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი).

#### **ა. უფლების ინსტრუმენტული ბუნება**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არაერთხელ აღინიშნა, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას აქვს ინსტრუმენტული ბუნება: აღნიშნული უფლების რეალიზებითა და სათანადო საპროცესო მექანიზმებით, პირები იცავენ ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. მარტივად, სამართლიანი სასამართლოს უფლება სხვა უფლებათა დაცვის ინსტრუმენტია. შესაბამისად, ამ მექანიზმით სარგებლობა უპირობოდ მოითხოვს კონკრეტული უფლების არსებობას,

რომლის სასამართლო წესით დაცვაც სურს მოსარჩელეს.<sup>204</sup> სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის წარმოსაჩენად, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ მას აქვს უფლება/კანონიერი ინტერესი, რომლის დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვაც უზღუდება სადავო ნორმით.<sup>205</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიანობა არ გულისხმობს სასამართლოს შესაძლებლობას, შექმნას ან გააფართოოს მატერიალური უფლების ფარგლები: ის მხოლოდ უკვე არსებული უფლების ეფექტიანი დაცვის შესაძლებლობაზე მიუთითებს.<sup>206</sup> მისი მითითებით, „თუ სადავო ნორმა მიმართულია თავად მატერიალური უფლებისა თუ კანონიერი ინტერესის შეზღუდვის ან/და გაუქმებისაკენ, მაშინ სახეზეა არა უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმების შეზღუდვა, არამედ თავად ამ უფლების მატერიალური შინაარსის რეგულირება“.<sup>207</sup> მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით, მოსარჩელე ითხოვდა, სასამართლოს მისცემოდა შესაძლებლობა, ახალი, შემამსუბუქებელი კანონის მიღების შემთხვევაში, შეემსუბუქებინა დანიშნული სასჯელი, მაშინაც კი, თუ ის ახალი კანონით გათვალისწინებული სანქციის მაქსიმალური ზღვრის ფარგლებში ექცეოდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ შემამსუბუქებელი კანონის მიღების შემთხვევაში მოსამართლის მიერ დანიშნული სასჯელის შემსუბუქება წარმოადგენდა თავად უფლებას, და არა რაიმე უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმს. ამ თვალსაზრისით, მოსარჩელის პოზიცია, თავისი შინაარსით, დამოუკიდებელი მატერიალური უფლების მინიჭების მოთხოვნას

<sup>204</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 15 ივნისის №2/11/716 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სანიკიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>205</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/10/698 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „ივერია. ბიზ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>206</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 3 აპრილის №2/2/630 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თინა ბეჟიტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>207</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 15 ივნისის №2/11/716 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სანიკიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

უტოლდებოდა; შესაბამისად, ეს მოთხოვნა უნდა შეფასებულიყო არა სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით, არამედ კონსტიტუციის იმ დებულებათა კონტექსტში, რომლებიც განსაზღვრავდა მატერიალური უფლებების შინაარსს.<sup>208</sup>

### დასკვნები/რეკომენდაციები:

- საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვა სახეზეა, როდესაც სადავო ნორმა ზღუდავს სასამართლოს გზით/უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმით ეფექტიანი სარგებლობის შესაძლებლობას. დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებასთან შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა აბრკოლებს პირის შესაძლებლობას, სასამართლოს მიმართოს საკუთარი უფლებების დასაცავად, ან ზღუდავს სასამართლოს მიერ საქმის განხილვის რომელიმე პროცედურულ გარანტიას.

### ბ. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების პირდაპირი მოქმედება

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოსარჩელები ხშირად მიუთითებენ, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ამა თუ იმ საკითხის საერთო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. შესაბამისად, მათ ერღვევათ სასამართლოსთვის მიმართვის კონსტიტუციური უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „კონსტიტუცია არა მხოლოდ აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ განსაზღვრავს მათ შინაარსსა და მოცულობას. შესაბამისად, კონსტიტუციური უფლება არსებობს კანონის მიერ მისი აღიარების, დეკლარირების გარეშეც. ის არსებობსა და მოქმედებს განაგრძობს მაშინაც, როდესაც კანონმდებლობით ამ უფლების რეალიზაციის საფუძვლები არ არის განსაზღვრული. კონსტიტუციური უფლების

<sup>208</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის №1/4/1350 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ლევან ბარამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-35.

შეზღუდვასთან მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება საქმე, როდესაც ამის შესაძლებლობას მოქმედი საკანონმდებლო აქტი ითვალისწინებს“.<sup>209</sup>

ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არსებობს სწორედ კონსტიტუციით დამკვიდრებულ ინსტიტუციურ სისტემაში. კერძოდ, უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსტრაქტული და მოიაზრებს უფლების დაცვას კონსტიტუციის ინსტიტუციური სისტემით განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით“.<sup>210</sup>

შესაბამისად, თუნდაც კანონმდებლობით პირდაპირ არ იყოს გაწერილი კონკრეტული საკითხის სასამართლოში გასაჩივრების უფლება, პირს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს, თუ ამის შეზღუდველი ნორმა არ არსებობს. საერთო სასამართლოთა ზოგადი კომპეტენციაა, განახორციელონ მართლმსაჯულება და მათი განსჯადი საქმეების ფარგლებში გადაწყვიტონ კანონიერების საკითხები, მათ შორის, შეაფასონ სახელმწიფო მოხელეთა და ორგანოთა ქმედებების კანონიერება.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირის უფლება, მოითხოვოს სახელმწიფო მოხელეთა უფლებაშემზღუდველი აქტების კანონიერების შემოწმება სასამართლოს მიერ, დაცულია კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით. აღნიშნული უფლების შინაარსი და ფარგლები განსაზღვრულია კონსტიტუციითვე და ამ მექანიზმით სარგებლობა შესაძლებელია მაშინაც, როცა გასაჩივრების შესაძლებლობა არ არის დადასტურებული საკანონმდებლო აქტით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირის მიერ სასამართლოსთვის სარჩელით/საჩივრით მიმართვისას, საერთო სასამართლო

<sup>209</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანიას საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>210</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბუჯაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე მახარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიმაძე, ანი ღოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბუჯაშვილი, გიორგი დვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-68.

ვალდებულია, განიხილოს იგი, ან განუმარტოს მოსარჩელეს საჩივრის/სარჩელის განხილვაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. თუ საერთო სასამართლო კონკრეტული საფუძველით განსახილველად არ მიიღებს საქმეს, მოსარჩელის არგუმენტაცია, რომელიც მიემართება აღნიშნული საფუძველის შემზღუდველ ნორმად მიჩნევას, დასაბუთებულად ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.<sup>211</sup>

შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით დაცულ უფლებასთან შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს იმ უფლებაშემზღუდველ ნორმატიულ აქტზე, რომელიც ართმევს შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს მის მიმართ გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების კანონიერების შესამოწმებლად. ამგვარი ნორმატიული აქტის არარსებობის პირობებში, პირს შეუძლია, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.<sup>212</sup>

№1444 კონსტიტუციური სარჩელში მოსარჩელე ასაჩივრებდა ნორმებს, რომლებიც ადგენდა შესაძლებლობას, რომ გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით ბრალდებულისთვის შეზღუდათ ხანმოკლე პაემნის უფლება<sup>213</sup>, გამომძიებლის ან პროკურორის მოტივირებული გადაწყვეტილებით კი – მიმოწერის ან/და სატელეფონო საუბრის უფლება.<sup>214</sup> მოსარჩელის არგუმენტაციით, არ არსებობდა ამ უფლებათა შეზღუდვაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტაცია და მიუთითა, რომ სადავო ნორმები არ კრძალავდა სასამართლოსთვის მიმართვას და ამ გზით პირის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შემოწმებას. მოსარჩელე მხარის

<sup>211</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/13/1468 განჩინება საქმეზე „მადონა ძიძიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8,9.

<sup>212</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

<sup>213</sup> პატიმრობის კოდექსის 77-ე მუხლი, პირველი ნაწილის მე-2 წინადადება.

<sup>214</sup> პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლი, მე-2 ნაწილი.

მიერ მითითებული ნორმები განსაზღვრავდა უშუალოდ გადაწყვეტილებათა მიღების წესსა და საფუძვლებს და არ აწესრიგებდა მათი გასაჩივრების საკითხებს. ამასთან, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულება, რომ საერთო სასამართლოებმა, სადავო ნორმის საფუძველზე, უარი განუცხადეს მის მიმართ პროკურორის მიერ გამოცემული აქტების კანონიერების შემოწმებაზე. შესაბამისად, სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მსჯელობა, რომ სადავო ნორმებით იზღუდებოდა ბრალდებულის უფლება, გაესაჩივრებინა გამომძიებლის/პროკურორის გადაწყვეტილება და, ამ თვალსაზრისით, არსებობდა შინაარსობრივი მიმართება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.<sup>215</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ მოსარჩელე მხარე საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის დასაბუთებლად მიუთითებს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების არარსებობაზე, მან უნდა გაასაჩივროს ნორმა, რომელიც ართმევს შესაძლებლობას, რომ მიმართოს სასამართლოს მის მიმართ გამოყენებული შემზღუდველი ღონისძიების კანონიერების შესამოწმებლად. ამგვარი ნორმატიული აქტის არარსებობის პირობებში, პირს შეუძლია, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

### **2.2.2.20 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლების გამიჯვნა ამავე მუხლის სხვა დებულებებისგან**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი მიზნად ისახავს პირის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარ-

<sup>215</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/3/1444 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნიკოლოზ აკოფოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2-11.

გებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „იქიდან გამომდინარე, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში აერთიანებს პირის მრავალ საპროცესო შესაძლებლობასა თუ გარანტიას, მისი შემადგენელი უფლებრივი კომპონენტები შესაძლოა დაცული იყოს დასახელებული მუხლის სხვადასხვა პუნქტში. სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. რომელიმე უფლებრივი ასპექტით სარგებლობის შეზღუდვა შესაძლოა ერთდროულად იწვევდეს დასახელებული მუხლის სხვადასხვა პუნქტის დარღვევას და, ამასთანავე, განაპირობებდეს მთლიანად სასამართლო პროცესის უსამართლობას“.<sup>216</sup>

შესაბამისად, ხშირ შემთხვევაში, როგორც მკაფიო ზღვრის გავლება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტით დაცულ უფლებებს შორის. ამავე დროს, სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპლექსურობიდან და უფლებრივ კომპონენტთა სიმრავლიდან გამომდინარე, პრაქტიკულად შეუძლებელია მათი ამომწურავად ჩამოთვლა კონსტიტუციის რომელიმე მუხლში. აქედან გამომდინარე, 31-ე მუხლის პირველი პუნქტით ზოგადად არის რეგლამენტირებული დასახელებული უფლება; ის თავის თავში მოიაზრებს ყველა იმ კომპონენტს, რომლებიც არ არის დაცული ამავე მუხლის სხვა პუნქტებით, თუმცა სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია. ამასთანავე, რიგ შემთხვევებში, კონსტიტუციის 31-ე მუხლის ზოგიერთი პუნქტი ვიწროდ მიმართულად იცავს პირის ამა თუ იმ საპროცესო გარანტიას, რაც მიუთითებს კონსტიტუციის ნებაზე, რომ ხსენებული უფლებრივი კომპონენტის შინაარსი და ფარგლები სწორედ აღნიშნული პუნქტიდან გამომდინარე განისაზღვროს.<sup>217</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, ქვემოთ მიმოხილულია კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით მოაზრებული გარანტიები და ისინი გამიჯნულია ამავე მუხლის სხვა დებულებებით დაცული სფეროებისაგან.

<sup>216</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-68.

<sup>217</sup> იქვე, II-69.

ა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის გამიჯვნა ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით გარანტირებული დაცვის უფლებისაგან

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი).

„დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები, პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით“ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ერთმანეთისაგან გაიმიჯნა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით დაცული უფლებები. სასამართლოს განმარტებით, 31-ე მუხლის პირველი პუნქტით ზოგადად არის რეგლამენტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება; ის თავის თავში მოიაზრებს ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს, რომლებიც არ არის დაცული ამავე მუხლის სხვა პუნქტებით, თუმცა სამართლიანი სასამართლოს ნაწილია. ამგვარი უფლებრივი კომპონენტია მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომელიც სწორედ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ექცევა. აღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში<sup>218</sup> – სადაც მოსარჩელე აპელირებდა გარემოებაზე, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობით მოპოვებული მტკიცებულების პირველადი გამოკვლევა ბრალდების მხარის მიერ ნიშნავდა მისთვის უპირატესობის

<sup>218</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

მინიჭებას – სადავო ნორმა შეაფასა სწორედ დასახელებულ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით, შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპის დაცვის კონტექსტში.

რაც შეეხება დაცვის უფლებას, რომელიც გარანტირებულია 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით: მისი არსი გულისხმობს, რომ პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა ჰქონდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგზე ეფექტიანი ზეგავლენის შესაძლებლობა.<sup>219</sup> ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელის არგუმენტაცია, რომელიც მიემართებოდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვებას და შემდგომში საკუთარი პოზიციის გასამყარებლად გამოყენებას, შეფასდა სწორედ დაცვის უფლებასთან მიმართებით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას უნდა ჰქონდეს ამოღებისა და ჩხრეკის შესახებ სასამართლოსათვის შუამდგომლობით მიმართვის და ამ გზით მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობა; ამასთანავე, აღნიშნული საპროცესო უფლება უნდა იყოს ეფექტიანი და არ წარმოშობდეს რაიმე ბარიერებს უფლების რეალიზაციის პროცესში. მხარეს ეს უფლება უნდა ჰქონდეს იმისგან დამოუკიდებლად, ისარგებლებს თუ არა ბრალდების მხარე ანალოგიური უფლებით. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოსარჩელე დავობს, მხარეთა თანასწორობის პრინციპისაგან დამოუკიდებლად, მტკიცებულების მოპოვების უფლებაზე, რათა შეძლოს საკუთარი პოზიციის დასაბუთება.<sup>220</sup> სასამართლოს მითითებით, მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების შეზღუდვა, ან ამგვარი უფლებამოსილების არაეფექტიანობა, ისეთ პირობებში, როდესაც სადავო არ იყო უფლების შეზღუდვა მოწინააღმდეგე მხარესთან თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონტექსტში, უნდა შეფასებულიყო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით გარანტირებულ დაცვის უფლებასთან და არა ამავე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

<sup>219</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55.

<sup>220</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტოვო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

ამდენად, მართალია, მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში მხარეთა უფლებების თანასწორობა დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით, თუმცა მტკიცებულებათა მოპოვების უფლება (თანასწორობის ელემენტისგან განცალკევებით) მხარის პოზიციის დასასაბუთებლად გარანტირებულია კონსტიტუციის ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მეორე წინადადებებით.<sup>221</sup>

ამის მიუხედავად, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, დასახელებული უფლებრივი კომპონენტები ფარავდეს ერთმანეთს. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხდომაზე მხარის დასწრებისა და განხილვაში მონაწილეობის შეზღუდვა ჩაითვალა წესად, რომელიც ზღუდავს როგორც კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ისე ამავე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მეორე წინადადებებით განმტკიცებულ დაცვის უფლებას. სასამართლოს განმარტებით, 31-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტით დაცული უფლებრივი კომპონენტები, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, იმდენად მჭიდროდ უკავშირდებოდეს ერთმანეთს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტის შეზღუდვა ერთდროულად იწვევდეს რამდენიმე მათგანში ჩარევას. სასამართლოს მითითებით, „განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმა აწესრიგებს სასამართლო სხდომაზე მხარის დასწრებისა და განხილვის პროცესში მისი მონაწილეობის საკითხს. პირისთვის იმ პროცესში მონაწილეობის აკრძალვა, რომელზეც განიხილება მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და კეთდება სამართლებრივი შეფასებები, თანაბრად ზღუდავს როგორც პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ისე მის შესაძლებლობას, ეფექტიანად მოახდინოს საკუთარი უფლებებისა და ინტერესების რეალიზაცია, დაცვის უფლების განხორციელება“.<sup>222</sup> ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობა ერთნაირად იწვევდა ჩარევას როგორც სამართლიანი სასამართლოს, ისე დაცვის უფლებაში.

<sup>221</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>222</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

## დასკვნები/რეკომენდაციები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით ზოგადად არის რეგლამენტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება; ის მოიაზრებს ყველა იმ უფლებრივ კომპონენტს, რომლებიც არ არის დაცული ამავე მუხლის სხვა პუნქტებით, თუმცა სამართლიანი სასამართლოს ნაწილია. ამგვარი უფლებრივი კომპონენტია მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, რომელიც სწორედ კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სფეროში ექცევა.
- საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვების უფლების შეზღუდვა, ან ამგვარი უფლებამოსილების არაუფექტიანობა, ისეთ პირობებში, როდესაც სადავო არ არის უფლების შეზღუდვა მოწინააღმდეგე მხარესთან თანასწორობისა და შეჯიბრებითობის კონტექსტში, უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებებით გარანტირებულ დაცვის უფლებასთან და არა ამავე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.
- სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის სხვადასხვა პუნქტით დაცული უფლებრივი კომპონენტები, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, იმდენად მჭიდროდ უკავშირდებოდეს ერთმანეთს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების კონკრეტული ასპექტის შეზღუდვა ერთდროულად იწვევდეს რამდენიმე მათგანში ჩარევას.

ბ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით დაცულ სფეროთა გამიჯვნა

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“ (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი).

„ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ

ბრალდების მოწმეებს“ (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი იცავს ბრალდებულის უფლებას, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთ პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს. „იმისათვის, რომ ბრალდებულს შეეძლოს საკუთარი პოზიციის ეფექტიანად დაცვა, მოწინააღმდეგე მხარისათვის კონკურენციის გაწევა და პროცესის შედეგზე გავლენის მოხდენა, აუცილებელია, იგი უზრუნველყოფილი იყოს მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენის ადეკვატური პროცესუალური შესაძლებლობებით და დაცული იყოს მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსი. სისხლის სამართლის პროცესში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და, რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდეს. სწორედ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია ... ცალკე, სახელდებით გამოყოფს ბრალდებულის ბრალდების მხარესთან თანასწორობის უფლებას საკუთარ მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის კონტექსტში“.<sup>223</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური სტანდარტები, რომლებიც უკავშირდება დაცვის მხარის მიერ მოწმეთა გამოძახებასა და ბრალდების მხარის თანაბარ პირობებში დაკითხვას, დადგენილია კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 (და არა პირველი) პუნქტით. ამავე დროს, 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი არეგულირებს მხოლოდ დაცვის მხარის მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას. შესაბამისად, ბრალდების მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა არ ექვევა ხსენებული ნორმით დაცულ სფეროში.<sup>224</sup> ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში<sup>225</sup> გამოძიების ეტაპზე დაცვის მხარის მიერ ბრალდების მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობის არქონა შეაფასა კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით

<sup>223</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/13/1234,1235 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-72.

<sup>224</sup> იქვე, II-73.

<sup>225</sup> იქვე.

(თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპთან შესაბამისობის კონტექსტში), ხოლო ამავე ეტაპზე დაცვის მხარის მოწმის გამოძახებისა და დაკითხვის საკითხი – საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტთან კავშირში.

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური სტანდარტები, რომლებიც უკავშირდება დაცვის მხარის მიერ მოწმეთა გამოძახებასა და ბრალდების მხარის თანაბარ პირობებში დაკითხვას, დადგენილია კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 და არა პირველი პუნქტით. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი არეგულირებს მხოლოდ დაცვის მხარის მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას. ბრალდების მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა არ ექცევა ხსენებული ნორმით დაცულ სფეროში და აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

**2.2.2.21 განსჯადი სასამართლოს მიერ საქმის განხილვის უფლება**

„ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“ (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულება „იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს – სასამართლო განხილვა მოხდეს განსჯადობის წესების დაცვით... ამ [სამართლიანი სასამართლოს] უფლებით სარგებლობისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოება განხორციელდეს განსჯადობის წესების დაცვით, საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს იმ სასამართლომ, რომელსაც კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილება, კომპეტენცია აქვს“.<sup>226</sup>

<sup>226</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის

ერთ-ერთ კონსტიტუციურ სარჩელში<sup>227</sup> მოსარჩელე სადავოს ხდიდა ნორმებს, რომელთა მიხედვითაც ადმინისტრაციული სასამართლო განიხილავდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავებს. მისი აზრით, კანონი კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ განსაზღვრავდა სასამართლოს განსჯადობას ასეთი დავების გადაწყვეტაზე, რის გამოც ირღვეოდა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ქმნის გარანტიას, რომ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ და გადაწყვეტენ საერთო სასამართლოები; თუმცა, ამავე დროს, იგი კანონმდებელს მიანდობს ამა თუ იმ ტიპის დავაზე განსჯადობის გამიჯვნას საერთო სასამართლოთა სისტემის სუბიექტებს შორის. სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუცია არ მიუთითებს მართლმსაჯულების განხორციელების ამა თუ იმ ფორმებზე (მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტაზე) საერთო სასამართლოთა სისტემის რომელიმე სეგმენტის ექსკლუზიურ კომპეტენციაზე“.<sup>228</sup> საქართველოს კონსტიტუცია არ განსაზღვრავს საერთო სასამართლოთა სისტემის მართლმსაჯულების განმანხორციელებელ ორგანოთა სპეციალიზაციას.<sup>229</sup> შესაბამისად, სასამართლოს დასკვნით, წარმოდგენილი არგუმენტაციიდან არ საბუთდებოდა, რომ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავებზე სამოქალაქო სასამართლოს განსჯადობა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნას წარმოადგენდა.<sup>230</sup>

---

№1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გულახანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-106.

<sup>227</sup> იხ. №1293 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>228</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის №2/20/1293 განჩინება საქმეზე „შპს „საგა იმპეჯი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

<sup>229</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>230</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 4 ოქტომბრის №2/20/1293 განჩინება საქმეზე „შპს „საგა იმპეჯი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

### დასკვნები/რეკომენდაციები:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუცია არ განსაზღვრავს საერთო სასამართლოთა რომელიმე სეგმენტის ექსკლუზიურ კომპეტენციას მართლმსაჯულების განხორციელების ამა თუ იმ ფორმაზე (მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული დავების გადაწყვეტაზე). ამდენად, კონსტიტუცია კანონმდებელს მიანდობს ამა თუ იმ ტიპის დავაზე განსჯადობის გამიჯვნას საერთო სასამართლოთა სისტემის სუბიექტებს შორის. შესაბამისად, სადავო ნორმასა და კონსტიტუციის ხსენებულ უფლებრივ გარანტიას შორის მიმართების დასასაბუთებლად, მოსარჩელე მხარემ უნდა მოიყვანოს დამაჯერებელი არგუმენტაცია, თუ რატომ და რის საფუძველზე მიიჩნევს, რომ კონკრეტული დავის კონკრეტული სასამართლოს მიერ გადაწყვეტა კონსტიტუციის მოთხოვნაა.

#### 2.2.2.22 პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის ხარისხობრივი სტანდარტები

„არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა“ (საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადება).

საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, გარკვეული ქმედების ამკრძალავი და მისი ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულობის მაღალ სტანდარტს და საკმარისი სიცხადით იყოს ფორმულირებული. „პასუხისმგებლობის დაკისრების კონტექსტში, კონსტიტუციის მოთხოვნაა, არსებობდეს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული საკანონმდებლო ნორმა, რომლის საფუძველზეც, პირს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა“.<sup>231</sup> სასამართლოს გან-

<sup>231</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-33.

მარტებით, „აღნიშნული კონსტიტუციური დანაწესი ითვალისწინებს ორ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, კერძოდ: ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედება ნათლად და მკაფიოდ უნდა იყოს გათვალისწინებული სისხლის სამართლის კანონმდებლობით; და აღნიშნული კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი უნდა იყოს იმ ხარისხით, რომ რეგულირების ადრესატს შეეძლოს, გაითვალისწინოს თავისი ქმედების სამართლებრივი შედეგები“.<sup>232</sup>

სასამართლოს მითითებითვე, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებაში გამოყენებული სიტყვა „სამართალდარღვევა“ გულისხმობს ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება, გამოიყენოს სანქცია (სისხლისსამართლებრივი იქნება ეს, თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი).<sup>233</sup> ამავდროულად, აღნიშნულ დებულებასთან მიმართებით შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის კონსტიტუციურობა.<sup>234</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებაში გამოყენებული სიტყვა „სამართალდარღვევა“ გულისხმობს ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო უფლებამოსილი ხდება, გამოიყენოს სანქცია (სისხლისსამართლებრივი იქნება ეს, თუ ადმინისტრაციულსამართლებრივი).
- სადავო ნორმასა და კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადებით დადგენილ განსაზღვრულობის მოთხოვნას შორის შინაარსობრივი მიმართების წარმოსაჩენად,

<sup>232</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №1/6/1292 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

<sup>233</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>234</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/10/1264 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი მამალაძე, გიორგი ფანცულაია და მია ზოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სახეზეა პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი მისი განუსაზღვრელობის შესახებ.

### 3. კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა უფლებამოსილი სუბიექტის მიერ

„საკონსტიტუციო სასამართლო ორგანული კანონით დადგენილი წესით, ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

„საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი).

„კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ, იგი შეტანილი არ არის უფლებამოსილი პირის ან ორგანოს (სუბიექტის) მიერ“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

### 3.1 სუბიექტობის მიზანი და სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლი ადგენს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას და, იმავდროულად, განსაზღვრავს სუბიექტთა წრეს, რომელსაც აქვს კონკრეტულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლებამოსილება. მაგალითად, პარლამენტარის უფლებამოსილების ცნობისა ან ვადამდე შეწყვეტის კონსტიტუციურობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5, ან პირი, ვის უფლებამოსილებასაც შეეხება საკითხი; არჩევნების ან რეფერენდუმის მომწესრიგებელი ნორმებისა და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობაზე სარჩელის შეტანის უფლება აქვს პარლამენტის წევრთა არანაკლებ 1/5-ს, საქართველოს პრეზიდენტსა და სახალხო დამცველს. კონსტიტუციით დადგენილი ამგვარი მოწყობა ემსახურება ხელისუფლების დანაწილებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ქმედითობას; ამავდროულად, ეფუძნება შესაბამის სუბიექტთა კონსტიტუციურ სტატუსსა და პოლიტიკურ თუ სამართლებრივ კომპეტენციას. ბუნებრივია, ამგვარ წესრიგში სრულად გამოირიცხება ერთი სუბიექტის მიერ სხვა რომელიმე სუბიექტის უფლებამოსილების მითვისება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო „ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით“. სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის შესაბამისად, რომელიც პირებს აღჭურავს უფლებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვით დაიცვან თავიანთი უფლებები და თავისუფლებები,<sup>235</sup> ფიზიკური/იურიდიული პირები კონსტიტუციური კონტროლის ინიცირებას ახდენენ კონსტიტუციის მე-2 თავით განმტკიცებული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაზე. თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა კონსტიტუციური სარჩელი უფლებამოსილი

<sup>235</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სუბიექტის წარდგენილად, უკავშირდება კანონმდებლობით დადგენილ იმ წინაპირობათა დაკმაყოფილებას, რომლებიც სათანადოდ არის განმარტებული და დამკვიდრებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში.

სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ სუბიექტობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, უნდა არსებობდეს რამდენიმე კუმულაციური წინაპირობა:

- 1) პირი დავობდეს საკუთარი უფლების რეალურ და არა აბსტრაქტულ დარღვევაზე;
- 2) პირი ექცეოდეს სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებში;
- 3) მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას მოითხოვდეს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ ახორციელებს ნორმათა აბსტრაქტულ კონტროლს, რაც, იმავდროულად, გულისხმობს, რომ მოსარჩელე ფიზიკური/იურიდიული პირები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას, იდავონ სხვათა უფლებების დასაცავად (*actio popularis*).<sup>236</sup> აღნიშნული წესრიგი უპირობოდ ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებისა და იმ მოსარჩელეთა უფლებების დაცვას, რომლებსაც შესაძლოა ერღვეოდეთ ძირითადი უფლებები. კერძოდ, როგორც არაერთხელ აღინიშნა, სასამართლო შეზღუდულია დროსა და რესურსებში. შესაბამისად, აბსტრაქტული კონტროლისთვის გაწეულმა ძალისხმევამ შეიძლება მნიშვნელოვნად გადატვირთოს იგი, რაც თავისთავადი პრობლემაა: სასამართლო შეფერხდება იმ საქმეთა დროულ გადაწყვეტაში, სადაც სადავო ნორმა უშუალოდ მოქმედებს მოსარჩელეზე და არსებობს მისი უფლებების დარღვევის რისკები. ამდენად, *actio popularis*-ის აკრძალვის უმთავრესი დანიშნულებაა სასამართლოს დაცვა იმგვარი სარჩელებით გადატვირთვისგან, რომლებიც რეალურად არ ემსახურება პირის უფლების დაცვას.<sup>237</sup> სწორედ ამ

<sup>236</sup> საგულისხმოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აბსტრაქტულ კონტროლს ახორციელებს მართლმართლმართლ სუბიექტების (სახალხო დამცველი, პარლამენტის წევრი, პრეზიდენტი და სხვა) მიმართვის საფუძველზე.

<sup>237</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

მოტივით, საკონსტიტუციო სასამართლოთა უდიდესი ნაწილისთვის *actio popularis* მიუღებელი პრაქტიკაა. მეტიც, კონსტიტუციური კონტროლის ინიცირება ნებისმიერი დაინტერესებული პირის მიერ არც საერთაშორისო სტანდარტებით არის დადგენილი. მაგალითად, ვენეციის კომისია გასცემს რეკომენდაციას, რომ ის არ გამოიყენონ, რადგან აშკარაა საკონსტიტუციო სასამართლოს გადატვირთვის რისკი.<sup>238</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ მოსარჩელემ სადავო განხადოს ესა თუ ის ნორმა, მან ნათლად დაარაოროზროვნად უნდა წარმოაჩინოს, რომ უკვე არის ან, დიდი ალბათობით, იქნება სადავო ნორმით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი (ანუ აჩვენოს სადავო ნორმატიული აქტის რეალურად გამოყენება მის მიმართ), რამაც შეიძლება გამოიწვიოს მისი კონსტიტუციური უფლებების დარღვევა. პირი არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს სხვისი უფლებების დასაცავად. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარეს მოეთხოვება იმის დასაბუთება, რომ დავობს არა სხვისი, არამედ თავისი უფლების დარღვევაზე (ან შესაძლო დარღვევაზე ახლო მომავალში). წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს კონსტიტუციურ სარჩელს არსებითად განსახილველად.<sup>239</sup>

მას შემდეგ, რაც დადასტურდება პირის მიზანი – საკუთარი უფლებების დაცვა – მოსარჩელემ სადავო უნდა განხადოს ნორმა, რომელიც მასზე ვრცელდება ან, რეალური ალბათობით, ახლო მომავალში გავრცელდება. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სუბიექტობა შემოიფარგლება უფლებამოსილებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართონ მხოლოდ ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისას. ეს გამორიცხავს მათ შესაძლებლობას, რომ სარჩელი აღძრან მე-2 თავის (შესაბამისად, ძირითადი უფლებების დამდგენი ნორმების) მიღმა არსებულ დებულებათა დარღვევაზე.

<sup>238</sup> იხ. მაგალითად, REVISED REPORT ON INDIVIDUAL ACCESS TO CONSTITUTIONAL JUSTICE, CDL-AD(2021)001. ხელმისაწვდომია ბმულზე: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2021\)001-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2021)001-e) [უკანასკნელად შემოწმდა: 05.19.2021]

<sup>239</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2-527 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიორგი წაქაძე, ილია წულუკიძე და ვახტანგ ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

## 3.2 ACTIO POPULARIS – საკონსტიტუციო

### სასამართლოსათვის მიმართვა სხვათა უფლებების დასაცავად

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოსარჩელები, ერთი მხრივ, ცალსახად უთითებენ სხვა პირის ინტერესების დაცვის მოტივზე, ხოლო მეორე მხრივ, არ ასაბუთებენ უშუალოდ თავიანთი უფლებების დარღვევას სადავო ნორმით. ცხადია, სუბიექტობის დამატებითი დასაბუთება საჭირო არ არის, როდესაც საქმის მასალებიდან ნათლად იკვეთება, რომ სადავო ნორმა ვრცელდება ან მომავალში გავრცელდება პირზე. თუ გარემოებები თავისთავად არ მეტყველებს პირის სუბიექტობაზე, მოსარჩელემ, სუბიექტად მიჩნევისათვის, უნდა წარადგინოს მტკიცებულებები, რომ ნორმას უშუალო ზემოქმედება აქვს მასზე.

მაგალითად, საქმეში „*ლევან აქუბარდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“ სადავო ნორმა ადგენდა შესაძლებლობას, რომ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემულიყო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, მის საფუძველზე რეგლამენტირებული საპროცესო ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, კონკრეტული მხარის საწინააღმდეგოდ; სასარჩელო არგუმენტაციიდან კი იკვეთებოდა, რომ მოსარჩელე არ იყო მიმდინარე ან სამომავლო სამართალწარმოების მხარე, რომლის ფარგლებშიც გამოყენებული იქნებოდა სადავო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების ღონისძიება. მეტიც, მოსარჩელე თავად უთითებდა სადავო ნორმის გამოყენებაზე კონკრეტული სამართლებრივი დავის ფარგლებში, რომლის მონაწილედ ის არ იყო. ამის გათვალისწინებით, სასამართლომ განმარტა, რომ მხარის მიზანი გახლდათ არა საკუთარი, არამედ სხვა პირთა უფლებების დაცვა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციური სარჩელი წარმოადგენდა *actio popularis*.<sup>240</sup>

პრაქტიკაში გამოკვეთილია შეცდომა, როდესაც მოსარჩელე არის არა უშუალოდ უფლებადარღვეული პირი, არამედ მისი უფლებადამცველი,

<sup>240</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/3/1383 განჩინება საქმეზე „*ლევან აქუბარდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“, II-5.

ან ორგანიზაცია, რომლის მიზანია სხვათა უფლებების დაცვა. საქმეში „აიპ „სავაჭრო-კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანება“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე, არაკომერციული/ არასამეწარმეო იურიდიული პირი, დავობდა იმ პირთა უფლებების დარღვევაზე, რომელთა დასაცავადაც იყო დაფუძნებული. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე არ იყო უფლებამოსილი, სასამართლოში ედავა სხვა პირთა უფლებების დარღვევაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი უფლებების დაცვა იურიდიული პირის ძირითადი მიზანი გახლდათ.<sup>241</sup> საქმეში „კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ მოსარჩელე იყო ადვოკატი, რომელიც სარჩელის შემოტანის მიზნად უთითებდა თავისი კლიენტების უფლებათა დაცვას. ამავდროულად, მას არ წარმოუდგენია არგუმენტაცია და დასაბუთება, რომ სადავო ნორმები პირადად მის მიმართ გამოიყენებოდა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე დავობდა სხვათა უფლებების დარღვევაზე.<sup>242</sup> ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თუნდაც პირი მეორე პირს წარმოადგენდეს და იცავდეს თავისი პროფესიული საქმიანობიდან ან ფუნქციიდან გამომდინარე, უფლებადამცველი ვერ იქნება მოსარჩელე, ბენეფიციარის (მისი დასაცავი სუბიექტის) ნაცვლად: აუცილებელია, სარჩელეში მოსარჩელედ მიეთითოს პირი, რომლის უფლებაც იზღუდება.

*Actio popularis* წარმოადგენს ასევე სასამართლოსთვის მიმართვა არასრულწლოვანი პირის ინტერესების დასაცავად. ერთ-ერთ საქმეში<sup>243</sup> მოსარჩელე, სრულწლოვანი პირი, სადავოს ხდიდა ნორმებს, რომლებიც კრძალავდა ცალკეული ფარმაცევტული პროდუქტების მიყიდვას არასრულწლოვნისათვის. სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა არ განასხვავებდა სრულწლოვან და არასრულწლოვან

<sup>241</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის №1/15/1469 განჩინება საქმეზე „აიპ „სავაჭრო-კომერციული ცენტრების (ბაზრობების) გაერთიანება“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>242</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 6 დეკემბრის №1/11/1302 განჩინება საქმეზე „კობა კობახიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3-4.

<sup>243</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის №1/3/606 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

პირებს სასამართლოსთვის მიმართვის კუთხით. არასრულწლოვან პირს შეუძლია, თავად იდავოს საკუთარ დარღვეულ უფლებაზე. მოსარჩელე დავობდა არა საკუთარი, არამედ სხვა, 18 წელს მიუღწეველი პირების ინტერესთა დასაცავად, რომლებსაც თავადაც შეეძლოთ საკუთარი დარღვეული უფლების დაცვა, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად.<sup>244</sup> შესაბამისად, სრულწლოვანი პირის მიერ არასრულწლოვანის უფლების დარღვევაზე აპელირება სასამართლომ მიიჩნია სხვისი ინტერესების დაცვის მცდელობად და არ მიიღო არსებითად განსახილველად.

სასამართლოს მიდგომა განსხვავდება, როდესაც არასრულწლოვანი შვილის ინტერესთა დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს მშობელი. კერძოდ,<sup>245</sup> ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ შეაფასა, თუ რამდენად იყო მამა მცირეწლოვანი შვილის უფლებათა დარღვევაზე კონსტიტუციური დავის სათანადო სუბიექტი. მისი განმარტებით, *actio popularis*-ის აკრძალვის მიზანი არ არის იმ პირთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის შეფერხება, რომელთაც არ აქვთ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უნარი. მცირეწლოვანი ბავშვების შესაძლებლობები საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად შეზღუდულია. შესაბამისად, მათი უფლებების დასაცავად მშობლის მიერ კონსტიტუციური სარჩელის შეტანა ვერ აღიქმება ქმედებად, რომელიც არ ემსახურება პირის უფლების დაცვას. მშობელი (ამ შემთხვევაში – მამა) წარმოჩინდება მცირეწლოვანი შვილის სამართლიანი სასამართლოს უფლების განმახორციელებლად: იგი ეხმარება არასრულწლოვანს კონსტიტუციური უფლებით სარგებლობაში. ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, თავისი შინაარსით, გულისხმობს, რომ მშობლის მიერ არასრულწლოვანი შვილის დახმარება

<sup>244</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 14 მაისის №1/3/606 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>245</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/10/1212 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ამ უფლების რეალიზაციაში და მისი სახელით კონსტიტუციური სარჩელის აღძვრა მინიმალურ საფრთხეს შეიცავს არასრულწლოვანი პირის ინტერესთა დაზიანების კუთხით.<sup>246</sup> საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საქმეში არასრულწლოვანი, რომლის ინტერესსაც იცავდა მშობელი, იყო 5 წლის. მართალია, საქმეში არ შეფასებულა არასრულწლოვნის ასაკისა და სუბიექტობის ურთიერთმიმართება, თუმცა სასამართლომ საკუთარი მიდგომა დააფუძნა არგუმენტს, რომ მცირეწლოვანს არ შეეძლო საკუთარი უფლებებით დამოუკიდებლად სარგებლობა. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ სხვა შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანს თავად შეეძლება საკუთარი უფლებების დაცვა (მაგ.: იქნება 17 წლის), მშობლის სახელით სარჩელის შეტანა ჩაითვალოს *actio popularis*-ად.

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მხარდაჭერის მიმღების მეურვე არ არის უფლებამოსილი სუბიექტი, რომ სამეურვეო პირის სახელით იდავოს საკონსტიტუციო სასამართლოში, რადგან ყველა პირი თავად არის უფლებამოსილი, მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა ამ კუთხით ერთმანეთისგან არ მიჯნავს პირებს მათი გონებრივი თუ სხვა შესაძლებლობების მიხედვით. მეტიც, სამოქალაქო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, კონსტიტუციური სამართალწარმოება საერთოდ არ იცნობს ქმედუნარობის ინსტიტუტს. შესაბამისად, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, კერძოდ, მისი 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, სასამართლოსთვის მიმართვის სუბიექტებში გულისხმობს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს – მასაც, ვინც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებად ითვლება.<sup>247</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოს მიდგომა პირის სუბიექტად მიჩნევის კუთხით განსხვავდება სამართლის სხვადასხვა დარგთან მიმართებით: თუ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მოსარჩელეს მოეთხოვება დასაბუთება, რომ სარჩელის შეტანისას ექცევა

<sup>246</sup> იქვე, II-4.

<sup>247</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 13 ივლისის №2/3/514 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მათა ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3,4.

(ან რეალურ მომავალში მოექცევა) ნორმის მოქმედების ფარგლებში, სისხლისსამართლებრივურთიერთობაში (განსაკუთრებით, მატერიალურ ნორმებთან მიმართებით) მეტია აბსტრაქციის ხარისხი. მაგალითად, თუ მოსარჩელე სადავოს ხდის ქმედების დასჯადობას, სასამართლო არ ითხოვს მტკიცებას, რომ ამ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული, ან ახლო მომავალში ჩაიდენს მას.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელე მხარე იცავს არა საკუთარ, არამედ სხვის უფლებებს. სხვისი უფლებების დაცვად ჩაითვლება თუნდაც იმ პირის სარჩელი, რომლის მიზანი ან პროფესიული საქმიანობა მოიცავს სხვა სუბიექტის უფლებათა დაცვას.
- საკონსტიტუციო სასამართლო განსახილველად არ მიიღებს საქმეს მაშინაც, თუ სარჩელი წარდგენილია არასრულწლოვანი პირის ან მხარდამჭერის მიმღების ინტერესთა დასაცავად. ამ წესიდან გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც მცირეწლოვანი შვილის ინტერესების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს მშობელი (მაგ.: სასამართლომ მცირეწლოვნად მიიჩნია 5 წლის ბავშვი; თუმცა, მისი პრაქტიკის თანახმად, ჯერჯერობით არ არის დადგენილი, თუ რა ასაკამდე ითვლება პირი მცირეწლოვნად კონსტიტუციური სამართალწარმოების მიზნებისათვის).

### **3.3 პირი არ ექცევა სადავო ნორმის მოქმედების სფეროში**

როგორც აღინიშნა, პირს, როგორც მოსარჩელეს, უფლება აქვს იდავოს მხოლოდ საკუთარი უფლებების დარღვევაზე. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როდესაც სადავო ნორმატიულ აქტს პირდაპირი კავშირი აქვს მოსარჩელის უფლებასთან.<sup>248</sup> ექცევა თუ არა პირი სადავო ნორმის მოქმედების სფეროში, ამ საკითხის გასარკვევად საკონსტიტუ-

<sup>248</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 25 ივლისის №1/14/335 განჩინება საქმეზე „კავშირი „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეა“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“.

ციო სასამართლო აფასებს, რამდენად ვრცელდება (ან გავრცელდება განჭვრეტად მომავალში) სადავო ნორმის მოქმედება მასზე. მოსარჩელისა და სადავო ნორმის კავშირი/ურთიერთობა და უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა სასამართლომ შეიძლება შეაფასოს მაშინაც, თუ კონკრეტული მტკიცებულებების წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელია, უფლებათა დარღვევის შესაძლებლობა სადავო ნორმის შინაარსიდან ამკარაა, და ეჭვგარეშეა, რომ მოსარჩელე რეალურად დადგება უფლების დარღვევის საფრთხის წინაშე. უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებათა შესაძლო დარღვევის რეალურობას საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს უფლების ბუნების, სადავო ნორმის შინაარსისა და კონკრეტული საქმის ვითარების გათვალისწინებით.<sup>249</sup>

ცალსახა მაგალითი, რომ სადავო ნორმა მოსარჩელეზე არ ვრცელდება ახლო და რეალურ მომავალში, არის საქმე საპენსიო ასაკის დიფერენცირების შესაძლო დისკრიმინაციულობის შესახებ.<sup>250</sup> მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ქალთა და მამაკაცთა მიმართ განსხვავებული საპენსიო ასაკის დადგენა არღვევდა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებას. თავად მოსარჩელე იყო 36 წლის კაცი და მისი არგუმენტაცია უფლების დარღვევაზე მიემართებოდა 24 წლის შემდგომ საპენსიო ასაკის მიღწევის საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, წინასწარ, ზუსტი დამაჯერებლობით შეუძლებელი იყო მტკიცება, რომ 24 წლის შემდეგ, სადავო ნორმით დარეგულირებული ურთიერთობისა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების შესაძლო ცვლილების გათვალისწინებით, ამ ნორმას ექნებოდა იგივე შინაარსი და მოსარჩელე, მაღალი ალბათობით, გახდებოდა დადგენილი დიფერენციაციის სუბიექტი. ამგვარი ხანგრძლივი პერიოდი არ წარმოადგენდა განჭვრეტად მომავალს, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნებოდა უფლების დარღვევის საფრთხის რეალურობის შეფასება. ვარაუდი, რომ კონსტი-

<sup>249</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის №1/1/413 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>250</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ტუციური სარჩელის ავტორი 24 წლის შემდეგ აუცილებლად გახდება სადავო რეგულირების სუბიექტი და აღმოჩნდება უფლების დარღვევის საფრთხის წინაშე, არ აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დამკვიდრებულ სტანდარტს. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელიდან არ იკვეთებოდა უშუალოდ მოსარჩელის უფლების დარღვევის რეალური საფრთხე.<sup>251</sup>

ვრცელდება თუ არა სადავო ნორმა მოსარჩელეზე, ამის დასადგენად საკონსტიტუციო სასამართლო იკვლევს მის შინაარსს, მოსარჩელის მიმართ გამოყენებადობას, მისი მოქმედების პერიოდსა და სხვა გარემოებებს. მაგალითისთვის, მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა საქართველოს კანონის – „თავისუფლების ქარტიის“ – ნორმას. ამ ნორმის თანახმად, კონკრეტულ სახელმწიფო თანამდებობებზე არ შეიძლებოდა იმ პირის დანიშვნა ან არჩევა, რომელიც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე პერიოდში იყო საქართველოს ტელერადიომუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. თუმცა, კონსტიტუციური სარჩელიდან და თანდართული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, არ დასტურდებოდა, რომ უშუალოდ მოსარჩელეს ეკავა აღნიშნული თანამდებობა კანონით განსაზღვრულ პერიოდში და, შესაბამისად, მასზე შეიძლებოდა გავრცელებულიყო ზემოაღნიშნული ნორმიდან გამომდინარე შეზღუდვა.<sup>252</sup>

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ხშირია შეცდომა, როდესაც მოსარჩელე ფიზიკური პირი სადავოს ხდის იმ ნორმის კონსტიტუციურობას, რომლის სუბიექტიც მართოდ იურიდიული პირია, ანდა პირიქით. მაგალითად, მოსარჩელე იურიდიული პირები სასამართლომ არაუფლებამოსილ სუბიექტებად მიიჩნია საქმეებზე, რომლებშიც ისინი ასაჩივრებდნენ მხოლოდ ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებს. ვინაიდან ასეთ შემთხვევებში იურიდიულ პირებს ვერ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი

<sup>251</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>252</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის №2/10/560 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

პასუხისმგებლობა, ბუნებრივია, ჩაითვადა, რომ მათზე არ ვრცელდება ამგვარი სადავო ნორმის მოქმედება.<sup>253</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს სარჩელს, თუ დავის საგნით დადგენილი მოწესრიგება არ ვრცელდება (და არც განჭვრეტად მომავალში გავრცელდება) მოსარჩელე მხარეზე.

### **3.4 სასარჩელო მოთხოვნის დაყენება კონსტიტუციის ეიორე თავს მიღზე არსებულ გარანტიებთა**

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც დამფუძნებელი დოკუმენტი, უფლებებსა და თავისუფლებებთან ერთად, ადგენს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს, ხელისუფლების შტოთა, კონსტიტუციურ ორგანოთა უფლება-მოვალეობებსა და სხვა არსებით საკითხებს. კონკრეტული დავების გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლო აანალიზებს როგორც კონსტიტუციის შესაბამის დებულებას, ისე სადავო ნორმას, და მათ აფასებს კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებისა და სტრუქტურის კონტექსტში, რათა განმარტების შედეგად არ დასცილდნენ ზოგადად კონსტიტუციაში გათვალისწინებულ ღირებულებათა წესრიგს.<sup>254</sup> საჭიროების შემთხვევაში, ძირითად უფლებებზე მსჯელობისა და მათი დაცული სფეროს განმარტებისას, სასამართლო ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის სხვა რელევანტურ დებულებებსაც. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს მიერ ძირითადი უფლებების განმარტება სხვა კონსტიტუციურ დებულებათა გათვალისწინებით, თავისთავად არ ნიშნავს, რომ იგი იურიდიული/ფიზიკური პირების მიერ სადავოდ გამხდარ ნორმებს აფასებს კონსტიტუციის მე-2 თავის მიღმა.

<sup>253</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 ივლისის №2/13/734 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „აიპ „ფრეზ“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 11 დეკემბრის №2/19/1530 განჩინება საქმეზე „ა(ა)პ „პროფესორთა ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>254</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

სხვაგვარად, სადავო ნორმა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციის რომელიმე დანაწესს, თუმცა მოსარჩელე ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, ამტკიცონ, რომ ამგვარი წინააღმდეგობა არღვევს კონსტიტუციის მეორე თავში გაწერილ კონკრეტულ უფლებასა თუ თავისუფლებას.

მაგალითისათვის, ერთ-ერთ საქმეში<sup>255</sup> მოსარჩელე მიუთითებდა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების წესი ვერ პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს, რითაც ირღვეოდა მის მიერ საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება. ამის მიუხედავად, მოსარჩელე სადავო ნორმას არაკონსტიტუციურს ხდიდა კონკრეტულად საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისტემური ანალიზს საფუძველზე დაადგინა კონსტიტუციის ძირითადი მოთხოვნები მოსამართლის თანამდებობასთან მიმართებით და ძირითადი უფლების დაცული სფეროს მიზნებისთვის შეაფასა ამ საკითხის მომწესრიგებელი სხვა კონსტიტუციური (მათ შორის, 63-ე მუხლის მე-5 პუნქტი) დებულებები. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები ვერ პასუხობდა საჯარო თანამდებობის დაკავების უფლების მოთხოვნებს.

ამავდროულად, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიჩნევა მართოდენ კონსტიტუციის მე-2 თავით დაცული ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სათანადო სუბიექტებად, მჭიდროდ უკავშირდება კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ კომპეტენციურობის საკითხს. კერძოდ, როგორც აღინიშნა, კონსტიტუციური დავის შინაარსის მიხედვით, განსხვავდება ინიცირებაზე უფლებამოსილ სუბიექტთა წრე. ამ არგუმენტაციის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტებად არ მიიჩნია მოსარჩელები (და, შესაბამისად, არსებითად განსახილველად არ მიიღო სარჩელები), რომლებიც დავობდნენ პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობაზე, თუმცა თავად არ იყვნენ ის პარლამენტარები, რომელთა უფლებამოსილებაც არ ცნო ან შეწყვიტა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ.<sup>256</sup> ფიზიკური პირები,

<sup>255</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>256</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 იანვრის №2/120/1

რომლებიც ითხოვენ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმებისა და მათ საფუძველზე ჩატარებული არჩევნების კონსტიტუციურობის შემოწმებას, ასევე არაუფლებამოსილ სუბიექტებად მიიჩნევიან.<sup>257</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- მოსარჩელე ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა სასარჩელო მოთხოვნა უნდა დააყენოს მხოლოდ ძირითადი უფლების დამდგენ კონსტიტუციურ დებულებებთან მიმართებით. სხვა დებულებებთან კავშირში დაყენებული კონსტიტუციური სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად.

### **3.5 კონსტიტუციური უფლების სუბიექტობა და ძირითადი უფლებების იურიდიულ პირებზე გავრცელების სტანდარტები**

ადამიანის უფლებათა მარეგლამენტირებელი ნორმები, რომლებიც თავად განსაზღვრავენ საკუთარ (კონკრეტული უფლების) სუბიექტებს, იმავდროულად იძლევიან პასუხს, თუ რომელი სუბიექტი იქნება უფლებამოსილი, რომ მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტული უფლების დასაცავად.<sup>258</sup> ამდენად, ცალკეული ძირითადი უფლებების სუბიექტთა წრე განსაზღვრულია თავად კონსტიტუციით. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, ამ უფლების სუბიექტი არის პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის პირველ წინადადებაზე

---

განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თემურ გოცირიძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“; ასევე, 2017 წლის 17 მაისის №2/8/859 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გოჩა თევდორაძე, ვაჟა ოთარაშვილი, ფრიდონ ინჯია და კახა ჟუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>257</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №2/8/859 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გოჩა თევდორაძე, ვაჟა ოთარაშვილი, ფრიდონ ინჯია და კახა ჟუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7,8.

<sup>258</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

დაყრდნობით, შესაძლებელია, პირმა ილავოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მეწარმე სუბიექტია და მიიჩნევს, რომ სადავო ნორმატიული აქტით დაირღვა ან შეიძლება დაირღვეს მისი, როგორც მეწარმე სუბიექტის უფლებები. მოსარჩელე ფიზიკური პირები, თუ ისინი არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, არ არიან უფლებამოსილნი, ილავონ თავისუფალი მეწარმეობის უფლების დარღვევაზე.<sup>259</sup>

ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა თანასწორობას საქართველოს მოქალაქეებთან, თუმცა იმთავითვე ითვალისწინებს ცალკეულ გამონაკლისებსაც<sup>260</sup>, როცა აღნიშნულ პირებს გამორიცხავს ამა თუ იმ უფლების სუბიექტობიდან. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის რიგი დებულებები მიუთითებს, რომ ესა თუ ის უფლება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს ეკუთვნით (მაგ.: 24-ე მუხლის თანახმად, საყოველთაო საარჩევნო უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს).<sup>261</sup> შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, უფლების სუბიექტობის საკითხი დამოკიდებულია ძირითადი უფლების არსზე.

ამავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის ძირითადი უფლებები, ვრცელდება იურიდიულ პირებზეც – თუ რა შინაარსით, ეს დამოკიდებულია თავად უფლების არსზე. სასამართლოს განმარტებით, „თუ კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია, იურიდიული პირი იყოს მისი მატარებელი, მაშინ იგი ამ უფლების სუბიექტად უნდა იქნეს განხილული“.<sup>262</sup> მაგალითად, ოჯახური ცხოვრება, ღირსებისა თუ სიცოცხლის უფლება იურიდიულ პირებს თავისთავად გამორიცხავს უფლების სუბიექტობისგან. სასამართლოს განმარტებით, იურიდიული პირი წარმოადგენს სამართლებრივ

<sup>259</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 29 დეკემბრის №2/4/507 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი თარგამაძე, გიორგი ლეკიშვილი, ინგა გრიგოლია და ჯაბა სამუშია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>260</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 33, პუნქტი პირველი.

<sup>261</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №2/9/810,927 გადაწყვეტილება საქმეზე „სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – გარნიკ ვარდერესიანი, არტავაზდ ხაჩატურიანი და ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-12.

<sup>262</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის №2/1/522 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

კონსტრუქციას, ფიქციას, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ იქნება ისეთი უფლების სუბიექტი, როგორცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრება. ამდენად, ეს უფლებები, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, ვერ გავრცელდება იურიდიულ პირზე. ამასთან, სასამართლო მიუთითებს, რომ სიცოცხლე და ჯანმრთელობა ის სიკეთეა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ცოცხალ არსებას. შესაბამისად, იურიდიული პირის ნებისმიერი მსჯელობა მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლების პირდაპირ ან ირიბ დარღვევაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.<sup>263</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ კონსტიტუციური უფლება მიემართება კონკრეტულ სუბიექტს, სხვა პირთა მიერ ამ უფლებასთან მიმართებით დაყენებული სარჩელი არ მიიღება არსებითად განსახილველად.
- იურიდიული პირის სარჩელი არსებითად განსახილველად არ მიიღება იმ ძირითად უფლებებთან მიმართებით (ღირსება, ოჯახური ცხოვრება და სხვა), რომელთა სუბიექტიც მხოლოდ ფიზიკური პირია.

## **4. საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი საკითხები**

„კონსტიტუციური სარჩელი/კონსტიტუციური წარდგინება განსახილველად არ მიიღება, თუ: ... მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადი“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ იღებს იმ სარჩელებს/სასარჩელო მოთხოვნებს, რომელთა სადავო საკითხების

<sup>263</sup> იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 18 ივნისის №2/3/441 განჩინება საქმეზე „საქართველოში თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, 2011 წლის 13 მაისის №1/3/511 განჩინება საქმეზე „საქართველოს „მწვანეთა პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

შეფასება და გადაწყვეტა არ შედის მის კომპეტენციაში. თუ რა საკითხები მიიჩნევა საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველად, ამის გააზრება მოსარჩელებისგან მოითხოვს როგორც კანონმდებლობის, ასევე სხვა საკითხების ცოდნას (მაგ.: კონსტიტუციურ წესრიგში საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა).

ქვემოთ მიმოხილულია პრაქტიკული შემთხვევები, რომლებიც ხშირად ხდება კონსტიტუციური სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, სწორედ არაგანსჯადობის მოტივით.

#### 4.1 საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ მოუწია კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელები არასწორად აყენებდნენ სასარჩელო მოთხოვნას, რაც, როგორც წესი, განპირობებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის მცდარი აღქმით.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია არის არა ახალი, მოსარჩელის მოთხოვნილი სამართლებრივი წესრიგის შექმნა, არამედ შემზღუდველი წესების ძალადაკარგულად ცნობა არაკონსტიტუციურად გამოცხადებით. მისი ფუნქცია გამოიხატება არსებული საკანონმდებლო სივრცის კონსტიტუციურობის უზრუნველყოფით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო თავისი არსით „ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გავლენას ახდენს ნორმათშემოქმედებით საქმიანობაზე – სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას; მეტიც, კანონმდებელმა, ხშირ შემთხვევაში, უნდა მიიღოს ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არ ემსახურება ქვეყანაში ახალი წესრიგის დადგენას (შექმნას), იგი უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობასა და ქმედითობას და ხელს უწყობს მის შესრულებას, როგორც სახელმწიფოს, ისე ხალხის მხრიდან“.<sup>264</sup> შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნა –

<sup>264</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

საკონსტიტუციო სასამართლომ იმგვარად ცნოს ნორმა არაკონსტიტუციურად, რომ შეიქმნას მათთვის (მოსარჩელეთათვის) სასურველი წესრიგი – მოკლებულია კომპეტენციურ საფუძველს.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა ორ ნორმას: ერთი მათგანი აღგენდა, რომ სახელმწიფო კომპენსაცია (1200 ლარი) ენიშნებოდათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს იმ მოსამართლეებს, რომელთაც უფლებამოსილება შეუწყდებოდათ ვადის ამოწურვის ან საპენსიო ასაკის მიღწევის გამო;<sup>265</sup> მეორე სადავო ნორმის თანახმად კი კომპენსაცია ენიშნებოდათ უზენაესი სასამართლოს მხოლოდ იმ მოსამართლეებს, რომლებსაც უფლებამოსილება 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე შეუწყდათ პირადი განცხადების საფუძველზე.<sup>266</sup> მოსარჩელე მხარის არგუმენტაციით, დასახელებული ნორმები არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ თანასწორობის პრინციპს, ვინაიდან სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება სრულად ერთმეოდათ მოსამართლეებს, რომელთაც პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდათ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება 2005 წლისგან განსხვავებულ დროს. თუმცა, მოსარჩელემ საქმის არსებითი განხილვისას არაერთხელ და არაორაზროვნად განმარტა, რომ მის მოთხოვნა არ იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისათვის უკვე დანიშნული სახელმწიფო კომპენსაციის გაუქმება. მან აღნიშნა: „ვითხოვ „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 77-ე მუხლის პირველი პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, თუმცა ვაზუსტებ, რომ ვითხოვ არა მთლიანად, იმგვარად, რომ ამ ნორმით გათვალისწინებულ მოსამართლეებსაც წაერთვათ კომპენსაციის უფლება, არამედ იმგვარად, რომ კომპენსაციის აღნიშნული უფლება გავრცელდეს ჩემზეც და მე გაუთანაბრდე მათ“.<sup>267</sup> ამგვარად, მოსარჩელე ითხოვდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, სადავო ნორმები მოდიფიცირებულიყო ისე, რომ გაეფართოებინა კომპენსაციის

<sup>265</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 70, პუნქტი 1.

<sup>266</sup> იქვე, მუხლი 77, პუნქტი 1.

<sup>267</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

მიმღებ სუბიექტთა წრე და მასში მოქცეულიყვნენ პირადი განცხადების საფუძველზე უფლებამოსილებაშეწყვეტილი უზენაესი სასამართლოს წევრებიც.<sup>268</sup>

საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიემართებოდა არა სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის გაუქმებას, არამედ ახალი ნორმატიული შინაარსის შექმნას. მოსარჩელე, რეალურად, პრობლემურად არ მიიჩნევდა სადავო ნორმის საფუძველზე კომპენსაციის გაცემას – იგი ითხოვდა სადავო ნორმის შინაარსის ისე გაფართოებას, რომ იგივე წესი მასზეც გავრცელებულიყო. აღნიშნული მოთხოვნა, შინაარსობრივად, კანონმდებლობაში პო-ზიტიური ჩანაწერის გაკეთების იდენტურია, რაც კანონშემოქმედებითი პროცესის ნაწილია და არა ნეგატიური კანონმდებლის კომპეტენციის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. აქედან გამომდინარე, საკონსტი-ტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ იგი არ არის უფლებამოსილი, დააკმაყოფილოს მოსარჩელის მოთხოვნა და მას მიანიჭოს შესაბამისი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.<sup>269</sup>

ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ დასახელებულ პრობლემას მოსარჩელები ძირითადად მაშინ აწყდებიან, როცა ითხოვენ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით; ეს უკავშირდება თანასწორობის უფლების სპეციფიკასა და სასარჩელო მოთხოვნის თავისებურებებს ამ უფლებასთან მიმართებით ნორმის გასაჩივრებისას (ვრცლად იხ. [ქვეთავი 2.2.2.3](#)).

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- მოსარჩელე მხარემ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დააყენოს იმგვარად, რომ ითხოვდეს უფლებაშემზღუდველი აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას, და არა ახალი ნორმატიული წესრიგის შექმნას.
- თუ მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმის არაკონსტიტუ-ციურად ცნობას თანასწორობის უფლებასთან მიმართებით და ამ პროცესში ასაჩივრებს სხვა, შესაძარებელ პირთა ჯგუფის

<sup>268</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გა-დაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე – ლალი ლაზარაშვილი საქართვე-ლოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>269</sup> იქვე, II-24.

უფლებადმჭურველ წესს, მნიშვნელოვანია, მან სწორად ჩამოაყალიბოს სასარჩელო მოთხოვნა. კერძოდ, თუ მოსარჩელე მოითხოვს, რომ შესადარებელ პირთა ჯგუფს არ წაერთვას კონკრეტული უფლება და ამ უფლებით თვითონაც აღიჭურვოს, საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს მსგავს მოთხოვნას განსახილველად (ვრცლად იხ. [ქვეთავი 2.2.2.3](#)).

#### 4.2 ნორმატიული ბუნების არმქონე აქტის კონსტიტუციურობა

იმისათვის, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს აქტის კონსტიტუციურობაზე, აუცილებელია, აქტი იყოს ნორმატიული ბუნების. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაა, პირის სარჩელის საფუძველზე იმსჯელოს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით. ამასთან, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია, რომ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის უფლება აქვთ „საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირებს, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია, უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისთვის ნორმატიული აქტის შინაარსი არ ამოიწურება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული დეფინიციით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, ფორმით ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი შეიძლება იყოს ნორმატიულ ბუნების. „... ნორმის ნორმატიული ხასიათი ვლინდება ადამიანთა ქცევის სავალდებულო რეგულირებაში და განსაზღვრავს ამ ქცევათა მოქმედების ფარგლებს. შესაბამისად, სამართლებრივი დებულება მაშინ არის ნორმატიული ხასიათის მატარებელი, თუ იგი ადგენს ქცევის სავალდებულო წესს, რომელიც კონკრეტული პირის ან პირთა წრის მიმართ ადგენს აკრძალვებს, ან პირიქით, ნებას რთავს გარკვეულ ქმედებებთან დაკავშირებით. სამართლებრივი ნორმის სავალდებულო

ხასიათი ემსახურება სწორედ ამ ფუნქციების განხორციელებას და მიზნად ისახავს ახალი სამართლებრივი წესრიგის დადგენას მისი მეშვეობით“.<sup>270</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, აქტის ნორმატიული ბუნება უნდა დადგინდეს აქტის ადრესატთა წრისა და მოწესრიგების ობიექტის გათვალისწინებით. კერძოდ, „**ნორმატიულ აქტს აქვს საყოველთაობის პრეტენზია, იგი მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი და ასეთად რჩება ამ წრის გვარეობითი ნიშნითი დენტიფიკაციის შემთხვევაში**“. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ეხება როგორც კონკრეტულ პირს, ისე მისი გამოცემის მომენტში განსაზღვრულ ან განსაზღვრებად პირთა ჯგუფს. ნორმატიული აქტი თავისი ბუნებით აბსტრაქტულ, საერთო ნორმას წარმოადგენს და დაკავშირებულია არა რაიმე კონკრეტულ მოვლენასა ან შემთხვევასთან, არამედ თავის იურიდიულ მნიშვნელობას ინარჩუნებს მთელი რიგი ანალოგიური შემთხვევების მიმართ. მის საფუძველზე შესაძლებელია წარმოიშვას კონკრეტული შემთხვევის განუსაზღვრელი რაოდენობა. სწორედ ამაში მდგომარეობს ნორმატიული აქტის მრავალჯერადი გამოყენების თვისება. ამდენად, ნორმატიული აქტი, როგორც ქვევის ზოგადი წესი, მიმართულია მისი გამოცემის დროს განუსაზღვრელი ოდენობის ურთიერთობის განუსაზღვრელი რაოდენობის მონაწილეებისაკენ. განსხვავებით ნორმატიული აქტისგან, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტი ხასიათდება თავისი შინაარსის კონკრეტულობით. იგი კონკრეტულ ურთიერთობას (შემთხვევას) ეხება. ამ თვალსაზრისით ერთჯერადი გამოყენების ნორმატიული აქტი ყოველთვის ზოგადი (აბსტრაქტულ-გენერალური) სახის აქტია, რაც არ შეიძლება ითქვას ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის შესახებ, რომელიც გამოიცემა ნორმატიული აქტის კონკრეტიზაციისა და ინდივიდუალიზაციისთვის“.<sup>271</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც ფორმით ინდივიდუალური აქტი საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიზნებისთვის შეფასდა ნორმატიული ბუნე-

<sup>270</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>271</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 9 ნოემბრის №1/7/436 განჩინება საქმეზე „მზს „კავკასუს ონლაინი“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-5.

ბის მექონედ (მაგ.: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 31 მარტის №161/2016 განკარგულება მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების განსაზღვრის შესახებ).<sup>272</sup>

ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში მოიძებნება არაერთი საქმე, რომლებშიც სასამართლომ განმარტა, რომ გასაჩივრებულ აქტს არ ჰქონდა ნორმატიული შინაარსი. მაგალითად, №697 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე სხვა საკითხებს შორის ითხოვდა, სასამართლოს არაკონსტიტუციურად ეცნო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანებით (№1244-№278/6) დამტკიცებული დოკუმენტის სახელწოდება „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების დადგენის წესი“, ასევე, მისი მე-6 მუხლის სათაურში გამოყენებული სიტყვები „ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე“. 2017 წლის 7 აპრილის №1/11/697 საოქმო ჩანაწერით, საკონსტიტუციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის ეს ნაწილი არ მიიღო არსებითად განსახილველად, ვინაიდან არც სადავო ნორმატიული აქტის სათაური და არც მე-6 მუხლის სათაურის გასაჩივრებული სიტყვები არ ადგენდა ქცევის წესს და, შესაბამისად, არ იწვევდა უფლების დარღვევის საფრთხეს. გარდა ამისა, სხვა საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმატიული ბუნების არმქონედ მიიჩნია ნორმატიული აქტის პრეამბულა.<sup>273</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ნორმატიული აქტი. თუმცა, აქტის ნორმატიული ბუნება დგინდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სასამართლომ შეიძლება იმსჯელოს ფორმალურად ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზეც, თუ

<sup>272</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-81.

<sup>273</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის №2/12/782, 783 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ზაქარაია და ხათუნა გადელია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ჩათვლის, რომ მას კონსტიტუციური დავის მიზნებისათვის აქვს ნორმატიული ბუნება.

- როგორც წესი, ამა თუ იმ აქტის პრეამბულა, ნორმის სათაური ან/და კონკრეტული სიტყვა არ არის ნორმატიული ბუნების მქონე აქტი.

### 4.3 საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებების გასაჩივრება საკონსტიტუციო სასამართლოში

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ჩამოთვლის საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯად საქმეებს, არ ითვალისწინებს საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებების გასაჩივრებას საკონსტიტუციო სასამართლოში. ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან, საკონსტიტუციო სასამართლოში სადავო განადონ არა საერთო სასამართლოს ესა თუ ის გადაწყვეტილება, არამედ ნორმატიული აქტი.

მაგალითად, №302 კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარე ასაჩივრებდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა საქმეთა საკასაციო პალატის 2004 წლის 28 აპრილის №ბს-501-602ა-კ-04 განჩინებას. საქმეზე სასამართლომ განმარტა: „საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლეს და საბოლოო ინსტანციის სასამართლოს, რომელიც დადგენილი საპროცესო ფორმიტუდამხედველობას უწევს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოში. ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო. მათი კომპეტენციები მკვეთრად გამიჯნულია და საქართველოს კონსტიტუციის ... თანახმად საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის საერთო სასამართლოების მიერ განხილულ საქმეზე ზედამხედველობა. ... ამასთან, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ პუნქტით, სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული და არა სხვა სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხი“.<sup>274</sup>

<sup>274</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 7 ოქტომბრის №2/8/302

ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს ის ნორმა, რომელსაც ეფუძნება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება (ვრცლად იხ. [ქვეთავი 2.1.1](#)). აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეში გამოყენებული კანონის არაკონსტიტუციურად ცნობა კანონიერ ძალაში მესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველია.<sup>275</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანი ვერ იქნება საერთო სასამართლოთა ესა თუ ის გადაწყვეტილება, თუმცა მოსარჩელეს შეუძლია, მოითხოვოს იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომელსაც ეფუძნება საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება.

#### **4.4 „მოქმედი“ ნორმატიული აქტი**

პრაქტიკის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლება-მოსილია, კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკებზე იმსჯელოს მხოლოდ უფლების შემზღუდველი, მოქმედი ნორმატიული აქტის არსებობის შემთხვევაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „მხოლოდ მოქმედი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს“.<sup>276</sup> ამდენად, მოსარჩელე ვალდებულია, მიუთითოს მოქმედ ნორმატიულ აქტზე, რომელიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. მხოლოდ ასეთი ნორმა შეიძლება წარმოშობდეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევის რისკს.

თუ მოსარჩელე მხარე ასაჩივრებს კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციისთვის ძალადაკარგულ აქტს, საკონსტიტუციო სასამართლო მას განსახილველად არ მიიღებს სწორედ ამ მოტივით. აღნიშნული

---

განჩინება საქმეზე „მოქალაქე ნელი ნებერიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატის შემადგენლობის წინააღმდეგ“.

<sup>275</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 310, ქვეპუნქტი „დ“.

<sup>276</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

საფუძვლით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ თქვა უარი კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე.<sup>277</sup> საკონსტიტუციო სასამართლო ძალადაკარგულობის საფუძვლით არ იღებს იმ ნორმებსაც, რომლებიც ხასიათდებიან ერთჯერადი მოწესრიგების ეფექტით, ადგენენ განსაზღვრულ ვადაში შესასრულებელ კონკრეტულ ვალდებულებას და არ აქვთ განგრძობადი ბუნება; მათი მოქმედება უკავშირდება კონკრეტულ ვადას, რომლის გასვლის შემდეგაც, ისინი არ წარმოშობენ პირის უფლების შეზღუდვის რისკებს და სარჩელის შემოტანის მომენტისათვის მათი შინაარსი უკვე რეალიზებულია.<sup>278</sup>

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრმა, გიორგი კვერენჩილაძემ, დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს №1458 და №1556 კონსტიტუციური სარჩელების პლენუმის მიერ განხილვაზე, იმ საფუძვლით, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობდა განსახილველი საქმეებიდან, განსხვავდებოდა სასამართლოს მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოხატული სამართლებრივი პოზიციისაგან. მოსამართლე გიორგი კვერენჩილაძის მოსაზრებით, ადამიანის უფლებათა დარღვევა შეიძლება გამოიწვიოს როგორც კონსტიტუციური სარჩელის შეტანისას მოქმედმა ნორმატიულმა აქტმა, ისე, პირობითად, სარჩელის სასამართლოში შეტანამდე ერთი ან რამდენიმე დღით ადრე ძალადაკარგულმა აქტმაც. ამ შუამდგომლობის საფუძველზე, პლენუმმა კონსტიტუციური

<sup>277</sup> იხ.: მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 29 მარტის №1/3/1340 განჩინება საქმეზე „რეზი შარაძე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“; ასევე, 2017 წლის 7 თებერვლის №1/1/ 791 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ნოღია, ა.ა.ი.პ. „საქართველოს ბანკების ასოციაცია“ და ა.ა.ი.პ. „საქართველოს ბიზნესის ასოციაცია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 12 თებერვლის №1/1/1535 განჩინება საქმეზე „თორნიკე კუბლაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“.

<sup>278</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 19 თებერვლის №1/1/569 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით კანდელაკი, ნატალია დვალი, ზურაბ დავითაშვილი, ემზარ გოგუაძე, გიორგი მელაძე და მამუკა ფაჩუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8; ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №3/2/670 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვახტანგ მენაბდე საქართველოს პარლამენტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინააღმდეგ“, II-9.

სარჩელები მიიღო განსახილველად,<sup>279</sup> რაც მიუთითებს, რომ პლენუმი დადგა დადგენილი პრაქტიკის გაზიარების ან შეცვლის საჭიროების წინაშე. შესაბამისად, შესაძლოა, საქმეზე „*ჯუმალ ღუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“ შეიცვალოს არსებული სტანდარტები.

ამავდროულად, მოქმედი ნორმატიული აქტის გასაჩივრება მოიცავს შემდეგ საკითხსაც: პირს არ შეუძლია, მოითხოვოს იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლის საფუძველზეც გაუქმდა ესა თუ ის ნორმა. ნორმის გაუქმებამ ხშირ შემთხვევაში შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს იმ სამართლებრივ სივრცეზე, რომელშიც იგი არსებობდა: კერძოდ, სამართლებრივი სივრცე შეიცვალოს და სამართლებრივი ურთიერთობები გადაწყდეს განსხვავებული წესით. თუმცა, პირი ვერ იდავებს არარსებული ნორმის კონსტიტუციურობაზე.

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>280</sup> მოსარჩელე მხარე პრობლემურად მიიჩნევდა „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის №1284 კანონის 1(1) მუხლს, რომლის საფუძველზეც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოღებულ იქნა 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი. გაუქმებამდე მას შემდეგი შინაარსი ჰქონდა: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანხმობით, დამცველებად შეიძლება დაშვებულ იქნენ უცხოელი ადვოკატები“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ამოქმედების შედეგად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილს გამოეცალა ნორმატიული შინაარსი და ის ვერ განიხილება სამართლებრივ ნორმად საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის. პირის შესაძლებლობას, საკუთარი უფლებების დაცვა მიანდოს უცხოელ ადვოკატს, ვერ განსაზღვრავს გაუქმებული, ამჟამად არარსებული ნორმა. აღნიშნული შეზღუდვა შესაძლოა მომდინარეობს კანონმდებლობაში არსებული სხვა მოქმედი ნორმებიდან.<sup>281</sup>

<sup>279</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 აპრილის №3/1-2/1458,1556 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „*ჯუმალ ღუმბაძე და ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*“.

<sup>280</sup> იხ. №494 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>281</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494

ამასთან, თუ პირი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციას ეწინააღმდეგება ის თუ ის მოქმედი ნორმატიული აქტი, მან საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართოს სწორედ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელისთვის სასურველი ან მისი აზრით კონსტიტუციური ნორმატიული აქტის ამოქმედების გადავადების განმსაზღვრელი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება ვერ გახდება საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი, როდესაც მოსარჩელეს პრობლემას უქმნის მოქმედი ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესი. ამ არგუმენტაციით, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო ნორმა ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც მოსარჩელე პრობლემურად მიიჩნევდა, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი ქვეყნის პრეზიდენტს არაკონსტიტუციურად ანიჭებდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილებას. თუმცა, მოსარჩელე სადავოს ხდიდა ნორმას, რომელიც განსაზღვრავდა „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებათა ამოქმედების თარიღს და იწვევდა სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევის ახალი წესის ამოქმედების გადავადებას 2016 წლის პირველ ოქტომბრამდე. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეს სადავო უნდა გაეხადა მოქმედი ნორმა, და არა მისთვის სასურველი, უკეთესი წესის გადავადების საკითხი.<sup>282</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე მხარემ უნდა გაასაჩივროს მოქმედი ნორმატიული აქტი. თუ სარჩელის რეგისტრაციის მომენტისათვის აქტი ძალადაკარგულია, საკონსტიტუციო სასამართლო მას არ მიიღებს არსებითად განსახილველად.
- საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელე მოითხოვს მისთვის სა-

---

განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11,12.

<sup>282</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 17 ივნისის №3/4/768,769 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს პარლამენტთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალია, ლევან ბუჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) და საქართველოს მოქალაქეები ერასტი ჯაკობია და კარინე შახპრონიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

სურველი წესის გადავადების განმსაზღვრელი აქტის კონსტიტუციურობის შემოწმებას, ან იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის საფუძველზეც გაუქმდა მისი უფლებადმჭურველი ნორმა.

#### 4.5 ძირითად აქტში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტის კონსტიტუციურობის შეფასება

მყარად დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებლად არ აფასებს საქართველოს კანონს ძირითად აქტში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. ამ კანონში მოცემული რეგულირებები სამართლებრივ სივრცეში ცვლილებებს იწვევს კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, რა დროიდანაც იგი განიხილება ძირითადი კანონის ნაწილად. შეუძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რეგულირებების შინაარსის განხილვა დამოუკიდებლად, ძირითად კანონში არსებული ნორმებისგან იზოლირებულად. ისინი განხილული უნდა იყოს მხოლოდ ძირითად კანონთან ინტეგრირებულად, სისტემურად, და სხვა ნორმებთან კონტექსტში. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საკონსტიტუციო სასამართლოს შინაარსობრივი მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს არა ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის ესა თუ ის ნორმა, არამედ ძირითადი (კოდიფიცირებული) კანონის იმ ნორმის მოქმედი რედაქცია, რომელიც ჩამოყალიბდა განხორციელებული ცვლილების შედეგად“.<sup>283</sup>

თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია შემთხვევები, როდესაც ძირითად აქტში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტი შეიძლება დაექვემდებაროს კონსტიტუციურ კონტროლს. კერძოდ, ეს ხდება როდესაც:

1. არ ხდება ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონში მოცემული რაიმე რეგულირების გადატანა (ინტეგრირება) სხვა (ძირითად) ნორმატიულ აქტში და იგი არსებობას აგრძელებს დამოუკიდებლად;

<sup>283</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

2. საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ნორმატიული აქტის ფორმალურ შესაბამისობას კონსტიტუციასთან. ასეთ შემთხვევებში, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონის მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობა კონსტიტუციასთან შეამოწმოს ავტონომიურად, ძირითადი ნორმატიული აქტისგან დამოუკიდებლად.<sup>284</sup>

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- ძირითად აქტში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტის კონსტიტუციურობაზე საკონსტიტუციო სასამართლო არ მსჯელობს დამოუკიდებლად. გამონაკლისია ორი შემთხვევა, როდესაც ამგვარი აქტი შეიძლება დაექვემდებაროს კონსტიტუციურ კონტროლს:
  1. ძირითად აქტში ცვლილებებისა და დამატებების შემტანი აქტის ესა თუ ის ნორმა არ აისახება ძირითადი აქტის ტექსტში;
  2. მოსარჩელე მხარე სადავოს ხდის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ აქტის ფორმალურ შესაბამისობას კონსტიტუციასთან.

## **4.6 კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის საკითხი**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონსტიტუცია სასამართლოს არ ანიჭებს კომპეტენციას, შეაფასოს კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის საკითხი. კერძოდ, „სასამართლო შებოჭილია კონსტიტუციის ტექსტით, მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, იგი ვერ იქნება იმის შემფასებელი და განმსაზღვრელი, თუ როგორი უნდა იყოს ქვეყნის კონსტიტუცია. კონსტიტუციური კანონის მატერიალური შინაარსის კონსტიტუ-

<sup>284</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 დეკემბრის №1/494 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ვლადიმერ ვახანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

ციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფარგლებში ფუნქციონირებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ თავად კონსტიტუცია იძლეოდეს საკმარის საფუძველს, როგორც ამ კომპეტენციის ამოკითხვისთვის, ისე მისი ფარგლების გარკვევისათვის. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ასეთი საკითხების გადაწყვეტა პოლიტიკური პროცესის ნაწილია. საქართველოს კონსტიტუციით ცხადად არის გაწერილი კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის წესი, რომელიც ამავე წესით უნდა შეიცვალოს. ამ არჩევანს, პოლიტიკური პროცესის შედეგად, აკეთებს ხალხი, როგორც კონსტიტუციისა და ხელისუფლების წყარო<sup>285</sup>. კონსტიტუციის გადასინჯვა პოლიტიკური პროცესის ნაწილია, რომელიც ხორციელდება ხალხის ნების შესაბამისად და ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით.

საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობა სულ სამ საქმეზე შემოწმდა და განიმარტა (2010, 2012 და 2013 წლებში).<sup>286</sup> აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ჩამოყალიბებულია კონსტიტუციის ძველი რედაქციის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მოქმედების პირობებში. სასამართლომ 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინებაში აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ უთითებს ე.წ. „მუდმივობის“/ „უცვლელობის“ პრინციპზე დაფუძნებულ ნორმებზე და არც იურიდიული ძალის მიხედვით ადგენს ფორმალურ იერარქიას კონსტიტუციურ ნორმებს შორის. კონსტიტუციის სხვადასხვა ნორმა შესაძლოა განსხვავებულ დირეზივებებს იცავდეს, თუმცა ეს არ იწვევს მათ იერარქიულ ქვემდებარეობას. ამდენად, არასწორი იქნება, თუ სასამართლო „მუდმივ“ და

<sup>285</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>286</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; 2010 წლის 12 ივლისის №2/2/486 განჩინება საქმეზე „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კონსტიტუციის დაცვის ეროვნული ლიგა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; და 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/523 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გერონტი აშორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

„უცვლელ“ კონსტიტუციის ნორმებს თავად შექმნის.<sup>287</sup> თუმცა, მიიჩნევა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრიდან მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი („ხელისუფლების მითვისების და არჩევითი ორგანოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელების აკრძალვა“) კონსტიტუციაში აჩენს ე.წ. „მუდმივ“ ნორმას. შესაბამისად, არსებობს სივრცე, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქციის გათვალისწინებით შეიცვალოს საკონსტიტუციო სასამართლო პრაქტიკა.

ამავე პრაქტიკით, გამორიცხული არ არის, სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებში მოექცეს იმის შეფასება, თუ რამდენად იყო დაცული კონსტიტუციური კანონის მიღების კონსტიტუციით გათვალისწინებული წესი.<sup>288</sup>

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ მსჯელობს კონსტიტუციური კანონის შინაარსობრივ შესაბამისობაზე კონსტიტუციასთან, თუმცა ამ სასამართლოში დავის საგანი შეიძლება იყოს კონსტიტუციური კანონის მიღების პროცედურა/წესი.
- საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამოურიცხავს საკუთარი კომპეტენცია, იმსჯელოს იმ კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობაზე, რომელიც შეეხება „მუდმივი“/„უცვლელი“ კონსტიტუციური ნორმების ცვლილებებს.
- საკონსტიტუციო სასამართლოს დასახელებულ საკითხზე არ უმსჯელია 2013 წლის შემდგომ. ამავდროულად, 2018 წლის 16 დეკემბრიდან ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომლის ცალკეული მუხლები შეიძლება შეიცავდეს „მუდმივი“/„უცვლელი“ ბუნების ნორმებს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის ახალი რედაქციის ფარგლებში არ დამდგარა ამ საკითხის განმარტების, შეფასების წინაშე.

<sup>287</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის №1/1/549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10, 11.

<sup>288</sup> იქვე, II-16.

## 4.7 სადავო აქტის შეფასება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასების მასშტაბს მხოლოდ კონსტიტუცია წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას და უფლებამოსილია, არაკონსტიტუციურად გამოაცხადოს ნორმები, რომლებიც არღვევს კონსტიტუციას. ბუნებრივია, სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად, მოსარჩელებს შეუძლიათ, მოიშველიონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ასევე, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თუმცა სარჩელში დაყენებული მოთხოვნა უნდა შეეხებოდეს ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციასთან მიმართებით. სასამართლოს განმარტებით, ესა თუ ის საკითხი უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობის მაქსიმალური პატივისცემით, მდიდარი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ მან რომელიმე საერთაშორისო შეთანხმება ან ხელშეკრულება უნდა აიყვანოს კონსტიტუციურ რანგში და თავის მსჯელობებში კონსტიტუციური ნორმები ჩაანაცვლოს საერთაშორისო სამართლის ნორმებით.<sup>289</sup>

შესაბამისად, პრაქტიკის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის სადავო ნორმების შესაბამისობის შემოწმება სხვა აქტებთან, მათ შორის, საერთაშორისო ხელშეკრულებებთან.<sup>290</sup>

### დასკვნები/რეკომენდაციები:

- მოსარჩელე მხარემ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა უნდა მოითხოვოს უშუალოდ საქართველოს კონსტიტუ-

<sup>289</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5.

<sup>290</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 ოქტომბრის №2/4/420 განჩინება საქმეზე „ცისანა კოტაჯა და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, 2020 წლის 30 აპრილის №1/4/1416 განჩინება საქმეზე „მპს „სვეტი ღვთისმშობელი“, მპს „სვეტი ჯგუფი“, მპს „სვეტი“, მპს „სვეტი ნუცუბიძე“, გივი ჯიბლაძე, თორნიკე ჯანელიძე და გიორგი კამლაძე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ციასთან მიმართებით. ამ პროცესში მას შეუძლია, მოიშველიოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და სხვა სასამართლოების პრაქტიკა, თუმცა არ შეუძლია, სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმება მოითხოვოს კონსტიტუციის მიღმა, სხვა აქტთან მიმართებით.

#### 4.8 კანონიერების შემონახვის გაიჭვიაკონსტიტუციური კონტროლისგან

მნიშვნელოვანია, მოსარჩელებმა გამიჯნონ კანონიერებისა და კონსტიტუციურობის საკითხი. აქტის კანონიერებაზე მსჯელობა საერთო სასამართლოების კომპეტენციაა, საკონსტიტუციო სასამართლო კი ახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს. სხვა სიტყვებით, საერთო სასამართლოები აფასებენ საკითხს, თუ რამდენად სწორად აღსრულდება პრაქტიკაში კანონები, როგორც ფაქტობრივად, ასევე ნორმატიულ დონეზე, მაშინ, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო კანონების, სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობას აფასებს კონსტიტუციის ამა თუ იმ უფლებასთან მიმართებით.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე, იშველიებს რა საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლსა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლს, განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, ყველა სხვა აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და ამაზე აყრდნობს თავის არგუმენტაციას. კერძოდ, მისი თქმით, ვინაიდან სადავო სამართლებრივი ნორმები – საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 12 მარტის №32/42 ბრძანების („საქართველოს კონტროლის პალატის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“) მე-3 პუნქტი, მე-4 პუნქტი და ამ ბრძანებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი – არ შეესაბამება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონს, ეს იწვევს ნორმის კონსტიტუციასთან შეუსაბამობას. იმავე საფუძვლით არის მოყვანილი მოსარჩელის არგუმენტაცია შრომის კოდექსის დებულებათა დარღვევაზე. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს ნორმის შესაბამისობას არა იერარქიულად მაღლა მდგომ ნორმატიულ აქტთან, არამედ კონსტიტუციასთან. იგი აღგენს არა

ნორმის კანონიერებას, არამედ მის კონსტიტუციურობას. შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არ შედის მის კომპეტენციაში.<sup>291</sup>

ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ, თუ კონკრეტული აქტის მოქმედებას სპეციალური ან იერარქიულად მაღლა მდგომი კანონის მოქმედება გამორიცხავს, საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, ამ არგუმენტით უარი თქვას სადავო ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებაზე. პრაქტიკის შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შეფასებით, რაც პრინციპულად განსხვავდება კანონიერების პრობლემის გადაწყვეტისგან. თუ საკონსტიტუციო სასამართლო ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის პრობლემას გადაწყვეტს ზემდგომი, კონსტიტუციის შესაბამისი აქტის გამოყენებით, და ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის მტკიცებას საფუძვლად დაუდებს ზემდგომი, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის არსებობას, ის პრაქტიკულად არ შეასრულებს თავის ფუნქციას და პირდაპირ დანიშნულებას“.<sup>292</sup> ამდენად, სპეციალური ან იერარქიულად მაღლა მდგომი კანონის მოქმედების შედეგად, სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსის პრაქტიკაში გამოყენების გამორიცხვა ვერ დააბრკოლებს მისი კონსტიტუციურობის დამოუკიდებლად შეფასებას.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- მნიშვნელოვანია, მოსარჩელე მხარემ ერთმანეთისაგან გამიჯნოს კანონიერებისა და კონსტიტუციურობის საკითხი. მაგალითად, თუ მოსარჩელის არგუმენტაცია ემყარება გარემოებას, რომ ქვემდგომი აქტი ეწინააღმდეგება ზემდგომ აქტს, რის გამოც ირღვევა კონსტიტუცია, დასახელებულ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს სარჩელს/სასარჩელო მოთხოვნას არსებითად განსახილველად.

<sup>291</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის №1/2/506 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კობა გოგუა საქართველოს კონტროლის პალატის წინააღმდეგ“.

<sup>292</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9.

- ამავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, კონსტიტუციურ კონტროლზე უარი თქვას მხოლოდ იმ მოტივით, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება ზემდგომ ნორმას, რის გამოც გამოირიცხება მისი გამოყენება.

## 5. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული ყველა სადავო საკითხი უკვე გადაწყვეტილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, გარდა ამ კანონის 21<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა (*საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“*, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

### 5.1 უკვე გადაწყვეტილი საკითხის შეფასებაზე უარის თქმის მიზეზები/დანიშნულება

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. შესაბამისად, როგორც თავად საკონსტიტუციო სასამართლო, ისე ყველა სხვა ორგანო, შეუძლია გადაწყვეტილების საბოლოო ძალით. გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, ეს გადაწყვეტილება და მასში დადგენილი სტანდარტები არ ექვემდებარება ხელახალ შეფასებას. სასამართლო გადაწყვეტილების საბოლოობა, მისი პრეცედენტული ძალა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვან ელემენტად მიიჩნევა და ემსახურება ისეთ არსებით ღირებულებებს, როგორცაა სამართლის განჭრეტადობა და სიცხადე, სტაბილურობა, ეფექტიანობა, ლეგიტიმურობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.<sup>293</sup> გადაწყვეტილებისთვის პრეცედენტული ძალის მინიჭების კიდევ ერთი მიზეზია,

<sup>293</sup> Spriggs, James F., and Thomas G. Hansford. "Explaining the Overruling of U.S. Supreme Court Precedent." *The Journal of Politics* 63, no. 4 (2001): 1091-111. Accessed May 10, 2021. <http://www.jstor.org/stable/2691808>.

დაიზოგოს სასამართლოსა და მოსარჩელების დრო და რესურსები.<sup>294</sup> ამავდროულად, წინასწარ ჩამოყალიბებული პრაქტიკის მეშვეობით, უფლებათა სუბიექტებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის პროგნოზირებადი ხდება საკუთარი ქმედებების შედეგები და მათ საშუალება ეძლევათ, დადგინონ სამართლებრივი წესების შესაბამისად განსაზღვრონ საკუთარი ქცევა.<sup>295</sup>

ამ არგუმენტაციის გააზრებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც განამტკიცებს და ერთგულებს საკუთარ პრეცედენტებს. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ სარჩელები, რომლებშიც პირი სათანადო არგუმენტაციის გარეშე ითხოვს სასამართლოს მიერ უკვე დადგენილი სტანდარტებისა და გადაწყვეტილი საკითხების შეცვლას, როგორც წესი, განწირულია წარუმატებლობისთვის. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად არ მიიღო №707 კონსტიტუციური სარჩელი, რადგან მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის სიტყვებს, რომლებიც კონსტიტუციურად ჩაითვალა ამავე სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილებით საქმეზე „შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და შპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. შესაბამისად, დასმული საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.<sup>296</sup>

ცხადია, უკვე გადაწყვეტილი საკითხის ხელახლა შეუფასებლობა თვითმიზანი არ არის და დადგენილი პრეცედენტები შეიძლება შეიცვალოს. საკუთარი პრაქტიკით, საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს დოქტრინას, რომ კონსტიტუცია ცოცხალი ორგანიზმია. ეს, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს კონსტიტუციის ძირითადი უფლებების განმარტებას აწმყოს გააზრებით. სასამართლოს თანახმად, კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელიც

<sup>294</sup> The Supreme Court's Overruling of Constitutional Preceden; Congressional Research Service R45319 · VERSION 3. The Supreme Court's Overruling of Constitutional Precedent, Congressional Research Service, Brandon J. Murrill, 09.24.2018; გვ. 1089. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://fas.org/sgp/crs/misc/R45319.pdf> [უკანასკნელად შემოწმდა: 05.19.2021].

<sup>295</sup> იქვე, 1092.

<sup>296</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 მარტის №3/1/707 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ილია კოკია და გიორგი კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11,16.

აფუძნებს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება ქვეყანაში არსებული რეალიებისა და გამოწვევების, ასევე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების შესაბამისად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დროის მოთხოვნათა შესატყვისად უნდა განმარტოს კონსტიტუციის ის დებულებები, რომლებიც არეგულირებს ადამიანის უფლებებს, ასევე, მათი შინაარსობრივი ფარგლები; მან უნდა გამოიყენოს არა სტატიკური, არამედ დინამიკური განმარტების მეთოდი, ასახოს მუდმივად ცვლადი სამართლებრივი თუ კულტურული რეალიები, ადამიანთა უფლებრივი განცდები და მათი აღქმა. შესაბამისად, ამა თუ იმ უფლების ნორმატიული რეგულირება, რომელიც წლების წინათ არ მიიჩნეოდა კონსტიტუციური უფლების დარღვევად, დროთა განმავლობაში შეიძლება სწორედ ასეთად ჩაითვალოს (რა თქმა უნდა, ყველა ლეგიტიმური ინტერესის სათანადოდ გათვალისწინებითა და მათ შორის სამართლიანი ბალანსის განუხრელი დაცვით).<sup>297</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო დგება უფლებათა ფართო განმარტების, მისი დაცული სფეროს სხვაგვარად იდენტიფიცირების, წარსული შეცდომის გამოსწორებისა და მოუქნელი სტანდარტების ჩანაცვლების წინაშე, რაც მოიაზრებს საკუთარი პრაქტიკის გადასინჯვასა და დაძლევას. პრაქტიკაში ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც სასამართლოს ადრინდელი გადაწყვეტილებების შეცვლის საფუძველი ხდება კონსტიტუციის ახალი რედაქცია.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 21<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმადაც, „თუ საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია მიიჩნევს, რომ მისი პოზიცია, რომელიც გამომდინარეობს განსახილველი საქმიდან, განსხვავდება ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაში (გადაწყვეტილებებში) გამოსატული სამართლებრივი პოზიციისგან ... იგი უფლებამოსილია, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ნებისმიერ ეტაპზე, დასაბუთებული განჩინებით, საქმე განსახილველად გადასცეს

<sup>297</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-40.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს. ... პლენუმის საოქმოდ ჩანაწერი/ განჩინება, გადაწყვეტილება ან დასკვნა, რომელიც განსხვავდება საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკისაგან, მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობა.“ შესაბამისად, აღნიშნული ნორმის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, გადახედოს ადრე დადგენილ პრაქტიკას და შეცვალოს ის.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეცედენტული ძალა აქვს, თუმცა ეს არ გამოირიცხავს მისი დაძლევის (შეცვლის) შესაძლებლობას. ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო დგება უფლებათა უფრო ფართოდ განმარტების, მისი დაცული სფეროს სხვაგვარად იდენტიფიცირების, წარსული შეცდომის გამოსწორების, ანდა მოუქნელი სტანდარტების ჩანაცვლების წინაშე, რაც მოიაზრებს საკუთარი პრაქტიკის გადასინჯვასა და დაძლევას.

## **5.2 საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დადგენილი პრაქტიკის შეცვლა**

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში არც ისე ხშირია პრეცედენტთა დაძლევის შემთხვევები, თუმცა ცალკეული მაგალითები ცხადყოფს, რომ სასამართლო ცვლის როგორც დადგენილ სტანდარტებს, ასევე ცალკეული მუხლების დაცულ სფეროთა მიმართ ჩამოყალიბებულ მიდგომებს.

პრაქტიკის ცვლილების თვალსაჩინო მაგალითია საქმე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ საქმეში მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგ ნორმებს, რომლებიც დაუმჯობესდად მიიჩნეოდა სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემას სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, ინფორმაციის შესაკუთრის თანხმობის გარეშე. მოსარჩელის თანახმად, საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაცია წიაღისა და წიაღისეულის შესახებ იყო გარემოზე

ინფორმაცია, რომლის დაფარვაც ზღუდავდა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას.<sup>298</sup> საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა პირთა ჯანმრთელობას, ფინანსებსა და სხვა კერძო საკითხებს, თავისთავად გამოირიცხებოდა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების დაცული სფეროდან. სასამართლოს მიდგომით, კერძო სფეროს მიკუთვნებული ინფორმაციის ყველასთვის ხელმისაწვდომობა შექმნიდა პარადოქსს – ნებისმიერ პირს შეეძლებოდა, მიეღო ინფორმაცია სხვა პირის კერძო საკითხებზე – რაც აზრს დაუკარგავდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების იმ კომპონენტს, რომელიც იცავდა კერძო სფეროს მიკუთვნებულ ინფორმაციას.<sup>299</sup>

დასახელებულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა არ გაიზიარა მანამდე არსებული მიდგომა და მიიჩნია, რომ საჭირო იყო კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დაცულ სფეროთა ურთიერთმიმართების, შინაარსისა და ფარგლების განსხვავებულად განმარტება. სასამართლოს ახლებური მიდგომით, როდესაც პირი ითხოვს წვდომას სხვა პირის კერძო საკითხებთან დაკავშირებულ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე, ერთმანეთს უპირისპირდება კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გარანტირებული უფლებები, რომელთა კონფლიქტის საკითხი ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს ამ უფლებათა დაბალანსებით. ამდენად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია პირის უფლება, მიიღოს ოფიციალურ დოკუმენტებში არსებული ისეთი ინფორმაციაც, რომელიც უკავშირდება სხვა პირის ჯანმრთელობას, ფინანსებსა ან სხვა კერძო საკითხებს და ამ უფლების კონკურენცია მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული უფლებასთან ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.<sup>300</sup>

<sup>298</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის №3/1-1/752 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1.

<sup>299</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-21.

<sup>300</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბერის №3/1/752 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10-11.

პრაქტიკის შეცვლის ეს და სხვა მაგალითები ცხადყოფს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტის მნიშვნელობის მიუხედავად, სასამართლო ტოვებს სივრცეს, რომ უფლებათა მართებულად დაცვის მოტივებით შეცვალოს და გააუმჯობესოს საკუთარი პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები.

#### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სასამართლოს პრაქტიკა დასაძლევია, სარჩელში უნდა მიუთითოს სათანადო არგუმენტაცია. მოსარჩელის დრო და რესურსები დაიზოგება, თუ ის წინასწარ გაიცნობს სასამართლოს პრაქტიკას სასურველ საკითხზე, რათა არ გაასაჩივროს ისეთი საკითხი, რომელზეც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრაქტიკის შეცვლის არგუმენტაცია ძალზე მყიფეა, ან უბრალოდ არ არსებობს.

### **5.3 პრაქტიკის დამკლავი ნორმების არაკონსტიტუციურად გამოცხადება განმეხსარიგებელ სხდომაზე**

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტა არ გამოირიცხავს საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის ხელახლა მიღებას, იდენტური ან მსგავსი შინაარსით გამეორებას. ასეთ შემთხვევებში, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, კერძოდ, 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტი, სასამართლოს ანიჭებს შესაძლებლობას, რომ მის მიერ ერთხელ უკვე შეფასებული და არაკონსტიტუციურად ცნობილი ქვეყნის წესი გააუქმოს არსებითი განხილვის გარეშე. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს მასში მოცემული მოწესრიგების რეალურ აღსრულებას. ამ ნორმით საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, აკონტროლებს საკუთარი გადაწყვეტილებების აღსრულებას, ხოლო მეორე მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებათა დარღვევისაგან დაცვის პრევენციულ მექანიზმს.<sup>301</sup> ამავდროულად, საკონსტიტუციო სა-

<sup>301</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

სამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტში არსებული ტერმინი „იმავე შინაარსის ნორმა“ არ გულისხმობს სიტყვასიტყვით იმავენაირად ფორმულირებული წესის მიღებას/არსებობას. „ნორმის მხოლოდ ტექსტუალური, რედაქციული, ან სხვა ფორმალური განსხვავება ვერ ჩაითვლება არსებით განმასხვავებელ ფაქტორად. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეაფასებს, არის თუ არა სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის მსგავსი შინაარსის“.<sup>302</sup> შინაარსობრივი მსგავსება, თავის მხრივ, სახეზეა, როდესაც სადავო ნორმით დადგენილი სამართლებრივი მოწესრიგების არაკონსტიტუციურობა უკვე დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ და არ არსებობს სხვა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი გარემოებები, რომლებიც შექმნიდა სადავო ნორმის კონსტიტუციურობის ხელახლა შეფასების საჭიროებას/საფუძველს.

მაგალითისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი არაერთხელ გახდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ შეძენის უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილებაში<sup>303</sup> იმსჯელა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელთა მიერ შეძენის აკრძალვის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით და უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენის აკრძალვის დამდგენი ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო. მოგვიანებით კი, 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინებით, ძალადაკარგულად გამოაცხადა არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსის მქონე ნორმები. სასამართლომ ეს საკითხი მესამედ 2018 წელს შეაფასა<sup>304</sup> და უცვლელად დატოვა საკუთარი პრაქტიკა; მან დაიცვა პრეცედენტი

<sup>302</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/2/563 განჩინება საქმეზე „ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>303</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის №3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონფისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>304</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №3/10/1267,1268 განჩინება საქმეზე „საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

და მიიჩნია, რომ სადავო ნორმა იმეორებდა 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსს; შესაბამისად, სადავო რეგულირება ძალადაკარგულად გამოაცხადა. ამ საქმეების მსგავსად, სამი სხვადასხვა საქმის ფარგლებში მოუწია სასამართლოს სისხლის დონაციის საკითხის კონსტიტუციურობის შეფასება.<sup>305</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საზგასმით უნდა ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სადავო ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდგომ, კვლავაც არსებობს იმავე შინაარსის მოწესრიგების გამეორების რისკები. ასეთ შემთხვევებში, უკვე არსებული პრაქტიკა არათუ ხელს უშლის მოსარჩელებს, რომ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს, არამედ პირიქით: ერთი მხრივ, ნორმის განმწესრიგებელ ეტაპზე ძალადაკარგულად ცნობის შესაძლებლობა და, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე შეფასებული და გადაწყვეტილი საკითხი, ამარტივებს სარჩელის დაკმაყოფილებას და, შესაბამისად, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას.

ამასთანავე, როგორც აღინიშნა, თუნდაც არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის იდენტური შინაარსის გამეორებისას, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, რომ საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს მის არაკონსტიტუციურობაზე. ამდენად, მსგავს შემთხვევებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მოსარჩელებმა მიმართონ სასამართლოს და, საკუთარ უფლებებთან ერთად, ხელი შეუწყონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საბოლოობის პრინციპის დაცვასაც.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- არსებობს შემთხვევები, როდესაც კანონმდებლობაში მეორდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსი. ასეთ დროს სასამართლო იყე-

<sup>305</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“; 2017 წლის 13 ივლისის №1/13/878 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“; და 2019 წლის 17 დეკემბრის №2/16/1346 განჩინება საქმეზე „გოჩა გაბოძე და ლევან ბერიანიძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“.

ნებს ნორმის განმწესრიგებელ ეტაპზე ძალადაკარგულად გამოცხადების ინსტიტუტს, რაც ნიშნავს, რომ ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდება გამარტივებული საპროცესო გზით.

## 6. კონსტიტუციურ სარჩელში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით

კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ მასში მითითებული არცერთი სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით (*საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“*, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის არმიღების ერთ-ერთი საფუძველია გარემოება, როდესაც სადავო საკითხი არ არის გადაწყვეტილი საქართველოს კონსტიტუციით. თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში ამ საფუძვლით სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევები პრაქტიკულად არ არსებობს.<sup>306</sup> შესაბამისად, რთულია იმ სტანდარტების გამოკვეთა, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის დასახელებული საფუძვლის ქვეშ.

## 7. დარღვეულია კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადა

კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ არასაპატიო მიზეზით დარღვეულია მისი შეტანის კანონით დადგენილი ვადა (*საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“*, 31<sup>3</sup> მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი).

<sup>306</sup> პრაქტიკაში არსებობს 2002-2003 წლებში მიღებული განჩინებები, თუმცა მათში გამოხატული პოზიციები მოგვიანებით სასამართლოს სამართლებრივ აქტებში აღარ გამოვლინდა.

კანონმდებლობის თანახმად, კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის ერთ-ერთ საფუძველია კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა ვადის დარღვევით. თუმცა, ეს საფუძველი არ მიემართება პირებს, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოში დავობენ ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობაზე. კერძოდ, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ვადებს ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ კონსტიტუციური სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით: თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვონ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება. დასახელებული საფუძველი მიემართება საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა კომპეტენციის ფარგლებში განსახილველ საქმეებს.<sup>307</sup>

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობაზე სასამართლოსთვის მიმართვის ვადებს. ამდენად, პირებს შეუძლიათ, ნებისმიერ დროს მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვონ ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით.

<sup>307</sup> მაგალითად, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, კერძოდ, მისი მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი, ადგენს იმ კონსტიტუციური სარჩელის შეტანის ვადას, რომელიც შეეხება საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობისა ან ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ორ კვირას საქართველოს პარლამენტის შესაბამისი გადაწყვეტილების ამოქმედებიდან.

## 8. სადავო კანონქვემდებარე აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც სარჩელით გასაჩივრებული არ არის

კონსტიტუციური სარჩელი განსახილველად არ მიიღება, თუ სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე სრულფასოვანი მსჯელობა შეუძლებელია ნორმატიული აქტების იერარქიაში მასზე მაღლა მდგომი იმ ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე, რომელიც კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებული არ არის (*საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“*, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი).

კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის ერთ-ერთი საფუძველია სუბსიდიურობის დაუცველობა, რაც გულისხმობს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არსებითად განსახილველად მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მის კონსტიტუციურობაზე სრულყოფილი მსჯელობა შესაძლებელია ზემდგომი ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შეფასების გარეშე.<sup>308</sup> როგორც წესი, პრაქტიკაში სასამართლო ამ საფუძველს იყენებს მაშინ, როდესაც სადავო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი აკრძალვის იდენტური ან მსგავსი შინაარსის მოწესრიგება არსებობს იერარქიაში ზემდგომ ნორმატიულ აქტში.

საგულისხმოა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესრიგი ემსახურება საკანონმდებლო აქტის შესრულებას/აღსრულებას და, ხშირად, კანონქვემდებარე აქტით დადგენილი წესი

<sup>308</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №2/8/1496 განჩინება საქმეზე „თეკლა დავითულიანი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-17; ასევე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 25 ნოემბრის №1/4/607 განჩინება საქმეზე „ა(ა)იპ „თანადგომა და სამართლიანობა“ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-10.

იმეორებს საკანონმდებლო აქტით დადგენილ მოწესრიგებას. შესაბამისად, როდესაც არსებობს სადავო კანონქვემდებარე აქტი და მსგავსი, ანალოგიური შინაარსის მქონე ზემდგომი მოწესრიგების მქონე ნორმატიული აქტი, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებულ სამართლებრივ მოწესრიგებაზე პასუხისმგებელი (მოპასუხე მხარე) ხდება აღმასრულებელი ხელისუფლება. ბუნებრივია, აღნიშნული გარემოება, რიგ შემთხვევებში, გავლენას მოახდენს სრულყოფილ მსჯელობაზე ნორმის კონსტიტუციურობის შესახებ.

ამდენად, როდესაც კანონქვემდებარე აქტით დადგენილი შეზღუდვა იერარქიულად მასზე მაღლა მდგომ აქტშიც მეორდება (ან მისი მსგავსია), მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა ადგენს ზემდგომი აქტისაგან განსხვავებულ, დამატებით შეზღუდვას, ან, ქვემდგომ აქტთან ერთად, სადავო გახადოს ზემდგომი აქტიც.<sup>309</sup>

მაგალითად, ერთ-ერთ სარჩელში<sup>310</sup> მოსარჩელე მხარე სადავოს ხდიდა პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელების შეზღუდვის კონსტიტუციურობას რიგი ნორმების საფუძველზე, რომლებიც დამტკიცებული იყო საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილებით „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო კანონქვემდებარე აქტის ნორმების მსგავსად, პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელებას კრძალავდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლი, რომელიც მოსარჩელეს სადავო არ გაუხდია. სასამართლომ მიიჩნია, რომ სრულფასოვანი მსჯელობა კანონქვემდებარე აქტით დადგენილი ამ შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე წარმოუდგენელი იყო სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლის კონსტიტუციურობაზე მსჯელობის გარეშე.<sup>311</sup>

<sup>309</sup> იქვე, II-19.

<sup>310</sup> იხ. №1275 კონსტიტუციური სარჩელი.

<sup>311</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბერის №1/8/1275 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-21,23.

### **დასკვნები/რეკომენდაციები:**

- თუ კანონქვემდებარე აქტში არსებული უფლების შემზღვეველი წესი მეორდება ზემდგომ აქტში, მოსარჩელე მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა ადგენს ზემდგომი აქტისგან განსხვავებულ, დამატებით შეზღუდვას, ან, ქვემდგომ აქტთან ერთად, სადავო გახადოს ზემდგომი აქტიც.



### III. კონსტიტუციის მოთხოვნა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ უფლებათა შეზღუდვაზე და ამ უფლებამოსილების დელეგირების სტანდარტები (უფლების შეზღუდვის ფორმალური კანონიერება)

ესა თუ ის ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება არაკონსტიტუციურად ცნოს არა მხოლოდ კონსტიტუციასთან შინაარსობრივი შეუსაბამობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ დარღვეულია უფლების შეზღუდვის ფორმალური კანონიერება: უფლებამუშლუდველი აქტი მიღებულია იმ ორგანოს მიერ, რომელსაც ამგვარი კომპეტენცია არ აქვს. კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ კონსტიტუციური კომპეტენციები და ამოცანები განახორციელოს მის საფუძველზე უფლებამოსილმა სახელისუფლებო შტომ. ამდენად, საკითხი, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას უფლების შეზღუდვაზე, პირობადებულია.

ერთი შეხედვით, საქართველოს კონსტიტუცია იმეორებს საყოველთაო პრინციპს – საკანონმდებლო ხელისუფლებამ შეზღუდოს უფლებები – და ამ კომპეტენციით აღჭურავს საქართველოს პარლამენტს. კერძოდ, უფლებების დამდგენი კონსტიტუციურ დებულებების მიხედვით, ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია კანონის საფუძველზე<sup>312</sup>, რაც გულისხმობს, რომ უფლების შეზღუდვაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი. ამის მიუხედავად, რიგი ნორმატიული აქტები მიღებულია აღმასრულებელი ხელისუფლების ავტორობით, პარლამენტის მიერ უფლებამოსილების სხვა ორგანოსათვის დელეგირების საფუძველზე. დელეგირების დასაშვებობა და ფარგლები დღის წესრიგში აყენებს კითხვას, თუ რამდენად შეესაბამება ამგვარი აქტი კონსტიტუციის ფორმალურ მოთხოვნებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, საკითხის კანონით მოწესრიგების მოთხოვნასთან „ყოველთვის

<sup>312</sup> იხ. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-15 მუხლი, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და სხვა.

თავისთავადი წინააღმდეგობა ვერ ექნება პარლამენტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას სხვა ორგანოზე“.<sup>313</sup> ამავდროულად, „დელეგირებული უფლებამოსილების მქონე ორგანოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, არაგონივრულად და არაპროპორციულად არ შეზღუდოს ესა თუ ის უფლება. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ არსებობს შესაძლებლობა, შემოწმდეს მიღებული თითოეული გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა მატერიალურსამართლებრივი თვალსაზრისით, საფუძველშივე პრინციპულად არასწორია, ამგვარი მნიშვნელობის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებდეს სათანადო საკანონმდებლო კომპეტენციის არმქონე ორგანო.“<sup>314</sup>

დელეგირების კონსტიტუციურსამართლებრივ ფარგლებთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ადგენს შემდეგ სტანდარტებს:

1. სამართლებრივი ურთიერთობის რა კატეგორიებთან მიმართებით იკრძალება უფლების შეზღუდვის მოწესრიგების დელეგირება საქართველოს პარლამენტიდან ხელისუფლების სხვა ორგანოზე;
2. იმ ურთიერთობასთან მიმართებით, სადაც დელეგირება დასაშვებია, რა პირობები უნდა დაკმაყოფილდეს, რათა დელეგირება კონსტიტუციის შესაბამისად ჩაითვალოს.

ამ სტანდარტების მიმოხილვამდე, უნდა აღინიშნოს შემდეგი საკითხიც: იმისათვის, რომ სადავო ნორმა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს კონსტიტუციასთან ფორმალური წინააღმდეგობის მოტივით, აუცილებელია, პირველ რიგში, მოსარჩელე მხარემ დაასაბუთოს სადავო ნორმის საფუძველზე უფლების შეზღუდვის ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, კონსტიტუციით დადგენილ ფორმალურ მოთხოვნათა დარღვევაზე დავისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, მოსარჩელე მხარემ შეძლოს სადავო ნორმით უფლების შეზღუდვის იდენტიფიცირება. საკონსტიტუციო

<sup>313</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახლაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-78.

<sup>314</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-39.

სასამართლო უფლებამოსილია, სარჩელის საფუძველზე, მხოლოდ უფლებამუშუდველი ნორმები ცნოს არაკონსტიტუციურად. პირი ვერ მოითხოვს, თუნდაც კონსტიტუციით დადგენილი ფორმის დარღვევით მიღებული ისეთი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც მის უფლებას არ ზღუდავს.<sup>315</sup>

## 1. საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირების არსი და მიზნები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“.<sup>316</sup> ეს გულისხმობს, რომ საქართველოს პარლამენტის პრეროგატივა და უპირობო ვალდებულებაა, შეასრულოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – კანონშემოქმედება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „კანონშემოქმედებითი კომპეტენციის საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელება ემსახურება სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებას და წარმოადგენს საშუალებას, რომ უფლებაში ჩარევის სტანდარტები დადგინდეს ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებით. სწორედ პარლამენტს აკისრია ფუნქცია, აქციოს სუვერენი ხალხის პოლიტიკური სურვილები კანონად. ამასთან, საკითხის პარლამენტის მიერ კანონმდებლობით მოწესრიგებისას აქტის მიღება ხდება გამჭვირვალე პროცედურების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროცედურული დემოკრატიის რეალიზებას და ამცირებს უფლებაში დაუსაბუთებლად ჩარევის რისკებს, კერძოდ, როგორც შემადგენლობით, ასევე მუშაობის მეთოდით, პარლამენტი წარმოადგენს ინსტიტუტს, სადაც ნაკლებია გადაწყვეტილების თვითნებურად მიღების შესაძლებლობა. საქართველოს პარლამენტში საკითხის გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობენ სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წევრები და წარმოდგენილია საზოგადოების მრავალფეროვანი შეხედულებები. ამასთან, საქართველოს პარლამენტის მიერ საკითხის გადაწყვეტა ხდება

<sup>315</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის N1/17/1493 განჩინება საქმეზე აიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და სულხან სალაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>316</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 4, პუნქტი 3.

საჯარო სხდომაზე, რაც საშუალებას აძლევს ამომრჩეველს, გაზარდოს საკუთარი წარმომადგენლების ანგარიშვალდებულობის ხარისხი“.317 სასამართლოს განმარტებით: „დემოკრატიული ლეგიტიმაცია მიიღწევა სწორედ კომპლექსური საპარლამენტო პროცედურებით, გამჭვირვალე გადაწყვეტილების მიღების გზით, ინტერესთა დაბალანსების, პოლიტიკური უმრავლესობისა და უმცირესობების თანამონაწილეობის საფუძველზე. მსგავსი წესით აქტის მიღება შესაძლებლობას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ნების ფორმირებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული უმრავლესობის თვითნებური ქმედება“.318

თუმცა, კანონმემოქმედებითი კომპეტენციის შესრულება რთული პროცესია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს პარლამენტისათვის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული საკანონმდებლო უფლებამოსილება მოიცავს ქვეყნის განვითარების ყველასფეროში დასაზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესაბამისი სამართალურთიერთობების ნორმატიულ მოწესრიგებას. ფაქტობრივად, შეუძლებელია იმ სფეროთა ჩამოთვლაც კი, რომელთან დაკავშირებითაც საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესები. ამასთანავე, განვითარებად საზოგადოებაში მუდმივად არსებობს რეგულაციების ადაპტაციის, შეცვლის, ახალ რეალობასა თუ ღირებულებებზე მორგების საჭიროება. შესაბამისად, საკანონმდებლო საქმიანობა – საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტის ნორმატიულ სივრცეში გადატანა და მათი რეგულირება – დაუსრულებელი პროცესია, რომელიც ძალიან დიდ დროს, ძალისხმევასა და ადამიანურ/მატერიალურ რესურსებს მოითხოვს“.319

<sup>317</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საგაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-35.

<sup>318</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-28.

<sup>319</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საგაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-37.

სასამართლოს აღნიშვნით, „უფლებამოსილების დელეგირების მექანიზმი მნიშვნელოვნად ამარტივებს კანონმომქმედებით საქმიანობას და საკანონმდებლო ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს გადაწყვეტილებები პრინციპულ პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებზე, ხოლო მათი იმპლემენტაციისთვის საჭირო დეტალების, პროცედურულ-ტექნიკური საკითხების მოწესრიგება სხვა სახელმწიფო ორგანოებს გადაანდოს“.<sup>320</sup>

უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ყველა საკითხის პარლამენტის მიერ მოწესრიგებამ შეიძლება საკანონმდებლო ხელისუფლების პარალიზება/შეფერხება გამოიწვიოს და წარმოშვას ინსტიტუციური პრობლემები. საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნორმატიული ბაზის შექმნის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების სრულყოფილად რეალიზება. ძირითადი უფლებები მრავალი განსხვავებული ასპექტისგან შედგება, რომელთა რეგლამენტაცია სხვადასხვა დოზით დეტალიზებული ქცევის წესების შემუშავებასა და პროცესუალურ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია მთელი რიგი სპეციფიკური საკითხებისა და საჭიროებების ანალიზთან, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებასთან. ძირითად უფლებებთან დაკავშირებულ აბსოლუტურად ყველა საკითხზე საქართველოს პარლამენტის მიერ გადაწყვეტილების მიღება, ამ პროცესისთვის აუცილებელი დროის, რესურსისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, წარმოშობს საკანონმდებლო ორგანოს გადატვირთვის უთუო რისკს.<sup>321</sup>

გარდა ამისა, რთული საკანონმდებლო პროცედურებით, ფართომასშტაბიანი განხილვებითა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვნად ართულებს დროის მოკლე მონაკვეთში გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. საკონსტი-

<sup>320</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „აღუქსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-30.

<sup>321</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-38.

ტუციო სასამართლოს განმარტებით, „ამ მხრივ, გარკვეული საკითხების მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირება ასევე შეიძლება გამართლებული იყოს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისითაც. ბუნებრივია, საკითხის კანონით დარეგულირება ქმნის სტაბილურობის უფრო მაღალ გარანტიებს, თუმცა ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს უფრო მოქნილ მექანიზმს. ამ თვალსაზრისით, უფლებამოსილების დელეგირება აღმასრულებელ ხელისუფლებაზე ხელს უწყობს მარტივ ნორმატიულ ცვლილებებს იმ სფეროებში, რომლებიც მოითხოვს ხშირ მოდიფიკაციას, რეგულირების შეცვლილ გარემოებებზე მორგებას გამარტივებული პროცედურების მეშვეობით. ამდენად, საკითხის მოქნილი სამართლებრივი მექანიზმის ფარგლებში, მოწესრიგების საჭიროებიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევებში, პარლამენტის მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილების დელეგირება აუცილებელიც კი არის“.<sup>322</sup>

ამდენად, საკანონმდებლო კომპეტენციის დელეგირების მიზნები შეიძლება ამგვარად შეჯამდეს:

- საქართველოს პარლამენტის პარალიზებისა და გადატვირთვის თავიდან არიდება, რისთვისაც პროცედურულ-ტექნიკურ საკითხთა მოწესრიგება გადაენდობა სხვა სახელმწიფო ორგანოებს.
- სხვა სახელმწიფო ორგანოზე იმ საკითხთა მოწესრიგების დელეგირება, რომლებიც მოითხოვს ხშირ მოდიფიკაციასა და რეგულირების შეცვლილ გარემოებებზე მორგებას გამარტივებული პროცედურების მეშვეობით.

## **2. საკითხები, რომლებიც უნდა მოაწესრიგოს საქართველოს პარლამენტმა და რომელთა მოწესრიგების დელეგირებაც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას**

საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს უფლებამოსილებებს, რომლებიც ამა თუ იმ კონსტიტუციური ორგანოსთვის იმანენტურია და მათი დელეგირება იმთავითვე ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ამდენად, პარლამენტმა რიგი საკითხები თავად უნდა დაარეგულიროს

<sup>322</sup> იქვე, II-40.

და მათი დელეგირება კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ ჩაითვლება. მაგალითად, კონსტიტუციის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მხოლოდ კანონით“ დაიშვება: გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურისა და შემოღების წესის, მათი განაკვეთების, ან განაკვეთის ფარგლების დადგენა, რაც გამორიცხავს კანონმდებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების დელეგირებას სხვა ორგანოზე;<sup>323</sup> ასევე, იმპიჩმენტის პროცესის განხორციელება, გარკვეული თანამდებობის პირების არჩევა და ა.შ.<sup>324</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „პარლამენტის მიერ უფლებამოსილების დელეგირებამ შეიძლება კონსტიტუციის დარღვევა გამოიწვიოს იმ შემთხვევებში, როდესაც მას საქართველოს კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს ... ან/და, როდესაც დადგინდება, რომ გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს. აღნიშნული სახეზე იქნება, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუცია აკეთებს კონკრეტულ მითითებას საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით (მაგ.: საქართველოს კონსტიტუციის 50-ე მუხლის პირველი პუნქტი ცალსახად უთითებს, რომ არჩევნებში მონაწილეობისთვის წარსადგენ მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა უნდა განისაზღვროს ორგანული კანონით), ან/და საქართველოს პარლამენტი ახდენს მისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას (მაგ.: საერთოდ არ იღებს საარჩევნო კოდექსს და ა.შ.)“.<sup>325</sup>

ამდენად, კონსტიტუციას ეწინააღმდეგება გარკვეული საკითხების მოწესრიგება სხვა რომელიმე ორგანოს მიერ (მათ შორის, პარლამენტის მხრიდან დელეგირების შემთხვევაშიც), როდესაც:

<sup>323</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის №2/3/1279 გადაწყვეტილება საქმეზე „ლევან ალაფიშვილი და „ას ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-36.

<sup>324</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/5/700 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“, შპს „კასტელ ჯორჯია“ და „სს წყალი მარგებელი“ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის წინააღმდეგ“, II-13.

<sup>325</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 20 ივლისის №3/3/763 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, გიორგი ბარამიძე და სხვები, სულ 42 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-78.

1. ამას კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს;
2. დადგინდება, რომ გარკვეული უფლებამოსილების დელეგირებით, საქართველოს პარლამენტი თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების განხორციელებაზე ამბობს უარს. ეს, თავის მხრივ, მოიაზრებს შემთხვევებს როცა:

(ა) კონსტიტუცია აკეთებს კონკრეტულ მითითებას საკითხის მოწესრიგებასთან მიმართებით;

(ბ) საქართველოს პარლამენტი მიმართავს თავისი უფლებამოსილების ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი ნაწილის დელეგირებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ამგვარი ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხს განეკუთვნება, მაგალითად, გამონატვის თავისუფლების შინაარსობრივი რეგულირება.<sup>326</sup> საქართველოს პარლამენტს არ აქვს უფლებამოსილება, ამ საკითხის მოწესრიგება გადაანდოს სხვა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს.

### 3. დასაშვები დელეგირების კრიტერიუმები

იმისათვის, რომ სხვა ორგანოს მიერ მასზე დელეგირებული საკითხების მოწესრიგება ლეგიტიმურად ჩაითვალოს, უნდა დაკმაყოფილდეს გარკვეული კრიტერიუმები. პირველი აუცილებელი მოთხოვნაა, არსებობდეს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ნორმა, რომელიც საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილებას სხვა ორგანოს მინიჭებს. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „საკითხის მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირებამდე, აუცილებელია, დელეგირების მიზნები, შინაარსი და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების დასაშვები ფარგლები თავად უფლებამოსილების მიმნიჭებელი აქტით იყოს განსაზღვრული, რათა შესაბამისი ორგანო (თანამდებობის პირი) არ გაცდეს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს ან/და არ გამოიყენოს იგი რაიმე სხვა მიზნით, რასაც არ ისახავდა მისთვის სამართალმემოქმედებითი კომპეტენციის მინიჭება. კანონმდებელი ვალდებულია, თავად განსაზღვროს

<sup>326</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს №1/7/1275 გადაწყვეტილება საქმეზე „აღუქსანდრე მძინარაშვილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“.

დელეგირებული უფლებამოსილების სამართლებრივი ჩარჩოები და მიმართულებები იმგვარად, რომ მმართველობის ორგანომ შეძლოს მოქმედება კანონმდებლის ნების ფარგლებში და მის შესაბამისად“.<sup>327</sup>

ამავდროულად, უფლებამოსილების მადელეგირებელი საკანონმდებლო აქტი დელეგირების მიზანს, შინაარსსა და ფარგლებს საკმარისი სიცხადით უნდა ადგენდეს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „დელეგირების მიზნის, ფარგლებისა და შინაარსის განსაზღვრა არ გულისხმობს კონკრეტიზაციის იმგვარ ხარისხს, რაც დამახასიათებელია უშუალოდ უფლებამემზღუდველი რეგულაციისათვის. თუ კანონმდებელს მოეთხოვება, მადელეგირებელ აქტში დეტალურად გაწეროს უფლების ყოველგვარი შეზღუდვის ფორმები და სახეები და განსაზღვროს მათი მკაფიო შინაარსი, თავად უფლებამოსილების დელეგირება ფაქტობრივად აზრს დაკარგავს, როგორც ტექნიკურ-პროცედურულ საკითხთა რეგულირებისგან კანონმდებლის განტვირთვის კუთხით, ისე სპეციალიზებული ცოდნის/გამოცდილების საფუძველზე და შემჭიდროებულ ვადებში გადაწყვეტილებათა მიღების თვალსაზრისით“.<sup>328</sup>

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგენილია სტანდარტი იმ საკითხთა მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირებაზე, რომელთა რეგულირებასაც კონსტიტუცია ორგანული კანონით მოითხოვს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია ამომწურავად განსაზღვრავს საკითხთა ნუსხას, რომლებიც აუცილებლად ორგანული კანონით უნდა მოწესრიგდეს. ორგანული კანონის მისაღებად დაწესებულია ჩვეულებრივზე მაღალი კვორუმი, რაც უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკურ პროცესს. ამის მიზანია, კონსტიტუციითვე განსაზღვრულ საკითხებზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას ფართო კონსენსუსი არსებობდეს ხალხის მიერ არჩეულ

<sup>327</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-42.

<sup>328</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-46.

წარმომადგენელთა შორის.<sup>329</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, „კონკრეტული საკითხის ორგანული კანონით მოწესრიგებაზე მითითება, სრულად არ გამორიცხავს ამ სფეროს რეგულირების პროცესში პარლამენტის გარდა სხვა ორგანოების ჩართულობას. თუმცა ხსენებული მსჯელობა არ გამოდგება ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების კანონით მოწესრიგების გასამართლებლად, თუნდაც კონკრეტული საკითხის კანონით მოწესრიგების შესაძლებლობაზე თავად ორგანული კანონი მიუთითებდეს. კონსტიტუციურ ლოგიკას სრულად მოკლებულია პარლამენტის მიერ ორგანული კანონით მოსაწესრიგებელი საკითხების შედარებით დაბალი ლეგიტიმაციის აქტით მოწესრიგების უფლებამოსილების „საკუთარ თავზე დელეგირება“.<sup>330</sup>

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- სადავო ნორმით განსაზღვრული წესის კონსტიტუციასთან შინაარსობრივი წინააღმდეგობის გარდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს ფორმალური კანონიერება – მიღებულია თუ არა აქტი შესაბამისი კონსტიტუციური კომპეტენციის მქონე ორგანოს მიერ.
- იმისათვის, რომ სადავო ნორმის საფუძველზე უფლების შეზღუდვის ფორმალური კანონიერება საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდეს, მოსარჩელე მხარემ უნდა დაასაბუთოს, რომ სადავო ნორმა შემზღუდველი ბუნებისაა და მის საფუძველზე იზღუდება ესა თუ ის უფლება.
- უფლების შეზღუდვის ფორმალური მოთხოვნები დაირღვევა მაშინ, როდესაც:

<sup>329</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბუჯაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერთიანი ჯგუფი და კარინე შხპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიმაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბუჯაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-124.

<sup>330</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 16 ნოემბრის №2/5/658 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

1. სახელმწიფო ორგანო საკითხს აწესრიგებს ისე, რომ საქართველოს პარლამენტს არ აქვს მინიჭებული შესაბამისი უფლებამოსილება;
  2. პარლამენტი მოსაწესრიგებლად გადაანდობს საკითხებს, რომელთა სხვა სახელმწიფო ორგანოზე დელეგირებასაც კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს, ან/და რომლებიც ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეა.
- იმ საკითხებთან მიმართებით, რომელთა დელეგირებაც ნებადართულია, უნდა დადგინდეს, რამდენად აკმაყოფილებს საკანონმდებლო უფლებამოსილების გადანდობა კონსტიტუციის მოთხოვნებს: კერძოდ, საკმარისი სიცხადით არის თუ არა განსაზღვრული დელეგირების მიზნები, შინაარსი და ფარგლები.
  - იმ საკითხების მოწესრიგება, რომლებიც, კონსტიტუციის მიხედვით, ორგანული კანონით უნდა დარეგულირდეს, შეიძლება გადაენდოს სხვა სახელმწიფო ორგანოს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, არაკონსტიტუციური იქნება ორგანული კანონით მოსაწესრიგებელ საკითხთა დარეგულირება კანონით, თუნდაც ამგვარ დელეგირებას ორგანული კანონი აღგენდეს.



## IV. საქმის შეწყვეტის საფუძვლები და განიხილვა

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა და სასამართლოს პრაქტიკა ადგენს კონსტიტუციური სამართალწარმოების შეწყვეტის სამ განსხვავებულ საფუძველს: მოსარჩელის გარდაცვალების გამო, მოსარჩელის მიერ სარჩელზე/სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის მოტივით და დავის საგნის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველით. აღნიშნული საკითხები ქვემოთ ცალ-ცალკე იქნება მიმოხილული.

### 1. საქმის შეწყვეტა მოსარჩელის გარდაცვალების საფუძველით

როგორც აღინიშნა, საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, კერძოდ, მისი 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის ან მისი ცალკეული ნორმების კონსტიტუციურობაზე სარჩელის შეტანის უფლება აქვთ საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თუ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებები და თავისუფლებები. საკონსტიტუციო სასამართლო სწორედ ამ საფუძველზე მითითებით მიიჩნევს, რომ, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა არ არსებობს კონკრეტული სუბიექტის გარეშე, პირის გარდაცვალების შემთხვევაში ასეთ მოთხოვნას საფუძველი ეცლება და სამართალწარმოება წყდება.<sup>331</sup>

<sup>331</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 22 აპრილის №2/3/1376 განჩინება საქმეზე „ზოხრა მამედოვი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/1/437 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ ხუნდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

## 2. საქმის შეწყვეტა მოსარჩელის ინიციატივით

„მოსარჩელეს უფლება აქვს, შეამციროს მოთხოვნის მოცულობა, უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა ... იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსარჩელეს უფლება აქვს, შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, ან უარი თქვას მასზე, რაც იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას.<sup>332</sup> ბუნებრივია, მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში, საქმე შეწყდება მხოლოდ შემცირებული მოცულობის ფარგლებში, ხოლო სარჩელზე უარის თქმა გამოიწვევს საქმის სრულად შეწყვეტას. საგულისხმოა, რომ მოსარჩელეს ამ უფლების რეალიზება შეუძლია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, მაშინაც კი, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და მის გამოსაცხადებლად შეიკრიბება სხდომათა დარბაზში. მოსარჩელის უარი საქმის შეწყვეტაზე არ გამორიცხავს მის უფლებას, ხელახალი სარჩელით კვლავაც სადავო განაღოს იგივე ნორმა.

მართალია, მოსარჩელეს აქვს დავის საგნის ნებისმიერი ეტაპზე და ნებისმიერი მოცულობით შემცირების შესაძლებლობა, თუმცა არსებული კანონმდებლობა ან/და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა არ ითვალისწინებს მის უფლებამოსილებას, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის შემდგომ, საკონსტიტუციო სამართალწარმოების რომელიმე ეტაპზე გაზარდოს სასარჩელო მოთხოვნა.<sup>333</sup> სასამართლოს მითითებით, გაზრდილი სასარჩელო

<sup>332</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 27 მაისის №2/6/623 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს სადაზღვევო კომპანია „უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1-3; ასევე, 2020 წლის 11 დეკემბრის №2/10/1210 განჩინება საქმეზე „მანილა ზიროვა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-1, 2.

<sup>333</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მანა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-1; ასევე, 2008

მოთხოვნა მისი მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს მხოლოდ კანონის მოთხოვნათა დაცვით შემოტანილი ახალი კონსტიტუციური სარჩელის ფარგლებში.<sup>334</sup>

### 3. საქმის შეწყვეტა დავის საგნის ძალადაკარგულად ცნობის საფუძველით

„... საქმის განხილვის მომენტისთვის სადავო აქტის გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის შეწყვეტას, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ სადავო აქტის გაუქმებისას ან ძალადაკარგულად ცნობისას, თუ საქმე ეხება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, გააგრძელოს სამართალწარმოება და გადაწყვიტოს გაუქმებული ან ძალადაკარგულად ცნობილი სადავო აქტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მისი გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 29-ე მუხლის მე-7 პუნქტი).

---

წლის 23 დეკემბრის №1/1/386 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-3.

<sup>334</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 მაისის №1/4/1294 განჩინება საქმეზე „ზურაბ იჩქიტია, ილია ჭუმბაძე, სათუნა გრიგალაშვილი, გიორგი მამუკელაშვილი, თეონა კახიანი და ნათია კახაძე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-2.

საკონსტიტუციო სასამართლოს მყარად დადგენილი პრაქტიკისა და კანონმდებლობის თანახმად, სადავო ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება განსხვავებული შედეგის დაყენების შესაძლებლობას იძლევა საქმის განხილვის თითოეულ ეტაპზე.

არსებული პრაქტიკით, ნორმის ცვლილება, სადავო ნორმის რედაქციის ახლებურად ჩამოყალიბება, განიხილება მის ძალადაკარგულად ცნობად.<sup>335</sup> სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის ახალმა რედაქციამ შესაძლოა განსხვავებული სამართლებრივი მოცემულობები წარმოშვას, მისი გასაჩივრებული შინაარსი მნიშვნელოვნად, უმნიშვნელოდ, ან საერთოდ არ შეიცვალოს. თუმცა, ნორმის ძველი, კონსტიტუციური სარჩელის რეგისტრაციის დროისთვის მოქმედი რედაქცია ყველა შემთხვევაში ძალადაკარგულად ითვლება. თუ სადავო ნორმა უქმდება ან ძალადაკარგულად ცხადდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებამდე, საკონსტიტუციო სამართალწარმოების კანონმდებლობა სასამართლოს არ ანიჭებს უფლებამოსილებას, შეაფასოს, რა ხარისხით შეიცვალა ნორმის გასაჩივრებული რედაქცია, იმსჯელოს ცვლილების შედეგად ჩამოყალიბებული ნორმის ახალი რედაქციის შინაარსზე და გადაწყვიტოს ძალადაკარგულად ცნობილი რედაქციის არსებითად განსახილველად მიღების საკითხი.<sup>336</sup>

სასამართლოს ლოგიკით, ძალადაკარგულად ცნობილი ნორმის განხილვას აბრკოლებს სასამართლოს შებოჭვა სასარჩელო მოთხოვნით. სასამართლომ განმარტა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი კანონმდებლობა არც ნორმის ახალ რედაქციაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელის გარეშე. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება არ აქვს, იმსჯელოს მთლიანად კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობაზე,

<sup>335</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის №1/3/559 განჩინება საქმეზე „შპს გამომცემლობა „ინტელექტი“, შპს გამომცემლობა „არტანუჯი“, შპს გამომცემლობა „დიოგენე“, შპს „ლოგოს პრესი“, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, შპს „საგამომცემლო სახლი ტრიასი“ და საქართველოს მოქალაქე ირინა რუხაძე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წინააღმდეგ“.

<sup>336</sup> იქვე, II-5.

თუ მოსარჩელე ან წარდგინების ავტორი ითხოვს კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მხოლოდ რომელიმე ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობას“. ამ დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო შეზღუდულია ვალდებულებით, რომ მხოლოდ იმ ნორმის კონსტიტუციურობა შეაფასოს, რომელიც მითითებულია კონსტიტუციურ სარჩელში. იგი ვერ გადაწყვეტს სხვა ნორმების კონსტიტუციურობის საკითხს, რომლებიც არ არის მოხსენიებული კონსტიტუციურ სარჩელში, იმ მოტივით, რომ სადავო ნორმის მსგავსი შინაარსი აქვთ.<sup>337</sup>

შესაბამისად, მყარად დადგენილი პრაქტიკით, განმწესრიგებელ ეტაპზე, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების გადაწყვეტამდე, სადავო აქტის ნებისმიერი სახის (მათ შორის, სარედაქციო) ცვლილება იწვევს საქმის შეწყვეტას.

როდესაც სადავო ნორმები შეიცვლება საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს, არსებობს თუ არა საქმის გაგრძელების საფუძველი. კერძოდ, თუ მისი განხილვა მნიშვნელოვანია კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველსაყოფად, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არ შეწყვეტს.<sup>338</sup> როგორც წესი, ამ ეტაპზე საქმის განხილვის გაგრძელების დასასაბუთებლად, სასამართლო უთითებს, რომ ახალი რედაქცია იმეორებს სადავო შინაარსს და მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმის ძალადაკარგულ რედაქციაზე მსჯელობა ეფექტიანი საშუალებაა მოსარჩელის უფლების დასაცავად.<sup>339</sup> კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა ყველა შემთხვევაში არ გამოიწვევს სადავო ნორმატიული შინაარსის გაუქმებას. ნორმის გაუქმების შემდეგ, იგი შეიძლება ჩანაცვლდეს დებულებით, რომელიც სრულად

<sup>337</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/7/1258 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ვაშაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>338</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის №2/4/665,683 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“.

<sup>339</sup> იქვე, II-8.

ან ნაწილობრივ შეინარჩუნებს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ ნორმატიულ შინაარსს.<sup>340</sup> შესაბამისად, თუ სადავო ნორმის ცვლილების შედეგად მიღებული რეგულაცია მნიშვნელოვანწილად იმეორებს ძველი (გასაჩივრებული) რედაქციის ნორმატიულ შინაარსს, საკონსტიტუციო სასამართლო კვლავაც ხედავს მოსარჩელის უფლებათა დარღვევის რისკებს და, ასეთ შემთხვევებში, აფასებს სადავო (ცვლილებამდელ) რეგულაციებს.<sup>341</sup> ამავდროულად, სასამართლო უთითებს, რომ „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის 4 და 4<sup>1</sup> პუნქტებით, დაუშვებელია ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც შეიცავს სასამართლოს მიერ უკვე არაკონსტიტუციურად ცნობილი შინაარსის მქონე ნორმებს. ამასთან, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სადავო ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი შეიცავს ასეთ ნორმებს, გამოაქვს განჩინება საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობასა და სადავო აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობაზე. შესაბამისად, ძალადაკარგული ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება ხელს შეუწყობს სადავო ნორმით გათვალისწინებულ საფრთხეთა სრულად აღმოფხვრას (ვრცლად იხ. [ქვეთავი 5.3](#)).<sup>342</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობა/გაუქმება ხდება საკონსტიტუციო სასამართლოში საქმის განხილვის დასრულების შემდეგ (სათათბირო ოთახში ყოფნისას), არ არსებობს საკანონმდებლო საფუძველი საქმის შეწყვეტისთვის.<sup>343</sup> ამავდროს, საკონსტიტუციო სასამართლო შეზღუდულია დავის საგნის ფარგლებით და ვერ იმსჯელებს სადავო ნორმის ახალ რედაქციაზე, თუმცა ამ ნორმის ძალადაკარგულ რედაქციაზე მსჯელობა მოსარჩელის უფლების დაცვის ეფექტიანი და პრევენციული საშუალებაა.<sup>344</sup> ზოგადად, არსებით ეტაპზე საქმის გაგრძელების მიზანია, სამართალშემოქმედს არ მისცეს სამართალშემოქმედებითი პროცესით ბოროტად სარგებლობის

<sup>340</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>341</sup> იქვე, II-8.

<sup>342</sup> იქვე.

<sup>343</sup> იქვე, II-5.

<sup>344</sup> იქვე, II-8.

შესაძლებლობა.<sup>345</sup> ამავე მიზეზით, კანონი საკონსტიტუციო სასამართლოს ავალდებულებს, შეაფასოს სადავო ნორმის კონსტიტუციურობა და საბოლოოდ გადაწყვიტოს დავა იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმის განხილვის დასრულების შემდეგ (სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე) კანონმდებელი გააუქმებს/შეცვლის სადავო ნორმას. ამ ეტაპზე ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში, საქმის განხილვის შეწყვეტა გამოიწვევდა კონსტიტუციური კონტროლის აბსოლუტურ დამოკიდებულებას სამართალშემოქმედების დინამიკურ პროცესზე, რაც არაგონივრულად გაართულებდა საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვას და დაუშვებდა სამართალშემოქმედებით პროცესით ბოროტად სარგებლობის შესაძლებლობას; ეს კი უარყოფითად აისახებოდა ისეთ საკითხზე, როგორცაა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ კონსტიტუციის უზენაესობის, კონსტიტუციური კანონიერებისა და კონსტიტუციით აღიარებულ უფლებათა თუ თავისუფლებათა დაცვის ეფექტიანი უზრუნველყოფა.<sup>346</sup>

ამ სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, საქმის შეწყვეტის საკითხის ცოდნა მნიშვნელოვანია ორი ძირითადი გარემოების გამო: სადავო აქტის არაკონსტიტუციურად ცნობით დაინტერესებულმა პირმა, რომელიც შესაძლოა სარჩელით იმიტომ არ მიმართავდეს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ სასამართლო უკვე განიხილავს მისთვის პრობლემური ნორმის კონსტიტუციურობის საკითხს, გაითვალისწინოს საქმის შეწყვეტის შესაძლებლობა და რისკები. შესაბამისად, არ დაკარგოს დრო, რომელიც საქმის ხელახლა წამოწყებასა და განხილვას დასჭირდება, რადგან სასამართლო საქმეს არ აგრძელებს იმ ეტაპიდან, რომელზეც შეწყდა, იგი იწყებს ხელახალ სამართალწარმოებას. ამავდროულად, თუ სარჩელის შეტანის მომენტისთვის უკვე არსებობს სარედაქციო ცვლილება, რომლითაც ჩანაცვლდება მოსარჩელისთვის პრობლემური სადავო აქტი, მართებული იქნება, მან, ძირითად სადავო აქტთან ერთად,

<sup>345</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის N1/1/386 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წინააღმდეგ“, II-4.

<sup>346</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-7.

გაასაჩივროს ასამოქმედებელი ნორმაც. ამით ის, ფაქტობრივად, თავს დაიზღვევს საქმის შეწყვეტის რეალური რისკისგან.

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საკონსტიტუციო სამართალწარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა არ ცნობს სასარჩელო მოთხოვნის გაზრდის საპროცესო მექანიზმს. შესაბამისად, თუ მოსარჩელეს სურს სარჩელის გაფართოება, მან უნდა წარადგინოს ახალი კონსტიტუციური სარჩელი.
- საქმე შეიძლება სხვადასხვა საფუძვლით შეწყდეს მისი განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. ამდენად, კონკრეტული დავის საგნის სასამართლოს მიერ განხილვა არასდროს ქმნის გარანტიას, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყდება. ამ რისკების გათვალისწინებით, დაინტერესებულმა პირებმა არ უნდა შეიკავონ თავი სასამართლოსთვის კონსტიტუციური სარჩელით მიმართვისგან, მარტოდენ იმ საფუძვლით, რომ სასამართლო უკვე განიხილავს მათთვის პრობლემურ ნორმას.
- თუ არსებობს კანონი, რომელსაც ცვლილება შეაქვს სადავო ნორმაში, მოსარჩელემ სადავო უნდა გახადოს როგორც ცვლილების შემტანი, ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რათა თავიდან აიცილოს საქმის შეწყვეტა ნორმის ძალადაკარგულობის საფუძვლით.



## V. სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება

„თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია, ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შეუძლია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ან უფრო ნაკლები ვადით შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება. საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით, გადასინჯოს გადაწყვეტილება სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედების შეჩერების თაობაზე, თუ აღარ არსებობს ის გარემოებები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას“ (საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონმდებლობა მოსარჩელე მხარეს აღჭურავს უფლების დაცვის დროებითი ღონისძიების – სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შესაძლებლობით. ერთი მხრივ, მოსარჩელე მხარეა უფლებამოსილი, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოს მიმართოს დროებითი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, ხოლო, მეორე მხრივ, თავად საკონსტიტუციო სასამართლოა ვალდებული, სათანადო წინაპირობების არსებობისას მოქმედებაში მოიყვანოს აღნიშნული ინსტრუმენტი. ბუნებრივია, როგორც მოსარჩელის შუამდგომლობა, ასევე სასამართლოს ინიციატივით ნორმის შეჩერება, უნდა პასუხობდეს საკითხის მომწესრიგებელ კანონმდებლობასა და სასამართლოს მიერ პრაქტიკაში განვითარებულ ლოგიკას.

სასამართლოს განმარტებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერება უაღრესად მნიშვნელოვანი, პრევენციული უფლებადაცვითი მექანიზმია და მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოს ეფექტიანობას. კონსტიტუციური მართლმსაჯულების სისტემის თავისებურებათა გათვალისწინებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი მოსარჩელეს იცავს უფლების გარდაუვალი და

შუუქვევადი დარღვევისგან და ხელს უწყობს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მიმართვის ეფექტიანობას. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ხშირად არ ვრცელდება გადაწყვეტილების მიღებამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და არსებობს საფრთხე, რომ პირის უფლება არ აღდგება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. კანონმდებლობა სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს რეალური საფრთხე, რომ მისი მოქმედება გამოიწვევს მხარისთვის გამოუსწორებელ შედეგებს. შესაბამისად, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების ინსტიტუტი მიმართულია იმ გარდაუვალი და შუუქვევადი საფრთხეების პრევენციაზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს სადავო აქტის მოქმედებას და რომელთა გამოსწორება შეიძლება ვერ მოხერხდეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგაც. პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო სადავო აქტის მოქმედების შეჩერების ღონისძიებას მიმართავს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში – მაშინ, როდესაც მხარისთვის გამოსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხე აშკარაა და არ არსებობს მესამე პირებისა და საზოგადოებრივი ინტერესების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკები.<sup>347</sup>

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შეჩერება გულისხმობს შემდეგი არსებითი პირობების შეფასებას:

- 1) წარმოქმნის თუ არა სადავო ნორმ(ებ)ის მოქმედება პირისთვის გამოსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხეს;
- 2) შესაძლებელია თუ არა შეჩერებით ამგვარი საფრთხის აცილება;
- 3) ხომ არ არსებობს ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოსარჩელე შეძლებდა საფრთხის აცილებას;
- 4) რა გავლენას მოახდენს სადავო ნორმ(ებ)ის შეჩერება საჯარო ინტერესებსა და სხვა პირთა უფლებებზე.

როგორც აღინიშნა, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების უპირველესი წინაპირობა გახლავთ იმის დასაბუთება, რომ მისი შეჩერებლობა მოსარჩელე მხარეს მიაყენებს გამოსწორებელ ზიანს.

<sup>347</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31-35.

შეუძლია თუ არა სადავო ნორმატიულ აქტს რომელიმე მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგის მოტანა და რას ნიშნავს „გამოუსწორებელი შედეგი“, საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, უნდა დადგინდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებების შეფასებით.<sup>348</sup> სასამართლოს განმარტებით, გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედება იწვევს უფლების შეუქცევად დარღვევას და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელია ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც. ამასთან, პირს ასეთი შედეგის აცილებისთვის სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია.<sup>349</sup> ამავდროულად, ფაქტი, რომ მოსარჩელის უფლება იზღუდება/ირღვევა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საოქმო ჩანაწერის მიღებიდან საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე პერიოდში, თავისთავად ვერ გამოდგება გამოუსწორებელი შედეგის დამადასტურებელ გარემოებად. უფლების შეზღუდვის შესაძლებლობა, როგორც წესი, ყველა იმ საქმეზე არსებობს, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად განსახილველად იღებს. უფლების შეზღუდვის განგრძობადი ბუნება თავისთავად არ გულისხმობს, რომ არსებობს სადავო ნორმით გამოწვეული გამოუსწორებელი შედეგი. ცხადია, შეუძლებელია უფლების ნებისმიერი შეზღუდვის სრული ფაქტობრივი გამოსწორება. გამოუსწორებელი შედეგი, რომლის შემთხვევაშიც ნორმის მოქმედება შეჩერდება, გულისხმობს ისეთ კრიტიკულ შემთხვევებს, როდესაც ნორმის არაკონსტიტუციურად გამოცხადებითაც შეუძლებელი იქნება დამდგარი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა.<sup>350</sup>

მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოუსწორებელი შედეგის განმაპირობებლად მიიჩნია ის ნორმები, რომელთა საფუძველზე პირები, რომლებიც რელიგიურ შეხედულებათა გამო უარს ამბობდნენ

<sup>348</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 6 თებერვლის №1/2/696 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

<sup>349</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

<sup>350</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 29 დეკემბრის №2/8/665,683 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-16.

ელექტრონული მატარებლის, ჩიპის შემცველი პირადობის მოწმობის მიღებაზე, ვერან შეფერხებით მონაწილეობდნენ არაერთ სამართლებრივ ურთიერთობაში. სასამართლომ მიუთითა, რომ შეზღუდვა, რომელიც ვრცელდებოდა ყოვლისმომცველ და მნიშვნელოვან ურთიერთობათა სპექტრზე (პირს საშუალებას ართმევდა, ესარგებლა ყოველდღიური ყოფითი ცხოვრებისთვის საჭირო სერვისებით და სრულყოფილად განეხორციელებინა კანონითა თუ კონსტიტუციით მინიჭებული მთელი რიგი უფლებები) მას აყენებდა ზიანს, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელი იქნებოდა ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც.<sup>351</sup>

ამასთან, თუკი საკონსტიტუციო სასამართლო დროის კონკრეტულ მონაკვეთში მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მიმართ შეიძლება დადგეს გამოუსწორებელი ზიანი, შეუძლია, საქმის არსებითად განსახილველად მიღების შემდგომაც შეაჩეროს სადავო ნორმის მოქმედება.<sup>352</sup> შეჩერების მოთხოვნისას, მოსარჩელე ვალდებულია, დაასაბუთოს, რომ ნორმის მოქმედების პირობებში, ახლო მომავალში, არსებობს მისი კონსტიტუციური უფლების შეუქცევადად დარღვევის რეალური საფრთხე.<sup>353</sup> ამ შესაძლებლობის გათვალისწინებით, სასამართლო ხშირად უთითებს, რომ თუ შუამდგომლობის განხილვისას არ არსებობს გამოუსწორებელი ზიანის დადგომის საფრთხე, მოგვიანებით მისი წარმოშობის შემთხვევაში, სადავო ნორმის შეჩერების საკითხს გადაწყვეტს საკუთარი ინიციატივით, აგრეთვე, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.<sup>354</sup> ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს შესაძლებლობა, თავად შეაფასოს სადავო ნორმის შეჩერების საჭიროება, შუამდგომლობის

<sup>351</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 26 დეკემბრის №1/12/1404 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ნანა სეფაშვილი და ია რეზვაშვილი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ“, II-52,56.

<sup>352</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის №3/3/813 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4

<sup>353</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის №2/14/879 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

<sup>354</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 აპრილის №3/5/1491 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

დაყენების შემთხვევაში მოსარჩელეს არ ათავისუფლებს სათანადო არგუმენტაციისა და მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულებისგან, რომლებიც ცხადად და დამაჯერებლად დაასაბუთებს, რომ სადავო ნორმის მოქმედება წარმოქმნის მის მიმართ გამოუსწორებელი შედეგების დადგომის გარდაუვალ საფრთხეს.<sup>355</sup>

ნორმის მოქმედების შეჩერებაზე მსჯელობის შემდგომ, საკონსტიტუციო სასამართლო აფასებს ხსენებული მექანიზმის დროში მოქმედებისა და ეფექტიანობის საკითხს.<sup>356</sup> კერძოდ, შეჩერება უნდა იყოს მიზნის მიღწევის – გამოუსწორებელი ზიანის აცილების საშუალება. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე შუამდგომლობა დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, თუ ასეთ გადაწყვეტილებას შეუძლია მოსარჩელე მხარისთვის გამოუსწორებელი შედეგის დადგომის პრევენცია. ნორმის შეჩერება საფუძველს მოკლებულია, თუ ეს ვერ შეცვლის ფაქტობრივ სამართლებრივ მდგომარეობას.<sup>357</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლო არ აჩერებს იმ ნორმების მოქმედებას, რომლებიც უკვე გამოყენებულია მოსარჩელის მიმართ, და კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რომ მათი გაუქმების შემთხვევაში, სასამართლომ გადახედოს ამ ნორმათა საფუძველზე მოწესრიგებულ ურთიერთობებს (ანუ ახალი მოწესრიგება უკუძალით გაავრცელოს წარსულ ურთიერთობებზე). დასახელებული მსჯელობა, ძირითადად, მიემართება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, სადაც საკითხი წყდება ურთიერთობის წარმოშობისას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>358</sup> სასამართლოს მითითებით, საოქმო ჩანაწერი სადავო ნორმის მოქმედების შეჩერებაზე ძალაში შედის სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან. ამდენად, შეჩერების შუამდგომლობის დაკმაყოფილებით, სადავო ნორმის მოქმედება შე-

<sup>355</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 ივლისის №2/6/877 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს „ალტა“, შპს „ოქეი“, შპს „ზუმერი ჯორჯია“, შპს „ჯორჯიან მობაილ იმპორტი“ და შპს „სმაილი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

<sup>356</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის №2/2/1337 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6.

<sup>357</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის N1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „შპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-34.

<sup>358</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 6.

ჩერდება საოქმო ჩანაწერის გამოქვეყნების შემდგომ ურთიერთობებზე; შესაბამისად, ეს გავლენას ვერ მოახდენს იმ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებზე, რომლებშიც უკვე გამოყენებულია სადავო ნორმა.<sup>359</sup>

ნორმის შეჩერების ინსტიტუტს თან სდევს ისეთი რისკები, როგორცაა ნორმის შესაძლო კონსტიტუციურობა და მისი შეჩერების გავლენა სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს შეჩერების ალტერნატიული მექანიზმის გამორიცხვას. სხვა სიტყვებით, პირს არ უნდა ჰქონდეს ნორმიდან მომდინარე ზიანის (შედეგის) თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა.<sup>360</sup>

მას შემდგომ, რაც სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმის შეჩერება მოსარჩელეს აარიდებს გამოუსწორებელ ზიანს და არ არსებობს უფლების დაცვის სხვა მექანიზმი, იგი მსჯელობს, ხომ არ ემნის შეჩერება მესამე პირთა უფლებებისა და საჯარო ინტერესების შეზღუდვის საფრთხეს. ვინაიდან სადავო ნორმის კონსტიტუციურობა პრეზუმირებულია, შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ითვალისწინებს ამ დონის ძიების შედეგად წარმოქმნილ რისკებს. სასამართლოს განმარტებით, ნორმატიული აქტებით დადგენილი ქვევის ზოგადსავალდებულო წესები ემსახურება საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროთა მოწესრიგებას და კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას – კერძო და საჯარო ინტერესების დაცვას. რიგ შემთხვევებში, სადავო ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერებამ შეიძლება შეზღუდოს როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესები, და დააზიანოს ღირებულება, რომლის დასაცავადაც არის მიღებული ეს აქტი.<sup>361</sup> მოსარჩელისა და მესამე პირთა ინტერესების

<sup>359</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის №2/2/1337 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ბათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-6,8.

<sup>360</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის №1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მპს ტელეკომპანია „საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

<sup>361</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის N3/2/577 გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს

შეპირისპირებისას, სასამართლო ითვალისწინებს თითოეულ მხარეს არსებულ სიკეთეს და აფასებს, თუ რომელი მათგანია უპირატესი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.<sup>362</sup>

**დასკვნები/რეკომენდაციები:**

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის შეჩერება გულისხმობს შემდეგი პირობების შეფასებას:
  - 1) წარმოქმნის თუ არა სადავო ნორმის მოქმედება პირისთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენების საფრთხეს;
  - 2) შესაძლებელია თუ არა შეჩერებით ამგვარი საფრთხის აცილება;
  - 3) ნომ არ არსებობს ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოსარჩელე შეძლებდა საფრთხის აცილებას;
  - 4) რა გავლენას მოახდენს ნორმის შეჩერება საჯარო ინტერესებსა და სხვა პირთა უფლებებზე.
- საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, სადავო ნორმა შეაჩეროს როგორც მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.
- ნორმის შეჩერებაზე შუამდგომლობის დაყენებისას, მოსარჩელე მხარეს მოეთხოვება არგუმენტაციისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც ცხადად და დამაჯერებლად დაასაბუთებს, რომ სადავო ნორმის მოქმედება წარმოქმნის მის მიმართ გამოუსწორებელი შედეგების დადგომის გარდაუვალ საფრთხეს.

---

პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

<sup>362</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის №2/1/1311 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „მპს „სტერეო+“, ლუკა სვერინი, ლაშა ზილფიმიანი, რობერტ ხახალავი და დავით ზილფიმიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-30.

## შეჯამება

თუ რა გზით შეძლებს მოსარჩელე დასაშვებობის ეტაპის წარმატებით გავლას, ამ კითხვაზე პასუხს ყველა ზემოხსენებული საფუძველი იძლევა (როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად). მათზე დაკვირვებით, ასევე, სასამართლოსა თუ კანონმდებლის მიერ შექმნილი წესრიგისა და ლოგიკის გაანალიზებით, ცხადი ხდება სამართალწარმოების პროცესის სირთულე და კომპლექსურობა, რამაც შეიძლება არათუ წააქეზოს პოტენციური მოსარჩელები სასამართლოსთვის მიმართვისკენ, არამედ პირიქით – დააბნოს და დააფრთხოს კიდევ. თუმცა, ამ საკითხების გაერთიანებისა და ფორმირების მიზანია, პოტენციურ მოსარჩელეთა მოტივირება მეტად ინფორმირებული და დასაბუთებული სამართალწარმოების ინიცირებისკენ.

ამდენად, ძირითად შემთხვევებში, სასამართლო პრაქტიკის თანმიმდევრული გააზრება და შესწავლა ეფექტიანი კონსტიტუციური სამართალწარმოების მთავარი საკითხია. სახელმძღვანელოს ფარგლებში განხილულ სტანდარტთა გათვალისწინება კი მოსარჩელეს აძლევს შედეგების პროგნოზირებისა და უფლების ეფექტიანად დაცვის საშუალებას. ამავდროულად, როგორც აღინიშნა, სასამართლო ვალდებულია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაასაბუთოს საკუთარი აქტი იმ ნაწილში, რომელშიც უარს ამბობს კონსტიტუციური სარჩელის/სასარჩელო მოთხოვნის არსებითად განსახილველად მიღებაზე. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის სწორად იდენტიფიცირება მნიშვნელოვნად დაზოგავს სასამართლოს რესურსებსაც.



ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

[www.coe.int](http://www.coe.int)

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, ერთმანეთს დაუკავშირონ თავიანთი ნოუ-ჰაუ, რესურსები და ბედი. ერთად, მათ ააშენეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების ზონა და, ამასთანავე, შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ინდივიდუალური თავისუფლებები. ევროკავშირი მზადაა, საკუთარი მიღწევები და ღირებულებები გაუზიაროს ქვეყნებსა და ადამიანებს მის საზღვრებს გარეთ.

<http://europa.eu>



COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE